

ფრიდრიხ შილლერ

ღონ კარლტი

ესპანეთის ტახტის მემკვიდრე

თარგმნილი გერმანულით

სანდრო შანშიაშვილის მიერ

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი 1927

პირველი მოქმედება.

პირველი სურათი.

ბალი არანჟუეციის სასახლეში *).

1. კარლოს და დომინგო.

დომინგო. აჰა, დასრულდა ლხენის დღენი არანჟუეცში, არ უნდა იყოს თქვენთვის, ვგონებ, სასიამოვნო!

ამაო იყო, მეფის ძეო, ჩვენი აქ ყოფნა.

ეგ უცნაური მდუმარება აწ დაარღვიეთ

და თქვენი გული მამის გულსა გადაუშალებთ.

არას დაზოგავს ბრძანებელი, ოღონდ თავის შვილს —

შვილს დედისერთას — მიანიჭოს სულის სიმშვიდე!

(კარლოსი თავდახრილი სდუმს).

ეგ თქვენი შავი მწუხარება, რომელს რვა თვეა აღმოვიკითხავთ მაგ თვალებში, მთელ სასახლისთვის

და სამეფოსთვის გარდაქმნილა საშიშროებად;

გამხდარა იგი მეფის ზრუნვად, ღამის გამტეხად

და დედათქვენის ცრემლთა წყაროდ...

კარლოს. (მსწრაფლ მობრუნდება).

და დედაჩემის?

— ოჰ, ზეციერო, მომეც ძალა მას მივუტევეო.

ვინც დედაჩემად მოიყვანა...

*) რადგან „დონ კარლოსის“ მთლიანი ჩემი ნათარგმნი ველარსად აღმოვაჩინე, ვბეჭდავ სცენისათვის გაკეთებულს ვალერიან გუნიას მიერ. პირველად დაიდგა 1913 წ. 7/XI გუნიას საბუნებისოდ.

მთარგმნელი.

დომინგო. ბატონიშვილო?

პარლოს. (გამოერკვევა და ხელს შუბლზე გადისვამს).

ღირსო-მამაო, — ჩემს დედებთან უბედური ვარ!
ოდეს ვიხილე სოფლის სხივი ახლად შობილმა,
ჩემი პირველი საქმე იყო დედის სიკვდილი.

დომინგო. შესაძლო არის? სვე ნათელო, აბა რას
ბრძანებ?

მაგ საყვედურით თქვენს სინიღისს რისთვის ამძიმებთ?

პარლოს. ახალი დედა მიღირს მამის მე სიყვარულად!
უიმისოდაც მამაჩემსა მცირედ ვუყვარდი!

ჩემი ხვედრი მხოლოდ ეს იყო,

რომ დედისერთა ვყოფილიყავ, მან კი მამაჩემს
უკვე შესძინა ქალიშვილი — ოჰ, ვინ განსჭვრიტოს,
რა სთვლემს გადაღმა დროებაში და მომავალში!!.

დომინგო. ეგებ დამცინით, მოწყალეო ბატონიშვილო!
მთლად ესპანეთი ღმერთად სახავს თავის დედოფალს;
მხოლოდ თქვენ ერთი მტრულის თვალით რად უნდა
იყოთ?

როგორ? ამ ქვეყნად ქალსა ესდენ სიტურფით სავსეს
და დედოფალსა — და უწინ კი თქვენსა საცოლეს —
უნდა უმზერდეთ ცივად? მტრულად? არა, არ მჯერა!
ფრთხილად იყავი, არ გაიგოს თვით დედოფალმა,
რომ შეიღს ასე სძულს; მას ეს ცნობა გულს დაუკოდავს!..

პარლოს. ასე გგონიათ?

საოცარია კარის ხუცესის მიხვედრილობა...

(ჩათხრობით და მტკიცედ).

გამიგონია, კაცსა მზვერავს და ქორის მთხრობელს
ამ ბედკრულ სოფლად მეტი ვნება მოუტანია,
ვიდრე საწამლავს, ანუ ხანჯალს მკვლელისა ხელში.

ეგ თქვენი ზრუნვა დაგეზოგათ, კარგსაც იზამდით,
და თუ თქვენ ჯილდოს მოელოდით — მეფესთან წადით!...
დომინგო. მომწონს მე თქვენი კაცთმოპყრობა წინ
დახედულად,

მხოლოდ მეგობარს მლიქვნელიდან უნდა არჩევდეთ!
მე თქვენთვის მარად კეთილს ვფიქრობ, ბატონიშვილო,
თქვენი მსახური ვერ გიცვნიათ უერთგულესი!
პარლოს. (ხელს მოჰკიდებს).

სჯობია მე თავს დამანებებდეთ! ა
სოფელმა უწყის, თქვენ ბრძანდებით კაცი წმინდანი
მაგრამ, აი, რა:

თქვენი გზა არის ეკლიანი და მეტად გრძელიც,
ვიდრე თქვენ პეტრე მოციქულის ტახტს მიახწევდეთ!
ღირსო მამაო, ბერის ;კოდნა სულს დაგიმძიმებთ!
წადით და ასე მოახსენეთ, ვინც გამოგგზავნათ!
დომინგო. მე გამოგგზავნა?

პარლოს. ჰო, ასე ვსთქვი!.. ოჰ, კარგად ვიცი,
ასი თვალია მოსყიდული ჩემს საზვერავად!
ყოველი სიტყვა. ჩემი სიტყვა აქ ყურმოკრული
უქადის ჯილდოს ენის მიმტანს ბევრად უდიდესს,
ვიდრე როდისმე გაცემულა კეთილ საქმისთვის...
ოჰ. ვიცი, ვიცი. მაგრამ ჩუმად! კმარა ამაზე!
გულსა ჰსურს ყველა გადმოშალოს, გადმოანთხიოს,
მაგრამ ისედაც მე მეტი ვსთქვი...

დომინგო. მეფეს აზრად აქვს
მადრიდს მიბრძანდეს სალამომდის! მთელი სასახლე
შემოკრებილა. მაქვს პატივი, ბატონიშვილო. —

პარლოს. ძალიან კარგი! ვეახლები მეც მეფეს ეხლავ!
(დომინგო გადის).

საბრალო მეფევე! საბრალოა თვით შენი შვილიც!
მე უკვე ვხედავ გესლმორეულ ექვის ნეშტრისაგან
ეგ შენი სული იწამლება, შხამით ივსება!
შენი ბედითი წინადგრძობა მოისწრაფება
უსაშინელეს აღმოჩენისკენ და როს ნამდვილს
ამბავს გაიგებ, გახელდები მეტის სიშმაგით!

(შემოდის პოზა).

⌂

2. იგივე და მარკიზ პოზა.

კარლოს. ამას ვის ვხედავ? ეს ვინ მოდის!? ოჰ. ზეცის
ძალნო!

ჩემო როდრიგო!

მარკიზ პოზა. ჩემო კარლოს!

კარლოს. შესაძლო არის? ნამდვილად? მართლა შენ
გხედავ?

ოჰ, ეს ხომ შენ ხარ!..

ჩემს მკერდზე გიყრდნობ, მესმის გულის ძლიერი ცემა.

ოჰ, ეხლა ჩემთვის გამოკეთდა სნეული გული!

მარკიზ. სნეული გული? რა გამოკეთდა?

გამოგიტყდებით, ეგ სიტყვები დიდად მანცვიფრებს!..

კარლოს. ასე ანაზღად ბრეუსელით რამ მოგიყვანა?

ვისა ვმადლობდე მოულოდნელ შენი აქ მოსვლით?

მარკიზ. ბატონიშვილო, მოტევებას თქვენგნით მო-
ვითხოვ,

რომ ვეგებები თქვენს მღელვარე აღფრთვანებას

ესდენ მწუხარე და ბოლმისგან გულდაწყვეტილი.

სულ არ ველოდი ფილიპეს შვილს აქ შევხდებოდი

ამ გვარ ყოფაში. მკრთალ სახეზე ვამჩნევ სიწითლეს

არა ბუნებრივს და ტუჩებიც გაგფითრებია.
რას მივაწერო ეს ცელილება, ბატონიშვილო?
იმ მაგარ ქაბუკს ველარ ვხედავ, რომელთან ხალხმა,
ხალხმა სასტიკად დაჩაგრულმა მე გამომგზავნა —
თქვენსა წინაშე ვდგევარ არა როგორც როდრიგო,
როდრიგო თქვენთან მოთამაშე ბავშობის ხანას, —
არამედ როგორც მოციქული მთელის ქვეყნისა.
ეს ქვეყანა ფლანდრეთი არის
თავის სოფლებით, ხსნას და შველას თქვენგან მოელის.
თქვენი ქვეყანა საყვარელი განადგურდება,
უკეთუ ალბა, ბრმა ჯალათი ფანატიზმისა,
ტურფა ბრიუსელს ესპანეთის მკვეთრის კანონით
მოევიწიება,
კარლოს მეხუთის შვილისშვილზე
იგი ქვეყანა უკანასკნელ იმედს ამყარებს.
მთლად მოისპობა იგი მხარე, უკეთუ შენს გულს,
გულს, უწინ სვიანს, ძგერა ხალხთა საკეთილდღეოდ
დაპვიწყებია!...

კარლოს. მოისპობა...

მარკიზ. ო, ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის!

კარლოს. ის ნეტარი დრო უკვე გაჰქრა დაუბრუნებულად,

მეც მყავდა ერთხელ საოცნებო ვინმე კარლოსი,
ვის პირის სახე ცეცხლის მსგავსად უწითლდებოდა,
როს ახსენებდნენ სანეტარო თავისუფლებას —
იგი კარლოსი დაიმარხა, აღარ არსებობს...
შენ ვისაც უმზერ, ეს ის კარლოს ნულარ გგონია,
რომელიც ერთხელ ფრთაშესხმული მოსურნე იყო
ოქროს ეპოქა აღედგინა თვის სამშობლოში...
ბავშური იყო მაშინ ჩემი გულუბრყვილობა,

მაგრამ კი წმინდა, საუცხოვო და ღვთაებრივი.

იგი ოცნება უმაღლესი გაჰქრა, ვითა სიზმარი!

მარკიზ. ბატონიშვილო, მას უწოდებთ მხოლოდ ოცნებას?

მაშ იგი იყო ოცნება და სხვა არაფერი?

პარლმს. მომეცი ნება ამ შენს გულზე ცრემლი ვაფრქვიო!

შენ ერთადერთო მეგობარო! მე სხვა არვინ მყავს —

სრულებით არვინ თვალ უწვდენელ ვრცელ მსოფლიოში!

სადამდინაც კი მფლობელობა მამისა უწევს,

სადამდინაც კი ესპანეთის ხომალდნი სცურვენ,

მხოლოდ ეს მკერდი ვპოვე, როდრიგო.

გაფიცვებ ყველას, არ გამღევენო მე ამ მკერდიდან...

მარკიზ. (უსიტყვოდ აულ აჩუყებული მკერდზე მიიყრდნობს).

პარლმს. წარმოიდგინე, ვითომც ვიყო ვინმე ობოლი, რომელიც მპოვე მეფის ტახტთან და განმიკითხე.

მეფის შვილი ვარ და არ ვიცი მამა რას ჰქვია.

ოჰ, თუ მიმხვდარხარ რასაც გული მე მაგრძნობინებს,

თუ მრავალთ შორის რჩეული ხარ ჩემად საცნობად,

თუ ერთი ცრემლი ჩემთვის შვეების მომნიჭებელი —

შენ მეტად გიღირს, ვიდრე მეფის უხვი წყალობა...

მარკიზ. და, უფრო მეტად, ვიდრე მთელი იგი სამყარო!

პარლმს. ისე დავეცი და შევიქენ ისე ღარიბი, რომ ეხლა მინდა გაგახსენო დრო ბავშობისა, —

რომ მოვითხოვო მივიწყებულ ვალის გადახდა, —

ოდეს მე და შენ ორი ბავში ცელქის ზნისანი

ძმებივით ერთად ვიზრდებოდით, იმ დროს ჩემს გულში

შენი უსაზღვრო სიყვარული ფესვს იკიდებდა.

მე ხშირად ვიდექ შენთან ხოლო, შენ არ მამჩნევდი.

როდეს შენ ჩემგან შორს ილტოდი და სულ სხვა ბავშვებს

დაბალ წოდების ბავშვებს გულში მაგრად იკრავდი,
ხშირად მწუხარე, ცხარე ცრემლებს ვაფრქვევდი ხოლმე,
მაგრამ შენ ამას ვერ ხედავდი და მოწიწებით
შენ ჩემს წინაშე მუხლს იყრიდი, ვით მეფის შვილთან...

მარკიზ. ბატონიშვილო, კმარა! ეხლა ნუ მომაგონებთ
ბავშობის ამბავს, რომელიც მე დღესაც მაწითლებს...

ქარლოს. სამჯერ ვეცადე შენის გულის ძმურად დაპ-
ყრობა,

მაგრამ ვერ შევძელე შენის გულის მონადირება,
მხოლოდ შემთხვევამ მოაგვარა, რის შესრულებაც
კარლმა ვერ შესძლო! ერთხელ, გახსოვს, თამაშობის დროს
ჩემსა მამიდას და დედოფალს მოჰქემიისას
შიგ თვალში მოხვდა ბურთი შენგან გადასროლილი.
მას ეგონა თუ, ბოროტ ზრახვით იყო ნასროლი,
და ცრემლიანმა ეს ამბავი მეფეს შესჩივლა.
ახალგაზრდობა სასახლისა სწრაფლ შემოკრიბეს
და მათ მოსთხოვეს დამნაშავეის დასახელება.
მეფე უქადდა დამნაშავეის სასტიკად დასჯას;
თუნდაც რომ შვილი საკუთარი ის ყოფილიყო;
იმ დროს შეგხედე, შეშინებულს ფერი არ გედო,
მეფის წინაშე წარვდექე სწრაფად დავემხე მის წინ,
და დავიძახე: „შენსა შვილზე იყარე ჯავრი“!

მარკიზ. ოჰ, რად მაგონებთ მაგას ეხლა, ბატონიშვილო!

ქარლოს. ეს ასეც მოხდა! მთელი სასახლის თანადა-
სწრებით

მე სამარცხეინო სასჯელს მიმცეს; შენ შემოგხედე
და არ ვტიროდი. ტკივილისგან კბილს კბილზე ვცემდი,
არ კი ვტიროდი. იღვრებოდა მეფური სისხლი
შეუბრალებელ და უწყალო წკეპლის დარტყმისგან,
კვლავ შემოგხედე, მაგრამ მაინც არა ვტიროდი —

ძომიახლოვდი და დაემხე ჩემს წინ ქვითინით...

და მითხარ: ჩემი სიამაყე შენ დასძლიეო!

ვალს გადაგიხდი, ოდეს მეფედ ტახტზე ახვალო!..

მარკიზ. და გადაგიხდით! ბავშვის აღთქმას გაგიმე-
ორებთ,

როგორც ვაჟკაცი, გადაგიხდით! და დროც დადგება!!.

ქარლოს. ოჰ, ჩქარა, ჩქარა, ნუ აყოვნებ! დრო დადგა
კიდევ!

უკვე დრო არის, აღთქმა შენი აწ შეასრულო.

გულს საშინელი საიდუმლო ცეცხლით მიდაგავს,

ეს უნდა, უნდა გადმოვშალო. მსურს შენს სახეზე,

შენს მკრთალ სახეზე განაჩენი ჩემის სიკვდილის

ამოვიკითხო. მომისმინე — გაშრი, გაშტერდი —

მხოლოდ იცოდე, წინააღმდეგს ნურაფერს მეტყვი —

მე მიყვარს დედა, დედინაცვალი!...

მარკიზ. ოჰ, ღმერთო ჩემო!

ქარლოს. არა, არა მსურს ეგ დაზოგვა! სთქვი, სთქვი
რომ ჩემებრ

ბედკრულს ვერ ჰპოებ დედამიწის უსაზღვრო ზურგზე —

სთქვი—მაგრამ უკვე წინაღვე ვგრძნობ, რაც უნდა მითხრა:

შვილს უყვარს დედა!.. ცხოვრების ზნე, ბუნების წესი,

რომის კანონი ასეთ ვნებას კრულავს და სწყევლის!

ჩემი სურვილი უმხედრდება მამის უფლებას.

ამას ვგრძნობ, მაგრამ მაინც მიყვარს. ამ გზას მივყევარ

სრულ სიგიჟემდე, დაღუპვამდე.

მე ვიცი მიყვარს უიმედოდ და ბიწიერად,

სიკვდილის შიშით და ცხოვრების საზარის საფრთხით!

ყველაფერს ვხედავ, დიახ ვიცი და მაინც მიყვარს!

მარკიზ. და დედოფალმა თქვენი გრძნობა იცის, თუ
არა?

ქარლოს. შემეძლო განა გამემკლავნა? იგი ფილიპეს,
და მამიჩემის მეუღლეა და დედოფალი,
ეს ადგილი კი ესპანეთის ნიადაგია.

როგორ შემეძლო მისი ნახვა სხვის შეუმჩნეველად?
შემოურკალავს ის მამაჩემს ეჭვის ზღუდეში.

მას შემდეგ განვლო სრულმა რვა თვემ ჯოჯოხეთურმა,
რაც დამიბარა უმაღლესი სკოლიდან მეფემ
და მომისაჯა ტანჯვა, რადგან ყოველ დღე ვხედავ,
უნდა კი ვიყო, ვით სამარე, დადუმებული!..

სრული რვა თვეა, ოჰ, როდრიგო, ჯოჯოხეთური,
რაც მწველი ცეცხლი, დაუშრეტი გულში მძვინვარებს!...
ო, მისი ნახვა რომ შემეძლოს მცირე ხნით მაინც!..

მარკიზ. ბატონიშვილო, მამა თქვენი? ის დაგავიწყდათ?

ქარლოს. რისთვის მაგონებ მე მამაჩემს?

აღძარი ჩემში სინიდისის საშიშროება,
მხოლოდ მამაჩემს ნუ გამახსენებ.

მარკიზ. გძულთ მამა თქვენი?

ქარლოს. მამაჩემი? ოჰ, არა, არა!

იგი არა მძულს, მაგრამ ძრწოლა ავაზაკისა
მისის სახელის გაგონებით ამიტანს ხოლმე.

და რა ბრალი მაქვს, თუ ჩამიკლეს მონურის აღზრდით
ნაზი ნასახი ამ ყრმა გულში სიყვარულისა!

შვიდი წლის ვიყავ, როს პირველად ვიგრძენ სასტიკი.
ეს იყო დილით! ერთი მოსმით დაადასტურა

სიკვდილით დასჯა ხუთი კაცის... შემდეგ ვხედავდი,
როცა კი სასჯელს ცელქობისთვის გამიცხადებდა, —
მაგრამ კმარა! შორს! — გავეცალოთ აქაურობას!

მარკიზ. არა, მეფის ძევ, ეხლა უნდა სთქვათ ყველა-
ფერი.

რადგან წარმოთქმა დაგუბებულ ბოლმას ანელებს.

კარლოს. ხშირად ვებრძოდი თვით ჩემს თავსა, ხშირად,
როდრიგო!

მე დავმხობილვარ ყოვლად წმინდა ხატის წინაშე
მაგრამ ვედრება ზეცას სულ არ შეუსმენია!

მრავალ მამებში რად მხვდა წილად მისი მამობა?

აღმათა მოდგმის ესრედ გვარი უკიდურესი
სხვდასხვაობა ღვთის განგებამ რად შეაერთა,
წმინდა კავშირით მე და იგი რად გადაგვაბა?
საზარი არის, ოჰ, როდრიგო, ეს ბედის წერა!..

მარკიზ. უბედურების ალლო მიტანს.

კარლოს. და მეც აგრეთვე...

როგორც აჩრდილნი უფსკრულისა, ეგრე მე თანმსდევს
შავი სიზმარი აღმაშფოთრად და საქეჯნავად!

ჩემო როდრიგო, რომ უარყუო მისი მამობა,

რომ დავივიწყო და ჩემს მშობლად მას აღარ ვცნობდე...

ვხედავ, როდრიგო... გაფითრებულ სახეზე გატყობ,

ჩემს აზრს მიმხვდარხარ — მე რომ მასში უარყუო მამა,

რად გარდიქცევა ჩემთვის მეფე გვირგვინოსანი?

მარკიზ. (სიხუმის შემდეგ).

ნება მომეცით ერთის თხოვნით მოგმართოთ, კარლოს!

რაც გაიზრახოთ, რა წადილიც გულს ჩაისახოთ,

გთხოვთ შემომპირდეთ, რომ მეგობრის დაუკითხავად

არას დაიწყობთ, ხომ მპირდებით? და ამისრულებთ?

კარლოს. ოჰ, როდრიგო, გაძლევ პირობას! აგისრუ-
ლებ;

რასაც კი შენი სიყვარული მოითხოვს ჩემგან!

ჩემს თავს სრულიად შენ გაბარებ!..

მარკიზ. როგორც ამბობენ,

მეფეს ჰსურს ქალაქს დაბრუნება! ხან-მოკლე დრო გვაქვს.

თუ დედოფალთან საიდუმლოდ გსურთ ლაპარაკი,

მას ვერსად შესძლებთ, თუ არ ისევ არანჟუეცში.

კარლოს. მაგის იმედი მეც კი მქონდა, მაგრამ ამაოდ!

მარკიზ. ჯერ ვნახოთ კიდევ.

მასთან მივდივარ სადარბაზოდ...

და ესპანეთში თუ იმავე გუნებისაა

როგორიც იყო საფრანგეთში,

უეკველია, ვპოვებ მასში გულახდილობას!

თუ მის თვალებში კარლოსისთვის რამ საიმედოს
ამოვიკითხავ, თუ კი ვნახავ სულით განწყობილს
სალაპარაკოდ, თუ ამაღა მას მოვაშორე...

კარლოს. ბერს მათგანს ჩემთან კეთილი აქვს განწყობილება.

მარკიზ. მით უკეთესი! ახლო-მახლო იმყოფებოდეთ,
რომ ჩემს ნიშანზე გამოცხადდეთ დაუყოვნებლივ.

კარლოს. ჰო, კარგი, ეგრე! ნულარ აყოვნებ!

მარკიზ. დროს დავკარგავთ! მე მივდივარ. ეხლა
ნახვამდის!

(ორივენი აქეთ-იქით გადიან).

მეორე სურათი.

დედოფლის კარმიდამო არანჟუეცში. სოფლის უბრალო
არე-მარე ხეივანით.

1. შემოვლენ დედოფალი, ოლივარეც, პრინცესა ებოლი და მონდეკარ.

დედოფალი. (მონდეკარს).

თქვენ, მონდეკარ! მსურს ჩემთან დაჰყოთ!

პრინცესის თვალნი მხიარულნი მთელ დღეს მტანჯავენ:

შეხედეთ ერთი, ძლივსლა ჰვარავს აღფრთოვანებას,
რომ ამ აგარაკს ეთხოვება.

მგოლი. არ დაგიფარავთ, დედოფალო, სიამით ველი,
მადრიდის ნახვას.

მანდშაპარ. განა თქვენთვის კი დედოფალო,
სამწუხაროა დატოვება არანჟუეცის?

დედოფალი. დიახ, ესოდენ მშვენიერ კუთხის დატოვე-
ბა საძნელო არის;

აქ თავს ისე ვგრძნობ. ვით საკუთარ სამფლობელოში.

აქ სალამს მიძღვნის გაფურჩქვნილი სოფლის ბუნება;

აქ საფრანგეთის. ჩემის ქვეყნის, ნიაფი მოჰქრის...

ამას ცუდად ნუ ჩამომართმევთ. ტკბილი სამშობლო

ყველა ჩვენგანის გულს იზიდავს...

მგოლი. მაგრამ რარიგი მოწყენილობა, მკვდრული სი-
ჩუმე

აქა სადგურებს.

დედოფალი. მე კი პირიქით! მაგას ვპოებ მხოლოდ
მადრიდში.

მაგრამ რას იტყვის ჰერცოგინა ამის შესახებ?

ოლივარმც. ჩემი აზრია, დედოფალო, რომ დიდის
ხნიდან

შემოღებულნი ჩვეულება უნდა დავიცვათ:

ერთ თვეს აქ დავყოთ. მეორე კი პარდოს მიდამოს,

ხოლო საზამთროდ დაუბრუნდეთ სატახტო მადრიდს.

ასე ყოფილა ესპანეთის პირველ მეფიდან.

დედოფალი. დიახ, თქვენ იცით! მე ამას იქით

ჩემს თავს აღუთქვამ, თქვენთან დავა აღარ ავტეხო...

სულ დამავიწყდა, თუ სად, ვისთან მე ვიმყოფები. (ეპოლოს).

მართლა, მე მთხოვენ თქვენ წინაშე ვიშუამდგომლო,

მაგრამ შევიძლებ? ღირსეული ყრმა უნდა იყოს,

ვისაც ებოლის ხელს გადავცემ უდიდეს ჯილდოთ
ოლივარმც. და არის კიდევ, დედოფალო, ის ღირ-
სეული:

მაღალი მეფეც გულუხვად სწყალობს...

დედოფალი. მისი წყალობა მართლაც რომ კაცს აბედ-
ნიერებს,

მაგრამ კარგია, ჩვენც ვიცოდეთ, იმას თუ ძალუძს
სიყვარული და სიყვარულის დამსახურება!

მბოლი. (სდუმს აზრდაბნეული და თვალმდინარეობით. მერე დე-
დოფლის წინ მუხლს მოიყრის და მუდარებით).

ოჰ, სულმაღალო, გთხოვთ შემობრალეთ.

ნუ მისცემთ ნებას, ღვთის გულისთვის, მსხვერპლად გამ-
ხადონ!..

დედოფალი. (შემკრთალი თვლებში ჩააცქერდება).

მსხვერპლად გაგხადონ? როგორ? მსხვერპლად? როგორ
იქნება?

აბრძანდი, კმარა! ეგ იქნება საშინელება!

რაცხან უარი შეუთვალეთ, დიდი ხანია?

მბოლი. დიდი ხანია!

ბატონიშვილი უმაღლესში სწავლობდა კიდევ...

დედოფალი. თქვენ თავს ანგარიშს არ აძლევდით?

ან რა მიზეზით უარყავით?

მბოლი. (გულმბურვალედ).

ათას მიზეზით...

დედოფალი. საკმარისია, მხოლოდ ერთიც: იგი არ
გიყვართ,

ვერც შეეწყობით... კარგად მესმის... ამაზე კმარა!

(სხვა ქალებს).

დღეს ქალიშვილი არ მინახავს, წადით, მომგვარეთ;

ოლივარმც. (სათს დახედავს).

დედოფალო, ჯერ დრო არ არის!..

დედოფალი. ჯერ დრო არ არის, დედამ ნახოს თავისი ქალი?
სამწუხაროა! მომაგონეთ, ოდეს დრო იყოს! არ დაივიწყოთ!
(შემოდის პაეი და ოლივარეც ყურში რაღაცას ეუბნება. ოლივარეცი შემდეგ დედოფალს მიმართავს).

ოლივარეც. დედოფალო, მარკიზ დე პოზა!

დედოფალი. მარკიზ დე პოზა?

ოლივარეც. საფრანგეთით დაბრუნებულა.

და ითხოვს თქვენგან ნახვის ნებართვას...

რომ ხელთ გადმოგცეთ წერილები დედათქვენისა...

დედოფალი. მაქვს ამის ნება?

ოლივარეც. დედოფალო, ჩემს წესდებაში

არ არის თქმული, კასტილიელს უფლება ქონდეს,

უცხო სასახლის წერილები ხელში გადმოგცეთ.

საკუთარ ხელში, დედოფალსა ესპანეთისას!

დედოფალი. მაშ თუ ასეა, თვით ვიქნები ამის თავდები.
მე ვაგებ პასუხს.

ოლივარეც. მაშ მიბოძეთ ნება, გაგწორდეთ!

დედოფალი. როგორც გსურდეთ! თქვენი ნებაა!

(ოლივარეც გადის. დედოფალი პაეს ანიშნებს და იგი უმაღლესად გადის).

2. შემოდის მარკიზ პოზა.

დედოფალი. მოხარული ვარ ესპანეთში გხედავთ
რაინდო!

მარკიზი. მეც სამშობლოით, დედოფალო, ისე არას
დროს

მიამაყნია, როგორც ეხლა!

დედოფალი. (ორივე ქალებს).

მარკიზ დე პოზა!

როდესაც ლუვრში ჩვენ ერთმანეთს ვეთხოვებოდით, იქნებ, რაინდო, ფიქრათაც კი აღარ მოგსვლიათ, კასტილიაში, სტუმრად მყოფი, მინახულვდით?

მარკიზ. მაღალო დედოფალო! აბა, იმ ხანად რას ვიფიქრებდი? აზრად როგორ მომივიდოდა, რომ საფრანგეთი ესპანეთსა მას დაუთმოდა, რაც ერთად ერთი თქვენის სახით შურს გვიღვიძებდა?!

დედოფალი. მარკიზ, იკმარეთ! გავიგე რომ გიმო-
გზავრნიათ:

და საფრანგეთზე, როგორც მითხრეს, გადმოგივლიათ: არას მაუწყებთ უძვირფასეს დედიჩემისგან, ანდა საყვარელ ჩემს ძმათაგან?

მარკიზ. (გადასცემს წერილებს).

იქ დედათქვენი ავადმყოფი ვიხილე ფრიად. ის სურვილი ღა ასულდგმულებს, რომ ქალიშვილი ბედნიერ ჰყავდეს ესპანეთის სამეფო ტახტზე.

დედოფალი. და შეიძლება ბედნიერი არ იყოს იგი, ვისაც ალერსით იგონებენ ნათესავეები? მგზავრობის ჟამსა თქვენ სწვევიხართ მრავალ სასახლეს, ზნე-ჩვეულება გაგიცვნიათ სხვადასხვა ქვეყნის, ხსვადასხვა ხალხის, ეხლა კი გსურთ, როგორც ამბობენ, თქვენს სამშობლოში თქვენთვის მყუდრო ცხოვრება იწყოთ...

რატომაც არა — თავისუფალი. — მაგრამ ვეჭვობ, რომ თქვენ მადრიდი მოგეწონოთ. იქ მეტის-მეტი მყუდროებაა.

მარკიზ. დიახ! დიახ! ამიტომ არის,

აქ, ევროპაში სიხარულსა ყველა ვერ ჰპოვებს!
დედოფალი. (ებოლის).

ჩემო ებოლი, ვგონებ აგერ ნარგიზი ყვავის!
იქნებ ისურვოთ — მოსწყვიტოთ და აქ მომიტანოთ?
(ებოლი გადის. დედოფალი უფრო ჩუმის ხმით ეტყვის მარკიზს)

თქვენი აქ მოსვლით, მე არ ვეჭვობ, ამ სასახლეში
თქვენ ერთი ვინმე მოალხინეთ, ძალა შექმატეთ.

მარკიზ. მწუხარე ვპოვე იგი მეტად.. მას გაახარებს
მხოლოდ ერთი რამ...

(შეპოდის ყვავილებით ებოლი).

მბოლი. რადგან რაინდს შემოუვლია
მრავალი კუთხე, უეჭველად ეცოდინება
ამბავი ესდენ უცნაური ჩვენს მოსათხრობად.

მარკიზ. ოლონდაც ვიცი!
რაინდის საქმე შემთხვევათა ძიება არის,
უფრო ქალისთვის გამოსარჩლება.
მე ამას წინად ნეაპოლით როს ვბრუნდებოდი,
მოწმედ შევიქმენ ერთ უბედურ მწარე შემთხვევის,
რამაც გამხადა მეგობრობის მესაიდუმლედ...
რომ არ ვშიშობდე, დედოფალო, ჩემის მოთხრობით
თავს შეგაწყენდით. —

დედოფალი. არა, გვიამბეთ!
ჩემი ებოლი მეტად არის ცნობის მოყვარე,
მეც დიდად მიყვარს ამბის მოსმენა.

მარკიზ. მირანდოლაში კეთილშობილმა ორმა ოჯახმა
მობეზრებულმა შურით, ღვარძლით, დიდის ხნის
მტრობით,
ძლივს გადასწყვიტა დამოყვრება ნათესაურად.

ღვთაებრივი, ნაზი მატილდა, —
კოლონას ქალი და ფერნანდო დიდსულოვანი, —
დისწული ძლიერ პიეტროსი, ეს ორნი იყვნენ,
მშობლების იმედს შეუღლებით გაამართლებდნენ.
ასეთი წყვილი შესაფერი, სულით თვისტომნი,
ბუნებას ჯერ არ წარმოეშვა კავშირსათვის.
და არც ყოფილა არჩევანი ესდენ შერჩევით.
მხოლოდ სურათში სალოცავად თვისად სახავდა.
ჯერ კიდევ ადრე ყრმა ფერნანდო სათნო საცოლეს
პაღუაშივე, სადაც სწავლა მას აყოვნებდა,
გულის ფანცქალით, გულის თრთოლვით ელოდებოდა
დროს სანეტაროს, როს მატილდას წინ წარსდგებოდა
და მოისმენდა მის საუბარს სიყვარულისას.

(დედოფალი უფრო გულმოდგინეთ უსმენს. მცირე სიჩუმის შემდეგ
მარკიზ კვლავ განაგრძობს და, რამდენადაც კი ნებას აძლევს დე-
დოფლის ყოფნა. იმდენად ებოლისკენაა).

საუბედუროდ! ამ დროს პიეტროც დაქვრივდება.
ყრმის მხურვალეებით
მოხუცი ისმენს ნაზ მატილდის შვენების ქებას!
მიდის! ნახავს! და შეიყვარებს!
ახალი ვნება ჰკლავს უფრო სუსტს ხმას ბუნებისას.
მოხუცი ბიძა თვის ძმისწულის საცოლეს ითხოვს
და ჯვარის წერით აგვირგვინებს ამ მტაცებლობას...
დედოფალი. მერე ფერნანდო?

მარკიზ. ამ ცვლილების იგი არ მცოდნე
მიფრინავს იქით სიყვარულის ძლიერის ფრთებით,
სადაც მატილდა, თვისი სატრფო, ეგულეობდა.
სწრაფი მერანი ნაცნობ ბქესაც მიუახლოვდა.
ხმა მხიარული ქეიფისა მას ელდად ეცა...

და შეუმჩნეველად საქორწინო დარბაზში ჩნდება...

ფერნანდო ჰხედავს რა საუნჯის პატრონი იყო,

და რა დაჰკარგა სამუდამოდ!

ეპოლი. საბრალო!

დედოფალი. მარკიზ. ხომ დასრულდა თქვენი
მოთხრობა?

მე ვგონებ უნდა ვიგულისხმოთ დასრულებულად...

მარკიზ. ჯერ სრულად არა, დედოფალო!

დედოფალი. თუ არა ვცდები,

ვგონებ ფერნანდო გაგვაცანით თქვენსავე მეგობრად!

მარკიზ. მასზედ ძვირფასი მეგობარი არ გამაჩნია!

ეპოლი. რად არ განაგრძობთ თქვენს მოთხრობას?

მარკიზ. ის მეტის მეტად სამწუხაროა,

მოგონებაც წყლულს შიორკეცებს.

ნუ მათქმევეინებთ მის დასასრულს!

(საერთო მღუმარება).

დედოფალი. (ებოლის).

ვგონებ ეხლა კი ნებას მომცემენ მომგეარონ შეილი.

გთხოვთ მომიყვანოთ!

(ებოლი გადის. მარკიზი ანიშნებს მხლებელს, რომელიც სცენის
სიღრმეში იდგა და იგიც გადის. დედოფალი მარკიზისგან მიღებულ
წერილებს ხსნის და თითქოს გაოცებული კითხულობს. ამ დროს
მარკიზ საიდუმლოდ ესაუბრება მონდეკარს. დედოფალმა უკვე
წაიკითხა წერილები და მარკიზს გამოცდილ ამომკითხველ თვალით
შეხედავს).

აქნებ მათილდამ არც იცოდეს ფერნანდოს ტანჯა?

მარკიზ. მათილდას გულში ჯერ არავის ჩაუხედიო —
დიდხელოვანი მწარე ტანჯას ჩუმად მოითმენს.

დედოფალი. თქვენ აქეთ იქით იცქირებით, ვის ეძებთ თვალით?

მარკიზ. თქვენ წინ რომ ადგეს ჩემს მაგიერ ჩემი ნაცნობი.

რომლის სახელის წარმოთქმასა მე ვერა ვბედავ.

რა ბედნიერი იქნებოდა...

დედოფალი. ვინ აუკრძალა, მერე, მას ეს ბედნიერება?

მარკიზ. (სიტყვას დაუქერს).

როგორ? განა თქვენ ნებას მაძლევთ ისე განვმარტო

თქვენი სიტყვები, როგორც ჩემთვის სასურველია?

მაშ მოუტყევეთ, იგი ეხლა აქ რომ მოვიდეს!..

დედოფალი. (შემკრთალი)

ეხლა? მოვიდეს? მარკიზ, ეხლა? რის თქმა გსურთ მაგით?

მარკიზ. მაშ შეუძლიან იიმედოს? მაშ შეუძლიან?

დედოფალი. (მეტად აღელვებული).

მარკიზ, მაშინებთ, მარკიზ, ნუ თუ იგი ამ უამად...

მარკიზ. დიახ, აქ არის!

3. ივინივე და კარლოს.

(მარკიზ პოზა და მონდეკარ სცენის სიღრმისკენ გაივლიან და იქ მიიმალეებიან).

კარლოს. (დაემხოზა დედოფლის წინ).

ო, ნეტარებას ძლივს ველირსე.

ეხლა კი ძალმიძს ესდენ ძვირფასს ხელს ვეამბორო.

დედოფალი. როგორა ბედავთ? — რას ჩადიხართ —

ასეთი ქცევა სასჯელის ღირსი!

შეგვამჩნევენ. კმარა, ადექით!...

ჩემი ამაღა ახლოს არის!

ქარლოს. აჰ, არ ავდგები! ასე დავრჩები სამუდამოდ —
ასე დავრჩი!
დედოფალი. გახელებული! ნუთუ ესრედ სითამა-
მემდის

ჩემმა მოთმენამ, შეწყნარებამ თქვენ მოგიყვანათ?
როგორ? არ იცით, თქვენს დედასთან და დედოფალთან
ჰბედავთ ლაპარაკს უღირსსა და შეუფერებელს?!
განა არ იცით, თქვენ საქციელს მეფეს გავუმხელ. —

ქარლოს. თუნდ წუთისოფელს მე ეხლავე გამოვე-
სალმო!..

დე, წამიყვანონ აქედანვე მოსაკვდინებლად!..

ერთი წამიც კი სამოთხეში დაყოვნებული,
გამოისყიდის წამებას და სიკვდილით დასჯას!..

დედოფალი. და მერე თქვენი დედოფალი?

ქარლოს. (წამოდგება)

არა! მაშ წავალ, მოგზორდებით — განა თუ არა,
თუ კი ჩემგან ასე მოითხოვთ?

განა მე ძალმიძს თქვენს სურვილსა ვეურჩებოდე?

რა უნდა იყოს ამ ცის ქვეშე, არ შემოგწიროთ?

თუ კი თქვენ ამას მოისურვებთ?

დედოფალი. ისწრაფეთ წასვლად! კარლოს, ამას გე-
მუდარებით,

თვალცრემლიანი გევედრებით: წადით აქედან!

ოჰ, წადით ვიდრე მხლებელნი და ციხის ჯალათნი
ორივეს ერთად არ გენახვენ და მამა თქვენთან
არ დაგვასმენენ...

ქარლოს. ველი, ველი ჩემს ბედისწერას...

დაე, ეს იყოს ან სიკვდილი, და ან სიცოცხლე!
მე ჩემს იმედებს ვამყარებდი მხოლოდ ამ წუთზე
და ეხლა შიშმა შემაჩეროს?...

ოჰ, არა, არა, დედოფალო!...

დედოფალი. რა გინდათ ჩემგან?

ქარლოს. ჩემი იყავით —

თქვენს თავს ორი დიდი სამეფო

ქვეყნის წინაშე მხოლოდ ჩემად აღიარებდა,

მე აღმითქვამდა, ხოლო მეფემ, მეფე ფილიპემ

ბედნიერება გამომგლიჯა ძალით ხელიდან!..

დედოფალი. მამაა თქვენი!..

ქარლოს. დიახ, თქვენი კი ქმარი!

დედოფალი. ვისგან სამეფო უდიდესი მთელ ქვეყანაზე
გადმოგეცემათ თქვენ ერთს მხოლოდ სამკვიდრებელად...

ქარლოს. თქვენი თავი კი დედა-ჩემად!

დედოფალი. რას ჰბოდავ, ქარლოს!

ქარლოს. განა იცის მან თქვენი ფასი?

განა იგი გრძნობს რა საუნჯე ხართ?

იგი არ არის ბედნიერი.

და ვერც იქნება ვერაოდეს!... არცა თქვენ გიყვართ!

ერთი მიბრძანეთ, რა ხართ? ვინ ხართ ამ სამეფოში?

ვითომც და იყოთ დედოფალი? ქვეყნის მართველი?

არა, ოხ, არა!

მაშინ, ალბები მძვინვარებას ვერ შეიძლებდნენ,

სად თქვენ დედოფლად იმყოფებით, სად თქვენ განაგებთ?!

დედოფალი. ვინ გითხრათ, ვიყო უბედური ფილიპეს
ხელში?

ქარლოს. ჩემმა გულმა!... მან მაგრძნობინა,
ჩემთან ჰპოვებდით ბედნიერებას!

დედოფალი. თავს დიდად იღებთ!

ჩემი გული რომ წინააღმდეგ მეუბნებოდეს?

მაგრამ ფილიპეს სიყვარული უფრო მხიბლავდეს,

ვიდრე ამაყის შვილის მქვერობა?

ქარლოს. ეგ სხვა საქმეა! მაშინ — მაშინ გთხოვ მო-
ტევენბას...

ეს არ ვიცოდი, არ ვიცოდი თუ ის გიყვარდათ!

დედოფალი. მას პატივს ვსცემდე, არის ჩემი სიამო-
ვნება,

ჩემი სურვილი!

ქარლოს. არასოდეს არ გყვარებიათ?

დედოფალი. გთხოვთ დამტოვოთ, ბატონიშვილო! მაგ-
გვარ საუბარს

ნუ გამაგონებთ! მოვალეობა ნებას არ მაძლევს!

განა რას გვარგებს, გავგულისდეთ, ბედს ავუმხედრდეთ,
როცა ჩვენ უნდა ორივენი მას ვმორჩილებდეთ?!

ქარლოს. უნდა? მას უნდა ვმორჩილებდეთ?

დედოფალი. როგორ? რას ნიშნავს, უცნაური ეგ თქვე-
ნი კილო?

ქარლოს. იმას, რომ ქარლოს არ სურს, არა, დამორჩი-
ლება!

მას უნდა, სურს:

ეს ნიშნავს ქარლოსს არ სურს დარჩეს ამ სამეფოში
თვით უბედურზე უბედური, როცა მას ძალუძს
კანონთ დაძლევიტ მოიპოვოს ბედნიერება!..

დედოფალი. ნუთუ კვლავ ფიქრობთ იქონიოთ მცირე
იმედი,

როს ყველაფერი, ყველაფერი დაკარგულია?

ქარლოს. მკვდარია მხოლოდ დაკარგული, სხვა კი აქ
არის...

დედოფალი. ჩემზე ამყარებთ, დედათქვენზე, მაგ თქვენ
იმედებს?!.

(დიდხანს უმზერს გაშტერებით, შემდეგ ღირსებით და დარ-
ბაისლურად).

რატომაც არა? დიახ, მეფეს ახლად არჩეულს,
მეტიც კი ძალუძს! ცეცხლში დასწვას, მას ვინ დაუშლის,
თვისი წინაპრის დანადგენი ზნე-ჩვეულება?
და ბოლოს, თავის სასახელოდ, დედაც შეირთოს!..

პარლოზ. (სდგას ცოტა ხანს გაშტერებული. სიჩუმე).

განქრა ყოველი!

სამარადისოდ ნეტამც ბნელში დარჩენილიყო,
რასაც ვგრძნობ ეხლა ასე ნათლად და გარკვეულად!..

თქვენა ხართ ჩემთვის დაკარგული, ოჰ, დაკარგული
დაუბრუნებლად, საუკუნოდ, სამარადისოდ.

ეხლა გადაწყდა ჩემი ბედი, ჩემთვის აღარ ხართ,
აღარ არსებობთ! ოჰ, ეს მტანჯავს გენიის ცეცხლით,
და გული ჩემი ლამის დამწყდეს ამ ტანჯისაგან!

დედოფალი. ძვირფასო კარლოს, მებრალეებით, მეც
ვწუხვარ თქვენთან,
ვგრძნობ გამოუთქმელ ტანჯა-ნალველს თქვენის გუ-
ლისას.

როგორც ეგ თქვენი სიყვარული უსაზღვრო არის,

აგრევე უსაზღვრო არის თქვენი სევდა-წუხილიც.

მისი დაძლევაც უსაზღვროდვე სასახელოა!

მაშ მოიპოვეთ ეს სახელი, გმირო ჭაბუკო,

ეს ჯილდო შეჰფერს თქვენებრ მამაცს სულით მაღალსა,

ზნობით მტკიცეს! მაშ გამხნევდით, ბატონიშვილო,

შეჰფერის კარლის შვილისშვილი იქ არ დამარცხდეს,

სად სხვები სწრაფად მარცხდებიან!

პარლოზ. აწ გვიან არის! ღმერთო ჩემო, აწ გვიან არის!

დედოფალი. ვაჟკაცად ყოფნა? კარლოს, კარლოს,

რალა ფასი აქვს

ამ ჩვენს ღირსებას, ანუ ჩვენსა სათნოებასა,

უკეთუ მისდა მისალწევად იმედს დაკარგავთ?

გამხნევდით, კარლოს, გაამართლეთ ცის დავალება,
დაიძახურეთ თქვენ ამ ქვეყნის წინამძღოლობა
და ის გასწირეთ, რაიც სხვებსა არ განუწირავთ!

კარლოს. თქვენ მოგიპოვოთ ძალა შემწევს გო-
ლიათისა,

ხოლო დაგკარგოთ — ამისათვის მე უძლური ვარ!..

დედოფალი. ეგ სიყვარული და ეგ გული დაუზოგავად
ჩემდა მოძღვნილი სახელმწიფოს კუთვნილებაა,
რომელსაც უნდა მომავალში თქვენ განაგებდეთ.
გსურთ შემომწიროთ სიყვარული — იგი შესწირეთ
თქვენს ხალხს, ქვეყანას...

და იმის ნაცვლად, სინიდისი სულს გიქეჯნიდეთ,
იგრძენით შვება, რომ ხალხისათვის ღმერთად იქცევით,
ღიახ, პირველი სიყვარული თქვენი მე ვიყავ
და დღეის შემდეგ ესპანეთი იყოს მეორე...

ო, კარლოს, კარლოს! დაეუთმობდი სიამოვნებით
ჩემდამი მოძღვნილს სიყვარულსა უფრო დიდს სატრფოს!

კარლოს. (გრძნობით დაძლეული ფეხებში ჩაუვარდება).

რა ღიადი ხართ ღვთაებრივო! ღიახ, ყველაფერს
რასაც მავალებთ, შევასრულებ! დე, ასე იყოს... (ადგება).
აქ თქვენს წინაშე ყოვლად შემძლის ხელშიგან მყოფი
ვფიცავ, ვფიცავ რომ საუკუნოდ! ოჰ, ღმერთო, არა!
ვერ დაგივიწყებთ, თუნდაც განვლოს მარადისობამ!

დედოფალი. მაგას მე თქვენგან არ მოვითხოვ, ან რა
ნება მაქვს,
როცა მე თვითონ მაგ პირობას ვერ შევასრულებ!

4. ხეივნიდან შემოდის ჩქარა მარკიზ პოზა.

მარკიზ. მეფე!

დედოფალი. ოჰ, ღმერთო!

მარკიზ. წადით ჩქარა, ბატონიშვილო!

დედოფალი. საზარელია მისი ექვი! თუ შეგამჩნიათ...

კარლოს. აქ ვრჩები!

დედოფალი. მერე მსხვერპლად, კარლოს, ვინ უნდა იქნეს?!

კარლოს. (მარკიზს ხელს მოკიდებს).

წამო, წავიდეთ! ჩქარა, ჩქარა, ჩემო როდრიგო!

(მიდის, უკან მობრუნდება).

რას მისახსოვრებთ?

დედოფალი. მეგობრობას დედათქვენიას!..

კარლოს. ოჰ, მეგობრობა?.. დედაჩემი!..

დედოფალი. და მწარე ცრემლებს განადგურებულ ნი-
დერლანდელთა!

(წერილებს გადასცემს. კარლოს და მარკიზ გადიან. აღელვებული დედოფალი თავის ამალას თვალთ დაეძებს, მაგრამ ახლო-მახლო ვერ ამჩნევს, როდესაც სცენის სიღრმიდან სურს უკან დაბრუნდეს, გამოჩნდება მეფე, ალბა, ლერმა, დომინგო, რამდენიმე მანდილოსანი და დიდებულნი შორი ახლო შეჩერდებიან).

5. მეფე, დედოფალი, ალბა, ლერმა, დომინგო და სხვანი.

მეფე. (გაოცებით მიმოიყურება და რამდენსამე ხანს სდუმს).

სრულიად მარტოდ? სად არიან სეფე ქალები?

დედოფალი. ჩემო მოწყალე მეუღლეო...

მეფე. რად ხართ მარტო?! (ამალას).

შეუწყნარებელ დანაშაულს ვერვის შევუნდობ.

ამის გულისთვის მკაცრს მოვითხოვ პასუხისგებას!

შემატყობინეთ დღეს ვინ უნდა მორიგეობდეს,

რომელ სეფე ქალს დედოფალთან ხვდა სამსახური?

დედოფალი. ნუ განრისხდებით მეუღლეო, — მე ერთს მიმიძღვის,

მე თვით მიმიძღვის ამის ბრალი. ებოლი ჩემის ნებით გამშორდა.

მეფე. თქვენის ნებით?

დედოფალი. მას უნდა ძიძა მოეყვანა!

მომენატრა ასულის ნახვა...

მეფე. და ამის გამო განიშორეთ სეფე-ქალები?

ესთქვით ეს საბაბი ამართლებდეს პირველ პირფარეშს, მერე, მეორე პირფარეში ამ დროს სად იყო?

მონღემპარ. (უკვე დაბრუნებული და სხვა მანდილოსნებში გარეული, წამოდგება).

დიდო მეფეო, ვგრძნობ ღირსი ვარ დიდის სასჯელის!

მეფე. ათის წლის ვადით გაგაძევებთ ესპანეთიდან!

მადრიდის გარედ მოიფიქრეთ ეს საქციელი!

მონღემპარ. (აცრემლებული უკან დაიხვეს. საყოველთაო სიჩუმე. ყველანი შეძრწუნებულნი დედოფალს შეჰყურებენ).

დედოფალი. მარკიზა! სტირით? (მეფეს) თუ შეგცოდეთ, ჩემო მეუღლეო,

ნუთუ არ ძალუძს ამა ქვეყნის მეფურსა გვირგვინს, — რაიც მე თვითონ არასოდეს არ მინატრია, —

ნუთუ არ ძალუძს მე დამიხსნას სირცხვილისაგან?!

მაგრამ აწ კმარა, ხელმწიფეო, შენდობას ვითხოვ!

ჩვეულ არა ვარ, რომ ერთგული მსახური ჩემი

გულმომღურავად გავისტუმრო აცრემლებული.

ჩემო მონღემპარ!

(მოიხსნის სარტყელს და გადასცემს).

თქვენ გაარისხეთ მხოლოდ მეფე.

ის წყრება თქვენზე და არა მე! აჰა, მიიღეთ

ჩემს სამახსოვროდ და ამ წამის მოსაგონებლად, —
წადით, განწორდით ამ სამეფოს! თქვენ ესპანეთში
შესცოდეთ მხოლოდ; ჩემს საყვარელ საფრანგეთში კი
მაგ გვარსა ცრემლებს მზრუნველობით შეგიმშრალებენ.
ოჰ, ნუთუ მარად ასე დამრჩეს მოსაგონებლად?

(უფროს სეფე-ქალს მიეყრდნობა და სახეს ხელებში ჩაიმაღავს).

ჩემს საფრანგეთში ასე არ იყო... იქ სულ სხვა იყო!...

მეფე. (მოდუნული) იწყინეთ ჩემის სიყვარულის საყვე-
დური თუ?

იწყინეთ სიტყვა, გულის წუხილით

ჩემის ბაგიდან წარმოთქმული?

(მიუბრუნდება დიდებულთ).

ჩემის სამეფოს დიდებულნო! განა როდისმე
ამ ჩემს თვალებსა მშვიდი ძილი მიჰკარებია?

განა ყოველ დღე

ჩემი თავისთვის ანგარიში არ მიმიცია,

რა ყოფაშია ჩემი ხალხი კიდით-კიდემდე?

ნუთუ ტახტისთვის უფრო მეტად უნდა ვწიშობდე,

ვიდრე საყვარელ მეუღლისათვის? ჩემს ქვეშემრდომთა

ერთგულებაში ჩემი ხმალი და ალბა ჩემი

თავდები არის!

ხოლო ეს თვალნი ჩემი მეუღლის სიყვარულისა!

დედოფალი. თუ ჩემის წყენით გაგამწარეთ...

მეფე. (აწყვეტინებს).

ვარ უმდიდრესი და განთქმული მთელ ქვეყნის ზურგზე.

ჩემს სამეფოში მზე არ ჩადის — იგი ოდესღაც

სხვას ეკუთვნოდა, სხვა ფლობელობდა და არა ერთის

ხელში გადავა ჩემს შემდეგაც! დღეს კი ჩემია.

ხოლო რაც მეფეს აბადია, — ის ბედს ეკუთვნის,

ელისაბედ კი ფილიპეს! აი, ეს არის
იგი საკითხი, სადაც ვგეგვარ მეც მომაკვდავებს!..

დელოვალი. გეშინის მეფევ?

მეფე. რის? ამ ჭალარის?

თუ კი ოდესმე შიში გულში შემომპარვია,
შიშის საბაბიც მოსპობილა, განქარვებულა! (დიდებულთ).
ვხედავ სასახლის დიდებულებს, ხოლო თქვენ შორის
მას კი ვერ ვამჩნევ — უპირველესს... სად არის კარლოს,
ჩემი მემკვიდრე? (ყველანი სდუმან).

ბავში კარლოს საშიში ხდება!

რაცხან ალკალის სასწავლებლით იგი დაბრუნდა,
მას შემდეგ ვამჩნევ ერიდება ჩემსა შეხვედრას!

ცხოველი არის მისი სისხლი, მაშ მისი მზერა

რადლაა ცივი? მისი ქცევა რად არის ეგრე

თავდაქერილად გაზომილი, დარბაისლური?!

თვალი ადევნეთ! მას თქვენ განდობთ...

ალბა. მე აქ გახლავართ.

სანამ აბჯრის ქვეშ გული მიძგერს, ჩემს მეფეს ძალუძს

მშვიდად იძინოს!.. ვით სამოთხის წინ ქერუბიმი,

ეგრე სდგას ალბაც მარად ფხიზლად ტახტის წინაშე!

ლერმა. კაღნიერებად ნუ ჩამითვლით, თუ მოკრძა-
ლებით

თქვენ წინააღმდეგ სიტყვა დავძრა, დიდო მეფეო,

ესოდენ დიდად პატივს ვცემ თქვენს ზეგანგებლობას,

რომ შვილს არ განსჯით ეგრე სწრაფად, ეგრე სასტიკად.

მაშინებს კარლოს ნორჩი სისხლი და არა გული!

მეფე. თქვენ, გრაფო ლერმა, მსჯელობთ კარგად და
მომხიბვლელად,

რომ მამის გული მოისყიდოთ, გადაიბიროთ...

ალბა იქნება მეფის ერთგულ მისაყრდნობ ბოძად.

კმარა ამაზე! (მოტრიალდება ამაღისკენ).
ავეჩქაროთ მადრიდისაკენ,
ჩემი სამეფო სამსახური მიმიხმობს თვისთან.
რჯულის განთიშვის შავი ქირი ჩემს ხალხს ედება...
დრომ მოაწია, რომ საზარის მაგალითებით
ცდომილნი ჩვენში მოვაქციოთ, სისხლით დავსაჯოთ!..
(დელოფალი გაჰყავს. სხვებიც უკან მისდევენ).

მესამე სურათი.

7. კარლოსი წერილებით და მარკიზი შემოდინ ლაპარაკით.

კარლოს. საკითხი უკვე გადავწყვიტე! ტურფა ფლან-
დრეთი
უნდა დავიხსნა — მას ასე ჰსურს და ჩემთვის კმარა.
მარკიზ. თვით ერთის წამის დაკარგვაც კი დიდი
ცოდოა.

როგორც ამბობენ, იქ მეფე თავის მოადგილედ
მხედართმთავარს ალბას ნიშნავს...

კარლოს. როს მადრიდს ჩავალთ, მეორე დღესვე ვინა-
ხულებ პირადათ მეფეს
ჩემთვის გამოვსთხოვ მაგ ადგილის თანამდებობას.
პირველი თხოვნა ეს იქნება, რომელს ვუბედავ
და ამ თხოვნაზე მამაჩემი უარს ვერ მეტყვის!
გამოგიტყდები, როდერიგო, სხვა იმედიც მაქვს:
ეგებ შეხვედრით ერთმანეთის განწყობილება
კვლავ აღვადგინო. ბუნების ხმა ჯერ არ სმენია.
ჯერ არ სმენია საუბარი მამაშვილური;
მას ვცდი, როდრიგო, ეგებ გული მოვეუნადირო...

მარკიზი. ეხლა კი ვხედავ რომ კარლოსი მესაუბრება.
ეხლა თქვენ ის ხართ, რაც იყავით, როგორსაც გცნობდით!

8. იგინივე და შემოდის ლერმა.

ლერმა. მეფემ ეხლა ხან მიატოვა არანუუეცი,
და მან მიბრძანა...

ქარლოსი. გრაფო ლერმა, ძალიან კარგი,
მეც ავჩქარდები და მეფესთან ერთად ჩამოვალ.

მარკიზი. (ვითომ განშორებას აპირებს განგებ გადამეტებულის
თავაზით).

სხვა ხომ არაფერს დამავალებთ, ბატონიშვილო!?

ქარლოსი. არა, რაინდო! გისურვებთ, მადრიდს მშვი-
დობით გნახოთ.

(ლერმას. რომელიც კვლავ უცდიდა).

ახლავ მოვალ, გრაფო ლერმა.

ლერმა. (გადის).

ქარლოსი. მიგიხვდი, მარკიზ!

გმადლობთ! ეგ ქცევა იძულებითი, ჩემო ძვირფასო,
გეპატიება მხოლოდ უცხო პირის წინაშე.

განა ჩვენ ძმები არა ვართ, მარკიზ?

დაე, უგვანო, სამასხარო მსახიობობა

ამიერიდან განიდევნოს ჩვენს კავშირიდან!

მარკიზი. დიდებულია, ღვთაებრივი თქვენი ოცნება,
მაგრამ ოდესმე ნეტა იგი ხომ არ გაქრება?

ჯერ მომავალი უკან არის და თქვენს ოცნებას

ძლიერს განსაცდელს განუმზადებს. მსურს გაგახსენოთ:

ფილიპე კვდება და უდიდეს საქრისტიანოს

კარლოს იმკვიდრებს. ღრმა უფსკრული კარლოს აშორებს

მომაკვდავთ მოდგმას. ვინც გუშინ იყო ადამიანი

დღეს ღმერთი არის. ავიწყდება ტანჯვიდან დახსნილს
სხვის თანაგრძნობა! კარის კაცთა დიდი განცხრომა,
მლიქვნელობა მას მიაქანებს ჯოჯოხეთისკენ...
ჩაეძინება თავსბრუდასხმულს ამ ცის წიაღში...
რაიც მონებმა პირფერობით მას განუმზადეს!...
და იგი ღმერთობს, ვიდრე ასეთს თვლელაში არის
და; ვაი იმას, თუ კი ვინმე გაკადნიერდა
და თანაგრძნობით გამსჭვალულმა გამოაღვიძა!...
ნეტა როდრიგო რა იქნება ამ უმად თქვენთვის?
იმის მხილებას და მართლის თქმას ვერ გაუძლებდით,
თქვენ მოქალაქის სითამამეს ვერ აიტანდით
და მე კი მეფის სიამაყეს, გულზვიადობას!...

კარლოს. ქეშმარიტია, საშინელი მეფის მაგგვარი
დასურათება. მჯერა შენი, მაგრამ მიზეზი
ხომ ვნება არის, კარს რომ უხსნის ბიწიერებას.
მე კი. როდრიგო, ჯერ წმინდა ვარ და ახალგაზრდა,
სულ ოცდასამი წლის ქაბუკი. თუ ჩემზე უწინ
ათი ათასნი უგუნურად ხვევნა ალერსში
ნთქავდნენ სიწმინდეს, სულის ძალას,
იგი დავზოგე მე მომავალ ბრძანებლისათვის.
ვის შეუძლიან შენი თავი ჩემს გულს მოჰგლიჯოს,
ვის შეუძლიან, თუ არა ქალს?!

მარკინო. მე თვითონ, კარლოს.
როგორ შევიძლებ კარლისადმი ერთგულ სიყვარულს,
თუ კი მექნება მისი შიში?

კარლოს. ეგ არ მოხდება. განა შენ ჩემში, მეგობარო,
რას საჭიროებ?
გაქვს მისწრათება მათხოვრობდე ტახტის წინაშე?
გიზიდავს ოქრო. თუ სიმდიდრე თვალის მომპყრელი?
იქნებ სახელის მოხვეჭა გსურს? უკვე ქაბუკმა

იგი სავსებით მოიპოვე და უკუაგდე.

მაშ ვინ იქნება მე და შენში უფრო მოვალე?

მე თუ შენ? სდუმხარ?

მარკიზ. ძალიან კარგი! გითმობთ! აჰა, ეს ჩემი ხელი!

კარლოს. ჩემი იქნები?

მარკიზ. სამუდამოდ!

კარლოს. ისე ერთგული და მოყვარული, როგორც
ოდეს ხარ

მემკვიდრისთვის?

მაშინაც, ოდეს ტახტზე ავალ?

მარკიზ. ვფიცავ, მარადის!

კარლოს. მაშ, ერთი თხოვნაც უკანასკნელი:

მე ამას იქით მომმართავდე მხოლოდ „შენობით“.

ეს ჩემ ყურთათვის ტკბილად რეკავს, რადგან მაგონებს

ჩემის ერთგულის მეგობრისა თანასწორობას.

ეგ შენთვის, მარკიზ, იქნებ იყოს სულ უმნიშვნელო,

მაგრამ ეს მეფის შვილისათვის დიდი საქმეა.

გინდა ძმად მექნე?

მარკიზ. ძმა ვარ შენი!

კარლოს. მაშ მეფესთან!

აღარაფრის შიში არა მაქვს. ასე ხელი ხელს

გადაქდობილთა გადავლახოთ დროთა საზღვრები!.. (გაღიან)

მეორე მოქმედება.

პირველი სურათი.

სამეფო სასახლე მადრიდში. ტახტის დარბაზი.

1. მეფე ფილიპე ტახტზე ზის, მოწორებით ქუდმოუხდელი ალბა სდგას. ახლოს კარლო.

კარლოს. უპირველესად მოგახსენონ სამეფო საქმე სიამოვნებით კარლოს უთმობს კართუხუცესსა, მას საუბარი ესპანეთის მაგიერ ჰმართებს.

მე კი შვილი ვარ სასახლისა!

(მეფეს თავს უკრავს და განზე დადგება).

მეფე. მხედართმთავარი ალბა მოიცილის! მოგეახსენოს ბატონიშვილმა.

კარლოს. (ალბას) მაშ უნდა ესთხოვო მოწყალება თქვენს სულდიდობას,

რათა დამითმოს მამა მარტოდ სალაპარაკოდ...

ლიახ, თქვენც უწყით — მამაშვილსა ბევრი რამე აქვს მარტოდ სათქმელი, რის მოსმენაც სხვას არ შეჰფერის.

არ წაგერთმევათ ამით მეფე, მე მამა ჩემი

მჭირდება მხოლოდ ამ მცირე ხნით.

მეფე. აქ მეგობარი სდგას ჩემს წინაშე...

ქარლოს. დიახ, თქვენთვის მეგობარია, მაგრამ მე მისი მეგობრობა დავიმსახურე?

მეფე. და განა ცდილხარ, ის როდისმე დეგემსახურნა? არ მომწონს შვილი, ოდეს მამის რჩეულს იწუნებს!

ქარლოს. მხედართმთავრისა სიამაყეს, ესდენ რაინდულს, განა შეჰფერის ყურს უგდებდეს ამ ჩვენს საუბარს?

ვფიცავ სიცოცხლეს, ესრედ გვარსა აკვიატებას და უდიერად შემოჰკრასა მამაშვილთ შორის, — რაიც სირცხვილის სიწითლესა არც კი ჰგვრის სახეს, — არ ვიკადრებდი, ხელმწიფობაც რომ მოენიჭათ!..

მეფე. (წამოდგება, კარლოს ბრაზით თვალს გაუსწორებს და ალბას ეტყვის).

ალბავ! დაგვეტოვეთ!

(როცა ალბა დააპირებს შუა კარიდან გასვლას, მეფე მეორეზე უჩვენებს).

მოითმინეთ ჩემს ოთახში, ვიდრე მე თვითონ არ მოგიხმობთ!

ქარლოს. (ალბას გასვლის შემდეგ მეფეს ფეხებში ჩაუვარდება). კვლავ მამა ჩემი, მამა ჩემი ხარ! დიდად გმადლობ მოწყალებისთვის, —

მომეცით ხელი მამაჩემო — ოჰ, ტკბილო დღეო — დიდი ხანია ამ ამბორის ბედნიერება

არ განმიცდია, მამაჩემო, თქვენს პირმშო შვილსა თქვენის გულიდან რად მიშორებთ? რა დავაშავე?

მეფე. ბატონიშვილო, ჩემმა გულმა არა უწყის რა. მე ვერ ავიტან ესრეთ ქცევას!

ქარლოს. (წამოდგება) ასეც ვფიქრობდი! აი, სად მესმის კარისკაცთა ჭორიკანობა!

ოჰ, მამაჩემო, გეფიცებით ნუ დაიჯერებთ;

არ არის სწორი,

რასაც ბერები ლაპარაკობენ, რაც კი გიამბეს...

არა, არა ვარ მამაჩემო, უღირსი შვილი, —

მგზნებარე სისხლი არის მხოლოდ ჩემი სიავე

და სიკაბუკე მხოლოდ ჩემი დანაშაული!

თუმცა სიფიცხეს ჩემი გული ხშირად უჩივის,

მაგრამ თვით გულის კეთილი მაქვს, — კეთილი, მამავ!

მეფე. გული წმინდა გაქვს, ვით წმინდაა თვით შენი
ლოცვა!

ეს კარგად ვიცი.

პარლონ. ან ეხლა, ან არასოდეს! —

ჩვენ მარტონი ვართ. სასახლისა ავზნეთა ზღუდე

მამაშვილთ შორის უკვე არის ჩამონგრეული!

ან ეხლა, ან არასოდეს

მამაჩემო გთხოვ შერიგებას.

(მუხლებზე დაეცემა).

მეფე. ადევ და თავი დამანებე!

პარლონ. გთხოვთ შერიგებას! (ებლაუქება ვედრებით).

მეფე. (ჰსურს განთავისუფლდეს).

მასხარაობამ თავხედობის სახე მიიღო!

პარლონ. შვილის სიყვარულს თავხედობას უწოდებთ,
განა?

მეფე. რაო, ცრემლები? რა საზიზღარი სურათია!

წა, გამეცალე!

პარლონ. ან ეხლა, ან არასდროს! შევრიგდეთ მამავ!

მეფე. გამეცალე! შორს ჩემს თვალთაგან!

ცხარე ომიდან შერცხვენილი რომ მოსულიყავ,

ხელებ გაშლილი მიგიღებდი, მკერდს მიგიკრავდი;

ახლოდ მშიშარა დამნაშავე ლამობს წარეცხოს
დანაშაული! შენანებით ვინც არ წითლდება,
იგი ვერ შესძლებს ვერაოდეს შენანებას!

კარლოს. რა ქმნილებაა!?. უცხო არსი რომელ შეც-
ლომას

წარმოუშობავს კაცთა შორის?

იგი დედაკაცს

არ უშობნია! სანამ დრო გაქვთ, თქვენს დამშრალ თვა-
ლებს

ოჰ, შეასწავლეთ ცრემლთა ფრქვევა! ეგებ დაგჭირდეთ.

სამგლოვიარო, მწუხარე ჟამს მათი გადმოღვრა!..

მეფე. ნუთუ გგონია, მძიმე ექვი მამიშენისა
მოქარგულ სიტყვით შეარყიო?

კარლოს. ექვი? მას მოვსპობ!

მსურს მოვსპო იგი მძიმე ექვი — მსურს მამიჩემის

გულსა მივეყრდნო და ეს ექვი ძირში მოვეგლიჯო,

გსურთ სიყვარული! ამ მკერდის ქვეშ სჩქედს მისი წყარო!..

მეფე. კმარა, გაჩუმდი, კადნიერო! იმ ადამიანთ,

რომელთ გაკიცხვას ეხლა ჰბედავ, მარად ერთგულად

ჩემს წინაშე უმსახურიათ! შენც უნდა მათ პატივს სცემდე!

კარლოს. მე? არასოდეს! თქვენი ალბა რასაც კი შეს-
ძლებს.

და გააკეთებს, — კარლოსაც ძალუძს და უფრო მეტიც!..

დაჭირავებულს არ შესტკივა საქმისთვის გული,

ის სარგებლობას ეძებს მუდამ! რაში ენალვლის

მეფის ჭალარა, თუკი ნახავს მთლად გათეთრებულს?

ხოლო თქვენს შვილსა, თქვენს კარლოსს კი ეყვარებოდით!

ფიქრი გულს ჰზარავს საშინელი, როს წარმოვიდგენ,

თუ რა ძნელია მარტოდ ყოფნა სამეფო ტახტზე!..

პარლოს. (გრძნობიერად მიუახლოვდება აღსავეს სიყვარულით).
შემდეგ).

მარტოდ-მარტო ვარ!...

პარლოს. (გრძნობიერად მიახლოვდება აღსავეს სიყვარულით).
ვიცი მარტო ხართ! ნულარ გძულვართ, ოჰ, მამაჩემო!
მსურს მხურვალედ მამა მიყვარდეს!

რა კარგი არის, სანეტარო, რომ ჩვენ შევერთდეთ!
რა საუცხოვო არის, ოდეს ხელჩაკიდულნი
საყვარელ შვილთან კვლავ გაივლით სიცოცხლის სიზმარს.
მეფე. (მოლბა და გრძნობით).

ოჰ, შვილო ჩემო, თავზე კვერთხი თვით გადიტეხე,
მეტად წარმტაცად აწ მიხატავ ბედნიერებას...
რაიც შენ ჩემთვის არასოდეს არ მოგიცია...

პარლოს. ამის მსაჯული ღმერთი იყო! განა თქვენ
თვითონ
არ განმიშორეთ მამის გულსა, სამეფო სკიპტრას?
დღევანდელ დღემდე ესპანეთის ტახტის მემკვიდრე
ესპანეთშივე უცხო ვიყავ, დატყვევებული,
იყო ეს განა მოსაწონი, სამართლიანი? —

მეფე. მაგ ნორჩ ძარღვებში სისხლი გიჩქევს მეტად
მხურვალედ,
რაც ავნებს საქმეს...

პარლოს. მომეც მამავ, თუნდაც სავნებლად!
უკვე შევსრულდი ოცდა სამის და რა ვიზრუნე
უკვდავებისთვის? ვგრძნობ თავს საქმისთვის! მომიწოდეთ!
უკვე არს ჟამი, უკვე დადგა დრო დიდებული,
რაიც მაკისრებს ესდენ დიად ვალის გადახდას,
აწ მომიწოდებს ისტორია, მამა-პაპათა
დიდი სახელი და მქუხარე ერის ძახილი!..
ჩემო მეფეო, ნებას მომცემთ, თხოვნით მოგმართოთ,

რამაც აქ, თქვენთან, მომიყვანა?

მეფე. კიდევ თხოვნით? სთქვი!

ქარლოს. თანდათან უფრო მძვინვარდება ბრახანტში
შფოთი.

მეამბოხეთა თავხედობის დასამშვიდებლად
საჭირო არის მძლავრი, ბრძნული საშუალება,
ჰერცოგმა ალბამ, მეფის ნდობით მთლად აღჭურვილმა,
უნდა გადასხას იმ ადგილზე ჯარი ურიცხვი...
რა ღირსეული არის იგი მოვალეობა!
რა რიგ შეჭფერის, ეს მიანდო თქვენს შვილს, მემკვიდრეს!
ჯარი, მეფეო, მე მომანდე!

გულით ვუყვარვარ ფლანდრიელებს!

მე ჩემის თავით, ჩემის სიცოცხლით —

იმათ მაგიერ ერთგულების თავდებად ვდგები!

მეფე. სიზმარში მყოფის ბოდვა არის... ეს დიდი საქმე
ვაუკაცს მოითხოვს, არა შენებრ ნორჩ ახალგაზრდას.

ქარლოს. მოითხოვს მხოლოდ ადამიანს და კაცურ
კაცსა,

ალბა კი ამად თავის დღეში არა ყოფილა!

მეფე. მეამბოხეთა დააწყნარებს შიში და ზარი!

უგუნურებად მოწყალებას ჩამოგართმევენ;

ნაზია, შვილო, შენი სული. ალბა კი მუდამ

შეუპოვარი. მაგ შენს თხოვნას თავი ანებე!..

ქარლოს. ჯარით ფლანდრეთზე მე გამგზავნე. ანდე ეს
საქმე

ჩემს ნაზსა სულსა. თვით სახელი მეფის შვილისა
საკმარისია გასამარჯვებლად! სადაც ალბას
განადგურება დასჭირდება ცეცხლით, მახვილით,
მას მე სიტყვით დავიმორჩილებ. მუხლმოდრეკილი
გემუდარები. ჩემო ხელმწიფევე, ჩემს სიცოცხლეში

პირველია ეს ჩემი თხოვნა, მანდე ფლანდრეთი!

მეფე. (გამსკვრები თვალთ დააქჳერდება და ექვით შეჰყურებს).

განდო მთლად ჯარი მისაღწევად საშიშარ მიზნის?
დანა გადავცე ჩემს მკვლელს ხელში?

კარლოს. ღმერთო, ჩემო. აი, ნაყოფი ჩვენი შეხვედრის!
(რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ თავაზიანად).

მალერსეთ მაინც მე პასუხი ალერსიანი!

ნუ გამისტუმრებთ უგულებელს, მსხვრეულ იმედით!
თქვენი დომინგო და ალბები გაიხარებენ.

მთელის სასახლის მსახურთათვის ნუ მხდით მასხარად, —
რომ სხვა გარეშე აღვსებულა თქვენის წყალობით.

ხოლო თქვენს კარლოსს კი არ ძალუძს მცირედის თხოვნაც!
მომანდე ჯარი, ნიშნად ჩემის პატივისცემის

და გამგზავნე ფლანდრეთისაკენ!

მეფე. აღარ გაბედო კვლავ მაგ თხოვნის განმეორება
თუ არ გსურს შენის მეფის რისხვა დაიმსახურო.

კარლოს. ბედზე მივაგდებ მეფის რისხვას და ერთხელ
კიდევ

უკანასკნელად გევედრები, მანდო ფლანდრეთი,

უნდა დავტოვო ესპანეთი, უნდა გავშორდე.

მადრიდის ზეცა მიძიმედ მაწევს ამ ჩემს ნორჩ გულსა,

ვით მოლოდინი სიკვდილისა, იგი სულს მხუთავს...

მხოლოდ სისწრაფით გამოცვლილი სხვა ზეცა მიხსნის

თუ გსურთ ჩემი ხსნა, გამამგზავრეთ მაშ ფლანდრეთისკენ.

მეფე. (იძულებულის სიმშვიდით).

ესრეთს ავადმყოფს, შვილო ჩემო, როგორც შენა ხარ,

ზრუნვა სჭირია და ცხოვრება ექიმის თვალ ქვეშ.

შენ რჩები მადრიდს, ალბა ფლანდრეთს გაემგზავრება!

კარლოს. (დავიწყებით).

ჰოი, შეწევნად მომეველინეთ, კეთილნო სულნო!

მეფე. (უკან დაიხევს).

შესდექ. რას ნიშნავს შენი სიტყვა, ეგ საქციელი?

კარლოს. (ათრთოლებული ხმით).

თქვენს გადაწყვეტილს, მამაჩემო, ნუთუ არ შესცვლით?

მეფე. მეფემ უკვე სთქვა!

კარლოს. ჩემი სიტყვაც მაშ აქ სრულდება! (გადის).

მეფე. (რამდენისამე ხანს ფიქრებშია გართული. სიჩუმეა. გამოვა ალბა. მეფე გაივლ-გამოივლის, ალბა უახლოვდება).

2. იგივე და ალბა.

მეფე. ყოველ წუთში მზად იყავით, მხედართმთავარო, ბრძანებისამებრ გაემგზავროთ ბრიუსელისკენ.

ალბა. მზად ვარ, მეფეო.

მეფე. ჩემს სამუშაო ოთახში ნახავთ გამზადებულს რწმუნების ბარათს.

გამგზავრების წინ დედოფალსა გამოეცხადეთ, ბატონიშვილიც ინახულეთ.

ალბა. იგი ეხლა ხან ვნახე კარებთან,

ალანძული, გამწარებული,

და თქვენც, მეფეო, გხედავთ ფრიად აღელვებულსა — ვეჭვობ საგანი საუბრისა....

მეფე. სარდალი იყო, ჰერცოგი ალბა!

(თვალეში ჩააცქერდება გულჩათხრობით).

რომ ჩემს რჩეულთ, სამეფოს მსახურთ

კარლოს უმზერდეს შურის თვალით, შვებას ვიგრძნობდი, მაგრამ როს ზიზლით იხსენიებს — საწყენად მრჩება!

ალბა. (წამოწითლდება და უნდა უპასუხოს).

მეფე. ნურაფერს მეტყვიით. ნებას გაძლევთ მას შეუ-
რიგდეთ!

ალბა. დიდო მეფეო!

მეფე. სთქვი: ვინ იყო, ვინც მე პირველად
ბატონიშვილის შავს ზრახვაზე ექვი აღმიძრა?
მე თქვენ გისმენდით და არა მას, მსურს გამოვეცადო,
მხედართმთავარო, ჩემი შვილი და დღეის შემდეგ
დაუახლოვო იგი ჩემს ტახტს! ეხლა მიბრძანდით!

(შუა კარებიდან შემოდის დონ კარლოსი პაეტან ერთად საუბრით).

მეორე სურათი.

დარბაზი დედოფლის ოთახის გვერდით.

(შუა კარებიდან შემოდის დონ კარლოსი პაეტან ერთად საუბრით).

კარლოს. წერილი ჩემდა? — რისთვის არის ეს გასა-
ლები?

ანუ რას ნიშნავს საიდუმლოდ გარდაეცესო?
მომიახლოვდი! — ვისგანა ხარ გამოგზავნილი?

პაეტი. (საიდუმლოდ).

როგორც მანიშნა მე ერთმა ქალმა,
უნდა თქვენ თვითონ გამოგეცნოთ!

კარლო. (უკან იხევს).

რაო? ქალმაო? (თვალეებს გაუყრის).

რაო? — როგორ?

მითხარ, ვინა ხარ?

პაეტი. დედოფლის პაეტი!

კარლოს. ჩუ, საბრალოვ! ვიცი, დაჩუმდი!

(წერილს გახსნის სწრაფად და მიდის დარბაზის კუთხეში მის წასა-
კითხვად. ამ დროს შემოდის ალბა და კარლოსის შეუმჩნეველად დე-

დოფლის ოთახში შედის. კარლოსი თრთის, ხან წითლდება, ხან ფიორდება, წაკიხვის შემდეგ დიდხანს გაშტერებული სდგას და წერილს დაჰყურებს. მერე მიმართავს პაეს).

თვით მან გადმოგცა ეს წერილი?

პაეი. საკუთარ ხელით!

კარლოს. თვითონ გადმოგცა ეს წერილი? ნუ მე-
ხუმრები!

„ის ხელს ვერ ვიცილობ! გერწმუნები, თუ შემომფიცავ!
და თუ შენ ცრუობ, გულახდილად ეხლავ გამოტყდი,
დაცინვასაც თავი ანებე!“

პაეი. თქვენ დაგცინოთ?

კარლოს. (კვლავ წერილს აცქერდება და შეშინებული ეჭვის თვალთ პაეს უმზერს, შემდეგ გაივლ-გამოივლის, მერე ეთრბაშად ხელს ხელში მოჰკიდებ და ეჭვით ჩააშტერდება).

მეფემ გადმოგცა ეს წერილი?

პაეი. ბატონიშვილო! ეგეთი ეჭვი განა რითი დავიმსა-
ხურე?

კარლოს. (წერილს კითხულობს).

„ეს გასაღები გახსნის კარებს იმ ოთახისას,
„სადაც იწყება დედოფალის საპირფარეო;
„ამ კარით გახვალთ ბოლო დარბაზს, სად კაცთა ფეხი
„ჯერ არ შედგმულა და არც თვალი უდევნებიათ,
„იქ გაიგონებთ მთრთოლვარე ხმას სიყვარულისას,
„იქვე დატანჯულს ელის ჯილდო უძვირფასესი!“
(თითქოს გამოერკვევაო):

სიზმრად არა ვარ? არა ებოდავ?

— აი, ეს სწორედ ჩემი ხელია, — აი, ეს ჩემი ხმალია, —
დიან, ეს მე ვარ, სწორედ მე ვარ — მას მე ვუყვარვარ!
(ხელე აპყრობილი და აღელვებული გაივლ-გამოივლის).

პაშვი. ბატონიშვილო, გამომყევით, მე მიგაცილებთ!

ქარლოს. ჯერედ მადროვე გამოვერკვე ამ ოცნებიდან.

განა'მე ამას ვიფიქრებდი, ან მოველოდი,

ანუ ოდესმე ოცნებაში წარმოვიდგენდი?

მას მე ვუყვარვარ! მას მე ვუყვარვარ!

პაშვი. (პსურს წაიყვანოს).

აქ არ იქნება! მაგის ადგილი აქ არ არის,

დაგავიწყდათ ბატონიშვილო!

ქარლოს. (უეცარ აზრით შემკრთალი).

მამა ჩემი და ჩემი მეფე!

(ხელებს დაბლა დაუშვებს და გამორკვეული აქეთ-იქით ათვალე-რებს).

გმაილობ!.. ამ ჟამად დავიწყებას მივეცი თავი —
დღეის შემდეგ უნდა ვსდუმდე, როგორც სამარე,
და ჩემი გრძნობა ჩემსავ გულში უნდა ჩაემარხოს!..

(პაეს ხელს მოჰკიდებს. გვერდზე გაიყვანს და მნიშვნელობით).

რაც ნახე. გესმის? ანუ ჩემგან რაც გაიგონე.

ვით სამარეში. ისე ყველა გულში ჩამარხე!...

ეხლა კი წადი, მე თვით მოვალ! მაგრამ მოიცა!

(მხარზე ხელს დაადებს და მნიშვნელობით შესტკერის თვალებში).

აწ შენ თან მიგაქვს საიდუმლო უსაშინელესი,

უსაშინელესი, როგორც უხამი, კურქელს რომ ბზარავს!

მაშ უნდა შენს თავს ჰბატონობდე! ხმა არსად დასძრა!

თვით ამ უსიტყვო კედლებსაც კი ყური აქვთ სმენად!

აქვთ მოდიან! წადი ჩქარა! წადი, ნახვამდის!

პაშვი. ბატონიშვილო! იცოდეთ კი, კარი არ შეგცდეთ!

(გადის).

კარლოს. მხედართმთავარი! არა! არა! მივაგნებ, კარგი!
(შემოდის ალბა, რომელიც გზაზე გადაეღობება მიმავალ კარლოსს).

2. იგივე და ალბა.

ალბა. ბატონიშვილო, ორი სიტყვა!..

კარლოს. (შედგება).

სხვა დროისთვის! (ისევ წასვლა უნდა).

ალბა. ადგილი მართლაც უხერხულია!

იქნებ საკუთარ ოთახში დამრთოთ და მომისმინოთ?

კარლოს. რა გსურთ? აქაც შეიძლება! — მხოლოდ კი
ჩქარა,

მხოლოდ კი მოკლედ!

ალბა. მოვსულვარ თქვენთან, ბატონიშვილო,
რათა მადლობა უმდაბლესი გადაგიხადოთ...

კარლოს. მადლობა? რაზე? მე მადლობა?

მადლობა, ისიც მხედართმთავრისგან?

ალბა. იმ დროს, როდესაც თქვენ ის იყო
მეტოის ოთახი მიატოვეთ, მე თვით გადმომცა
მეფემ ბრძანება ბრიუსელზე გასალაშქრებლად!
თუ არა თქვენის მეოხებით, ბატონიშვილო,
ვერ მივიღებდი მოწყალებას ესოდენ მაღალს!

კარლოს. ჩემის? ოჰ, არა! ქეშმარიტად, სრულებით
არა!

მიემგზავრებით? მაშ უფალმა გზა წარგიმართოთ!

ალბა. სხვა არაფერი? ეს მაკვირვებს, ბატონიშვილო!
მაშ სხვა არაფერს დამავალებთ ფლანდრეთისათვის?

კარლოს. სხვა რაღას, ვითომ?

ალბა. ამას წინად ყველას გვეგონა,
თითქოს იმ ქვეყნის ბედ-იღბალი

საჭიროებდა თქვენს იქ ყოფნას.

პარლმს. როგორ? ნუთუ? — მაგრამ ჰო, სწორედ... ეს
ასე იყო!..

როგორც მოხდა, ძლიერ გარგია ბევრად,
ოჰ, ბევრად უკეთესი!

ალბა. დიდად მანცვიფრებთ!

პარლმს. (მარტივად).

დიდი სარდალი თქვენ ბრძანდებით, ეს ვინ არ იცის?

ამას შურიც კი დაიფიცავს! მე კი ჯერ ყრმა ვარ;

ასე ფიქრობდა ალბად მეფეც! ოჰ, არა ვეჭვობ,

რომ მალე თქვენის გამარჯვების ხმას გავიგონებთ.

და გაამართლებთ ღირსეულად მეფის ნდობას!

უნდა გამოვტყდე, რომ ჩემის მხრით ნაკლებ დაგზოგეთ,

და ჩემი ხმალი სულ ამარად ავმართე თქვენზე,

როცა არ ძალგიძთ ღირსეულად მოიგერიოთ...

ალბა. რაო, არ ძალმიძს?

პარლმს. (ღიმილით ხელს გაუწვდის).

ვწუხვარ, დრო არ მაქვს,

ვერც ღირსეულად შეგებრძოლებით!

არა უშავს-რა, სხვა დროს იყოს!...

ალბა. ბატონიშვილო, ჩვენ ანგარიში აგვერია სხვადა-
სხვა სახით —

თქვენ, მაგალითად, უმცროსი ხართ ჩემზე ოცის წლით,

მე კი უფროსი ამდენითვე, ბატონიშვილო.

პარლმს. მერე?

ალბა. მერე ის, რომ გვირგვინში ბრწყინავს მარგა-
ლიტი

და არა ჩვენი ღრმა ჭრილობა, რის შეწევნითაც

თვით მარგალიტი იქმნა თქვენთვის მოპოებული.

ჩემი მახვილი უცხო ერებს კანონს უწერდა,

და ჩვენს ესპანეთს აფართოვებდა.

ღმერთი ზეცაში განაგებდა, მე კი ამ ქვეყნად!

კარლოს. ღმერთი თუ ქაჯი, სულ ერთია!

მარჯვენა ხელი თქვენ ყოფილხართ, ეს კარგად ვიცი!
კმარა ბაასი!

დიდად ვაფასებ მამიჩემის ასეთ არჩევას...

ღიახ, ბრძანდებით დიდებული ადამიანი,

მხოლოდ კი ვწუხვარ, ამ ქვეყანას აღრე ეწვიეთ:

თქვენ, ალბად უნდა მოციქულად მოვლინებოდით

მეორედ მოსვლას, როცა მიწა აღვირწახსნილი

ცის სულგრძელობას ამოფხვრიდა და ქარს მისცემდა,

მაშინ სწორედ რომ იქნებოდით თქვენ თქვენს ადგილზე!

ალბა. ბატონიშვილო, თქვენი სიტყვა ღირსი არის...

კარლოს. (აღელვებული).

რის ღირსი არის?!

ალბა. თქვენ გმფარველობთ მეფის შვილობა!...

კარლოს. (ხმალზე იტაცებს).

ეგ სისხლს მოითხოვს!

ხმალი იძრეთ, მხედართ მთავარო!

ალბა. (ცივად).

ვის წინააღმდეგ?

კარლოს. (მჩიწევს).

ხმალი! ხმალი! თორემ გაგაპე!

ალბა. (ხმალს იშიშვლებს).

თუ მაიძულებთ! თუ თქვენ ასე გსურთ?..

(იბრძვიან ხმლებით. ხმაურობაზე შემოდის დედოფალი).

3. იგინივე და დედოფალი.

დედოფალი. (შეშინებული გამოვა თავის ოთახიდან ჩქარის ნაბიჯით).

ხმლების ტრიალი?! (კარლოს მუდარით). კარლოს!..

კარლოს. (შეკრთება დედოფლის დანახვაზე თავდავიწყებას მიეცემა. ხელებს დაბლა დაუშვებს, უმოძრაოდ სდგას გაბრუნებული: შემდეგ სწრაფად გაექანება ალბასთან და აკოცებს).

შევრიგდეთ, მომიტევეთ!

ჩვენ შორის იქმნეს ყველაფერი დავიწყებული!

(დედოფლის წინ უსიტყვოდ დაეცემა, მერე სწრაფად ადგება და ნებამიხდილი გარედ გაეარდება).

ალბა. (გაოცებული თვალს არ აშორებს).

იშვიათია ასეთი რამ, ზეცის მადლს ვფიცავ! —

დედოფალი. (რამდენიმე ხანს სდგას შეშფოთებული და ექვით შეპყრობილი, შემდეგ მძიმე ნაბიჯით თავის ოთახისკენ გასწევს და კარებთან შესდგება).

მხედართმთავარო, ჰერცოგ ალბა!..

ალბა. (თავს დახრის და გაჰყვება დედოფალს).

თქვენი მორჩილი.

მესამე სურათი.

სვეტებიანი ადგილი გადაჰყურებს ბაღს.

(კარლოსი მარტოდ აივანზე გადაყუდებული).

კარლოს. აქ დავუნიშნე მარკიზ პოზას მე პაემანი.

(დაინახავს შემოსულ მარკიზს).

ახ, ძლივს!

მარკიზ. რანაირი წამება ვიგრძენ.

ორჯერ მზე იგი ამოვიდა, ორჯერ ჩავიდა,

როგორ გადაწყდა შენი ბედი! სთქვი, ხომ შერიგდით?

ქარლოს. ვინა და ვინ?

მარკიზ. შენ და ფილიპე.

ფლანდრეთის საქმე, ალბად, არის გადაწყვეტილი.

ქარლოს. რომ ალბა ხვალვე გაილაშქრებს.

ღიახ, ეს არის გადაწყვეტილი.

მარკიზ. როგორ? არა! ეგ არ იქნება!

მთელი მადრიდი უნდა იქმნეს მოტყუებული?

ამბობენ, გქონდა საიდუმლო ბჭობა მეფესთან....

ქარლოს. ერთმანეთისთვის უცხონი დავრჩით, უფრო მეტად, ვიდრე ვიყავით!...

მარკიზ. მაშ არ მიდიხარ ფლანდრეთში?

ქარლოს. არა! არა! არა!

მარკიზ. ვაი, იმედო დაღუპული!

ქარლოს. მაგაზე შემდეგ!

შენ რომ დაგშორდი, რომ იცოდე რა განვიცადე!

ის უნდა ვნახო.

მარკიზ. დედაშენი? და მერე რისთვის?

ქარლოს. მაქვს რამ იმედად! რად გაფითრდი! იყავ
გულმშვიდად.

მე უნდა ვიქმნე ბედნიერი, კიდევ ვიქმნები!

მაგრამ ამაზე შემდეგ გეტყვი, ეხლა მირჩიე,

თუ როგორ ვნახო.

მარკიზ. ეგ რას ნიშნავს? რაზე ამყარებ

შენს ახალ სიზმარს?

ქარლოს. არა სიზმარს! ყოვლად შემძლებელს

ვფიცავ, რომ არა!

(წერილს გადასცემს).

წაიკითხე და განცვიფრდები!

მარკიზ. (გახსნის წერილს).

რაო? რას ვხედავ? ჩვენის ბრძანებლის
საკუთარ ხელით! მიწერილი ვის მიმართ არის?

ქარლოს. ებოლის მიმართ! მე გუშინწინ დედოფლის
პაემა

გადმომცა უცნობ პირისაგან გამოგზავნილი.
წერილთან ერთად გასაღები და თან მითხრა თუ,
მარცხენა მხარეს, სად დედოფლის სავანე არის,
იქ, იმ დარბაზში ქალი ვინმე გელოდებოა,
რომელიც ვითომ მყვარებოდეს. სწრაფ გავეშურე....

მარკიზ. და მართლა წახველ, უბედურო?

ქარლოს. ხელი ვერ ვიცან.

ვსტკვი თუ: კარლოზე იოცნებოს სხვა რომელს ძალუძს,
თუ არ იმას! გრძნობით სავსე იქით მივილტვი.

სიმღერა ტკბილი, ღვთაებრივი იმ ოთახიდან
ესმის ჩემს ყურსა და ეს უფრო წინ მიმაქროლებს...

შევალე, კარი და ვის ვხედავ? ხომ გრძნობს ჩემს ელდას!?

მარკიზ. მივხდი ყველაფერს!

ქარლოს. ოჰ, როდერიგო!

მან დიდსულოვნად თვისი გული გადამიშალა
და სიყვარულშიც გამომიტყდა!... ვერა ვუთხარ-რა...
დასძლია ბოლოს სითამამე და თვისი სული,
სული ესოდენ მშვენიერი ჩემს წინ გადახსნა...

მარკიზ. და მე მომითხრობ ამას ვერე გულდამშვი-
ლებით?

ვხედავ ებოლი შენს სულს ჩაწვდა; ექვი არ არის,
გაიგო შენი საიდუმლო სიყვარულისა...

შეურარყოფას ვერ შეიგინდობს — მეფე ხელში ჰყავს!

ქარლოს. (დარწმუნებით).

იგი კეთილის მყოფელია, სათნოიანი!

მარკიზ. ეს სათნოება, კარგად ვიცი, თუ რასაც ნიშნავს.

იგი კეთილს და სათნოიანს ნაკლებ წააგავს.
ზნეჩვეულება. ზრდილობა თუ რაც გინდ უწოდე,
ეს მხოლოდ არის შეძენილი უმანკოება.
და შენ კი ჰგონებ. თითქოს ზეცით მოვლენილ იყოს!..
თვითონ განსაჯე, მიუტევებს განა დედოფალს,
რომლის გულისთვის, ყურადღება არ მიაქციეს
გვერდს აუარეს. მიაყენეს 'შეურაცყოფა.'
ის არ დაგინდობს: არც შენ, კარლოს, და არც დედოფალს!
• **კარლოს.** და ასე ნათლად იცან ებოლი?

მარკიზ. ვგონებ ორჯელ არც კი მინახავს,
მაგრამ გავიცან საკმარისად და დამერწმუნე
მისებრი ქალი ადვილად შესძლებს შურის ძიებას!..

კარლოს. ოჰ, არა! არა! არა-მეთქი, ჩემო როდრიგო!
ნეტა იცოდე, როგორ ამსხვრევ ჩემს გულს, ჩემს რწმენას!

მარკიზ. მერწმუნე, აზრად არ მომსვლია რწმენა მო-
გისპო!

კარგი, ებოლი... დაე იყოს თუნდ ანგელოზი,
მეც შენებრ მის წინ მუხლს მოვიდრეკ და ვათაყვანებ. —
ოღონდ კი შენი საიდუმლო მან არ იცოდეს!..

კარლოს. თუ კი მართლა აქვს რამ საბუთი და დამა-
ბეზღებს,

განა მას თვითონ არ შეარცხვენს იგი საბუთი?
განა იკადრებს სულმდაბლობას, შურის ძიებას.
რომ შურს შესწიროს ქალწულისა პატიოსნება?

მარკიზ. ესეც სწორია, რომ შეარცხვენის გამოსასყიდად
ზშირად შეარცხვენას თავს სწირავენ!

კარლოს. (აღელვებით).

სანტიკად მსჯელობ, დაუნდობლად შენ იმის მიმართ!
ამაოდ ფიქრობ გამიქარვო ჩემი იმედი!

დღეს უნდა ვნახო დედარჩემი....

მარკიზ. დღეს? აბა რისთვის?

კარლოს. აწ აღარავინ გამაჩნია დასანდობელად —
მინდა ვიციოდე ჩემი ბედი!-მასზე იღონე,
თუ როგორ შეეხვდე.

მარკიზ. ეს წერილი გსურს მას უჩვენო? მართლა ასე
გსურს?

კარლოს. მკითხე, რატომ არ უნდა მსურდეს?!

მარკიზ. დედინაცვალი მიყვარსო, მითხარ, — და ამის
შემდეგ

გინდა რომ მართლა ეს წერილი იმას უჩვენო?

(კარლოსი დუმილით თავს დახრის).

ძვირფასო კარლოს, შენ სახეზე რაღაცას ვამჩნევ —
სრულიად ახალს. დღევანდლამდე სრულიად უცნობს.
თვალნი დახარე?.. ნუთუ მართლა.. მართლა მიგიხვდი?!
მომეც წერილი!

(კარლოსი წერილს გადასცემს, რომელსაც მარკიზ ხევს).

კარლოს. როგორ! რა ჰქენ ხომ არ გაგიუდი?! (წაენით).
ეს წერილი საჭირო იყო!...

მარკიზ. მხოლოდ გეგონა ვითომ იყო საჭირო იგი,
მაგრამ დაეხიე! მოვსპე გი!
გახსოვდეს კარლოს!

(ორნივე ერთი-მეორეს შესცქერიან. კარლოსი ეკვის თვალთ, მარ-
კიზი გამკრიახად).

აბა მითხარი: ორგულობას და მეფის ლალატს
რა აქვს საერთო შენს წადილთან,
შენს სიყვარულთან? საშიშია შენთვის ფილიპე?

რა კავშირი აქვს შენს იმედთან და შენს სწრაფვასთან იმას, თუ მეფე თვის სარეცელს ასე ჰღალატობს? განა შესცოდა მან იქ, სადაც შენ ასე გიყვარს?.. ეკ, წინად, წინად სულ სხვა იყო! შენ იყავ მაშინ აგრე მდიდარი, გულცხოველი და მგრძნობიარე, რომ შენსა გულში თავსდებოდა მთელი სამყარო. ყველა ეს ეხლა წასულია! ვნებამ გიმსხვერპლა. აწ შენი გული დაშრეტილა. აღარ გაქვს ცრემლი დაჩაგრულ ერთა ბედისათვის გადმოსაღვრელად! აღარ გაქვს ცრემლი! კარლოს! რა რიგ ღარიბი იქმენ რაც შენ თვით თავი შეიყვარე, სხვა კი ივიწყე!

პარლოზ. (სავარძელზე დაეცემა სიჩუმის შემდეგ ცრემლ მორეული ძლივს იმაგრებს მწუხარებას).

ვიცი რომ პატივს აღარა მცემ, აღარც გიყვარვარ!

მარკიზ. მაგას ნუ მეტყვი! სისხლის ღელვა, ვიცი, რას ნიშნავს.

ეგ იყო მხოლოდ ცდომილება კეთილ გრძნობათა. შენ გეკუთვნოდა დედოფალი, მეფემ მოგტაცა დღემდე შენ მაინც შენს უფლებას ექვით შესცქერდი — იქნებ ფილიპე ღირსიც იყო ძვირფასს საუნჯის. — ამ აზრს იღუმალ წარმოსთქვამდი, მაგრამ წერილმა ნათელჰყო ყველა; ღირსეული შენ იყავ მხოლოდ! ეხლა მედიდურ სიხარულით შენს ბედსა უმზერ. აქ მხოლოდ შენი ოცნება შესცდა. მან სიამაყით დაგაჯილდოვა და აღგივსო გული იმედით.

ხომ ხედავ, კარლოს,

მიტომაც ვიყავ დარწმუნებული — შენს თავს ვერ სცნობდი!

პარლოზ. (ნაწყენი).

ცდები, როდრიგო! რასაც შენ მაწერ,

მაგრე რიგ კეთილშობილურად არ ვაზროვნებდი!

მარკიზ. ოჰ, არა, კარლოს! კარგად გიცნობ! მაგას ნუ ამბობ!

ხედავ, როდესაც ხარ ცდომილი, ვეძებ შენს მრავალ სათნოებაში იმ ერთად ეროს, რომელს მე ძალმიძს ვუწოდო ნაკლი. მაგრამ ეხლა რაკი ერთმანეთს აღარ ვუწყობით — დე ასე იყოს, ჰნახავ დედოფალს!

პარლოს. (მოეხვევა).

ჩემო როდრიგო! შენს წინაშე რა რიგ ვწითლდები!

მარკიზ. მე სიტყვა მოგეცე; დანარჩენი მევე მომანდე. როგორც იქნება ვინახულებ დღესვე დედოფალს და, შესაძლოა, ხვალვე შენთვის ყველა გაცხადდეს! ხოლო მანამდე, ჩემო კარლოსს, არ დაივიწყო, რომ ჩვენს განზრახვას, წარმოშობილს მაღალ გონებით — მაინც არ უნდა ელაღატოს! ხომ გესმის, კარლოს? თუმც კაცთა ვნება მას უქადის ადრე ჩაქრობას, — მარად გახსოვდეს დაჩაგრული მხარე ფლანდრეთი!

პარლოს. მარკიზ! ყველაფერს შევასრულებ, რასაც შენ და ის —

ჩემი ღვთაება — დამავალებთ!

მარკიზ. დროა, წავიდეთ.

პარლოს. კვლავ ერთი სიტყვა! ცოტას გადარჩა, დამავიწყდა:

მეტად საჩინო ცნობა ვიცი — თურმე ბრაბანტში გასაგზავნ წყაროს საიდუმლოდ მეფე კითხულობს. ეს შენც იცოდე. ბრძანება აქვს ფოსტას ფარული...

მარკიზ. საიდან იცი შენ ეგ ცნობა?

პარლოს. დონ რაიმონდი, გრაფ ტაქსისი, მეგობარია!..

მარკიზ. (მცირე სიჩუმის შემდეგ)

ეგეც არის? მაშ ჩვენი გზა

სხვა გეზს მიიღებს!

გერმანეთისკენ გადაუხვევს! აბა მშვიდობით!

(გადიან. ლაპარაკით შემოდიან ალბა და დომინგო).

4. დომინგო და ალბა.

დომინგო. რა გსურდათ გეთქვათ?

ალბა. ერთი რამ დიდად საგულისხმო აღმოვაჩინე.

დომინგო. რა საგულისხმო? რაზედ ბრძანებთ?

ალბა. მე და კარლოსი

სწორედ დედოფლის ოთახის წინ ერთმანეთს შეხვდით!

შეურაცყოფა მომაცენა.

ორნივე გავცხარდით.

ხმლებს ხელი ვსტაცეთ. უცბად ჩნდება თვით დედოფალი.

დგება ჩვენ შუა. აცქერდება ბატონიშვილსა —

ეს იყო მზერა სულ სხვა გვარი — მთლად გაშრა კარლოს,

დადუნდა იგი, მერე უცებ ყელს შემომეჭდო...

მხურვალე კოცნა ვიგრძენ ერთი და კიდევ გაქრა!

დომინგო. ეგ მართლაც, რომ საექვო არის... უნდა გა-
მოვტყდე,

დიდი ხანია გულში მიძევს მაგვარი ექვი!

მაგრამ დავფარე, ვერვინ ვპოვე, მისთვის გამენდო!

არის მახვილი გალესილი, ორპირად მქრელი —

ძნელად საცნობი მეგობარი — ამას ვუფროთხოდი!

ძნელად გაზომავ, უფრო ძნელად ზრახვას მიხვდები,

ნათქვამი სიტყვა თვით განანებს და ამიტომაც

ჩემს საიდუმლოს ისევ ჩემსავ გულში ვმარხავდი,

ვიდრე დრო ამას სინათლეზე არ გამოჰფენდა.

იესოს ნაწილს გეფიცებით — თვალთა მოწმობას,

ყურმოკრულ სიტყვას, სჯობს ნაგლეჯი მცირე წერილის!

თქვენც კარგად იცით, რა საშინელ ზრახვებს ატარებს

ბატონიშვილი....

იგი აზროვნობს! გონებასაც ოცნებით კვებავს...
მცირენი უყვარს და პატივს სცემს ის ადამიანს!
ვერ გამოდგება ამისთანა კაცი ჩვენს მეფედ!

ალბა. მუდამ ასე ხომ არ იქნება? ბევრს რამეს შეს-
ცვლის,

როს მოვა ჟამი მეფობისა და ბრძანებლობის.

ლომინძო. ესრეთი ლალი, გამბედავი, მსრბოლავი
სული

ივარგებს განა ძლევამოსილ ჩვენი ტახტისთვის?
ხოლო ფილიპე სამოცის წლის უკვე შესრულდა!

ალბა. თვალი გქონიათ მეტის-მეტად შორს გამკვრე-
ტელი!

ლომინძო. კარლოს და ჩვენი დედოფალი სწორედ
ერთეულს

წარმოადგენენ. იმათ გულში ახალი აზრის
და მისწრაფების უხამი ტრიალებს.

უნდა ვშიშობდეთ! მცირე ხანიც და ტახტს დაიჭერს!
ჯერ კიდევ ბედი ჩვენკენ არის... ეხლავ ვისწრაფოთ,
ორნივე ჩავყაროთ ერთს ორმოში... ეხლავ ჩვენს მეფეს
ექვი რამ გულში შევაპაროთ, ექვი საზარი.
მას დაარწმუნებს რამეში, თუ არ დაარწმუნებს,
მაინც ვიქნებით მოგებულნი, რადგან იეჭვებს!

ალბა. ეს ყველა კარგი, მაგრამ მეფის გულისხმად
ყოფას

ჩვენში ვინ შესძლებს? ვინ იკისრებს?

ლომინძო. არც მე და არც თქვენ. მაშ შედეგიც,
გთხოვთ მომისმინოთ:

დიდი ხანია მე ამ გეგმას აზრითა ვსწონავ.
მეფე ფილიპეს, რა დავფარო, უყვარს ებოლი
და მე ამ ვნებას უფრო მეტად ხელსაც ვუწყობდი.

მე ვიყავ მისი მოციქული იმ ქალისადმი.
მე ამ არსებას ვამზადებდი ჩვენის მიზნისათვის!
ამ ნორჩ ასულში — ჩვენი ზრახვა ოღონდ ასრულდეს —
გადაგვეშლება მოკავშირე და დედოფალი!
თვით დამინიშნა ამ ადგილზე მან პაემანი!
წადილს მივალწევთ — და ერთ ლამეს ელისაბედის
ნორჩი ზამბახი იქნებ ქალმა ესპანეთისამ
მოსრას სასტიკად, არ ამყოფოს, გაანადგუროს!..

ალბა. ღირსო მამაო, თქვენის ჭკუით დიდად მანცვი-
ფრებთ!

ეხლა-კი მჯერა, გამარჯვება ჩვენი იქნება!

ლომინძო. ვილაცა მოდის!

5. ებოლი.

მბოლი. ჩემის მეტოქის მეოხებით დაგმობილი ვარ...
შეურაცყოფილ-შერცხვენილი... მაშ დამაცადეთ!...
ვაჰმე უგუნურს! — ამერია ეხლა კი თვალნი!
მათ ერთმანეთი გულით უყვართ დიდი ხანია —
უწინაც, ვიდრე მას ფილიპე შეიუღლებდა!
მაშ ყოველივე მხოლოდ იმას, ერთს ეხებოდა,
მე კი მეგონა, მე უბედურს, ჩემდა მოძღვნილი
და მიტომ იყო, გამოუტყდი ჩემს სიყვარულში.
მისი ამბორი რაროგ ტკბილი, მსურვალე იყო!
რაროგად ნაზად მეხვეოდა, გულში მიკრავდა!
და თურმე იმას სათაყვანოდ სულ სხვა ჰყოლია!
რა მოსაწონი ბრძანებულხარ, ოჰ, დედოფალო!
ყველას წინაშე ფრთებსა შლიდი, როგორც უმანკო,
თითქოს არსება ყოფილიყავ უზენაესი!..
შურით გიმზერდი! და ყველა ეს თურმე ყოფილა

თვალთ-მაქცობა და ხელოვნური მოჩვენებანი?!
მას სურვებია სათნოების სახის ტარებაც
და ამავე დროს ავ-ხორცობის ჟინის დატკობაც, —
ნუთუ შემდეგშიც უნდა დარჩეს გაუმჟღავნებლად?
ეხლა მას ჩემგან მიეძღვნება შურის-ძიება!
ნეტა სად არის აქნობამდის ბერი დომინგო?! (იხედება).
ოჰ, აგერ ისიც! რა ხანია გელით, მამაო!

(შემოდის დომინგო).

6. იგინივე და დომინგო.

დომინგო. მზად ვარ ვუსმინო თქვენს ბრძანებას, მზეთ-
უნახაო!

ეპოლი. იგი ვინ იყო, რომ გაგშორდათ?

დომინგო. მხედართმთავარი, რომელიც გთხოვთ ჩემს
შემდეგ ნახოთ?

ეპოლი. მხედართმთავარი? რა უნდა მას?

ან რა საქმე აქვს?

დომინგო. მე მოგახსენებთ, მაგრამ ჯერედ მსურს ეს
გავიგო,

რა შემთხვევაა? ხელ-მეორედ რად დამიბარეთ?

(სიჩუმე. პასუხს ელის).

იქნებ იპოვეთ მიზეზი რამ, რაიც მეტყველობს
მეფე ფილიპეს სურვილისთვის. ან იქნებ უნდა
ვიმედოვნებდე, რომ თქვენ უკვე, როგორც გირჩიეთ,
მთლად შეურიგდით ჩვენი მეფის წინადადებას
და ეხლა მზად ხართ დაჰყვეთ მეფეს თქვენისვე ნებით?

ეპოლი. დიახ, მე მზად ვარ! — მოახსენეთ, მოველი
მეფეს!

ლომინაშო. გონს ვერ მოვსულვარ! ეს ამბავი ვერ გა-
მიგია...

მამოლი. და ნურც ეცდებით, რომ გაიგოთ — იკმარეთ
ესა!

ნუ შეიწუხებთ თავს აგრედვე იმის ჩხრეკაში,
თუ თქვენ ვის უნდა უმადლიდეთ, მე რომ ვნებდები
მეფის სურვილებს — მეფის ესრეთ ვნებათა ლელვას!..
თქვენ სანუგეშოდ ძალმიძს მხოლოდ ეს დაეუმატო,
რომ ამ ცოდვაში არ მიგიძღვით თქვენ მცირე ბრალი.
არც ეკლესიას, თუმც ამაში თქვენ მარწმუნებლით,
რომ დამდაბლება, ზნე-დაცემა შესაძლო არის,
თუ ეკლესიას ნორჩ ასულის ტანი სჭირდება
უდიდეს მიზნის და სურვილის შესაწირავად!
სთხოვეთ ჩემის მხრით, მეფემ სხვაფრივ არ ჩამომართვას—
ესრეთი ქცევა! იგივე ვარ, როგორიც ვიყავ.
გამოიცვალა მხოლოდ საქმის გარემოება.
თუ მე მის თხოვნას სამღურავით უკუ ვაგდებდი,
ვფიქრობდი, იყო ბედნიერი თვისი მეუღლით
არ მსურდა მსხვერპლად გამეხადა მე დედოფალი!
ესე ვფიქრობდი მხოლოდ უწინ, ეხლა კი მორჩა!

ლომინაშო. განაგრძეთ, ჩვენ ერთმანეთისა კარგად
გვესმის.

მამოლი. კმარა! ის მოჰყვა ჩემს მახეში! აღარ დავზოგავ,
ცბიერი ქურდი გაბმულია. მას გულით უყვარს —
ამის საბუთი ჩემს ხელთ არის და ვაიძულებ
სირცხვილით ძრწოდეს!

მთელმა ქვეყანამ დაინახოს ცოდვილის შუბლი!
მას ჩემის ხელით სათნოების ნილაბს ჩამოვხევე,
ვიცი, ეს ძვირად დამიჯდება, სამაგიეროდ
ვიგემებ გულით აღტაცებას, სიამოვნებას!

ხოლო იმას სამსალას ვასმევ!

დომინგო. ეხლა კი დროა! საქმე მომწიფდა!
ეხლავ ალბას აქ დავუძახებ!

7. იგივე, ალბა და დომიგო

ეპოლი. ეს რას ნიშნავს?

7. იგივე, ალბა და დომინგო.

დომინგო. ძველის-ძველი ყოფილა თურმე,
მხედართმთავარო, წედან თქმული ჩვენი ამბავი!
პრინცესამ იგი საიდუმლოდ გადამიშალა,
რაიც ჩვენ უნდა გაგვემქლავნა!..

ალბა. მაშ, ჩემი მოსვლა ასე დიდად არ განაცვიფრებს.
მე ჩემს თვალებსა ვერწმუნები ძლიერ ნაკლებად;
სწორედ ამ გვარის საგულისხმო აღმოჩენისთვის
საჭირო არის დედაკაცის გამჭრიახობა.

ეპოლი. მე საბუთი მაქვს, რომლის გამო სასტიკად
სჯიან!

ალბა. მეფემ უნდა მალე გაიგოს,
ყოველი წამი

ჩვენ ძვირად გვიღირს, რადგან ველი მეფის ბრძანებას,
რათა დავსტოვო ესპანეთი, ფლანდრეთს წავიდე!..

დომინგო. (ფიქრის შემდეგ).

იქნებ როგორმე ჩავიგდებდეთ ხელში წერილებს,
თუნდაც წერილებს კარლოსისას და დამერწმუნეთ
ესენი უფრო მოახდენენ შთაბეჭდილებას...

ეპოლი. ბატონიშვილის მე მტერი ვარ დაუნდობელი!

დომინგო. ვგონებ თქვენ გძინავთ დედოფლის ახლო...
თქვენ რომ შესძლებდეთ ყუთის გასაღებს....

ეპოლი. შესაძლო არის, ჩვენ ხელთ ვიგდოთ ის გასა-
ლებიც...

დომინგო. ეს რომ მოხერხდეს...

ალბა. გავიმარჯვებთ აუცილებლად!...

ეპოლი. (წასვლას აპირებს).

მაშ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევხვდებით
ვიდრე მეფესთან ვილაპარაკებ.

დომინგო. (ებოლის გვერდზე გაიყვანს).

ეგებ კიდევ რამე აღმოჩნდეს.

მაშ, შეუძლიან ჩვენს ბრძანებელს იმედი ჰქონდეს?

ხომ ნებას დამრთავთ ეს ამბავი ვაცნობო იმას?

რა დრო იქნება, ნეტარი დრო, როდესაც მეფე

თავის სურვილებს აისრულებს, მზეთ-უნახაო?

ეპოლი. მე ამ დღეებში განგებ ვითომ ავად გავხდები
და დედოფლისა განშორებით საწოლს მომცემენ...

და ჩვენ ამ ხანად ავისრულებთ კიდევ სურვილებს...

დომინგო. მშვენიერია! საუცხოვო!

ეპოლი. აბა, ნახვამდის! (გადის).

დომინგო. (თვალს გააყოლებს ებოლის და მერე ეშმაკურად
ალბას).

მხედართმთავარო, ეს ყვავილი და თქვენი ბრძოლა!..

ალბა. და შენი ღმერთი... აწ არაფრის არ მეშინიან!

(გადიან).

მოქმედება მისამე.

მეფის სამუშაო ოთახი. ღამის მაგიდაზე ორი ჩამწვარი
სანთელი ანთია.

პირველი სურათი.

გამოსვლა პირველი.

მეფე. (ღამის ტანისამოსში მაგიდის წინ სდგას. ღრმად ფიქრში
წასულს ცალი ხელი სავარძელზე აქვს დაყრდნობილი. მის წინ მე-
დალიონი და სურათები აწყვია).

წინედ რომ იყო მეოცნებე, ექვი არ შემაქვს!
ვერ შევძელ მისთვის სიყვარული გულს შთამენერგა...
ან კი როდისმე სიყვარულსა საჭიროებდა?..

დღეს კი სჩანს ცხადად, რომ ყოფილა იგი ცბიერი.
(ამოძრავდება და ნებაუნებლიეთ გამოერკვევა. გაოცებულია).

ნეტა სად ვარ? მეფის გარდა აქ არვინ ვხიზლობს?
როგორ? სანთლები მთლად ჩამწვარან? ნუ თუ დღემ
მისწრო?

აწ ჩემთვის ძილი გარდასულა! აჰა, ბუნებავ,
მიიღე იგი და ჩასწერე შენს გასაველში.
მეფეს სადლა აქვს იმდენი დრო, რომ დაკარგული
ლამე შეავსოს?

რადგან ვფხიზლობ, დაე გათენდეს!

(სანთლებს აქრობს და ფანჯრის ფარდას ხსნის. გაივლ-გამოივლის).

იქნებ მისაღებ დარბაზში ვინმე ფხიზლობს!

(ზარს დაუკრავს).

გამოსვლა მეორე.

(შემოდის ლერმა).

ლერმა. (შეკრთება მეფეს ასე რომ დაინახავს).

მეფეო, თქვენი სიდიადე თავს კარგად ვერ გრძნობს?

მეფე. მარცხენა მხარეს სასახლეში სინათლე იყო?

ხომ არ გსმენიათ ხმაურობა?

ლერმა. არა, მეფეო!

მეფე. როგორ თუ არა? ნუთუ მხოლოდ ეს მომეჩვენა?

შესაძლო არის? იმ ნაწილში განა დედოფალს არ სძინავს?

ლერმა. დიახ!

მეფე. სულს მიშფოთებს იგი ჩვენება!

გააძლიერეთ შემდეგისთვის დარაჯთა რიცხვი —
გესმით? ბინდისას, — როდესაც კი შემოლამდება —
მაგრამ სრულიად საიდუმლოდ და სხვის უცნობლად.
მე არა მსურს, რომ... თვალებში რას მომჩერებიხართ?

ლერმა. ვამჩნევ თვალები აგნთებიან, დიღო მეფეო,
იგინი ეხლა მოსვენებას საჭიროებენ.

ნებას მიბოძებთ, მოგაგონოთ ჩვენთვის ძვირფასი
თქვენი სიცოცხლე? ორი საათის ძილით მაინც
რომ მოისვენოთ განთიადზე...

მეფე. მოვისვენებთ ესკურიალში, მამა-პაპათ ყრუ სა-
ვანეში!..

აქ კი, როდესაც მეფეს სძინავს, შესაძლო არის
დაჰკარგოს თვისი გვირგვინი და სამეფო ტახტი
და ცოლის გული....

მაგრამ არა, არა და არა!

ცილის წამება, მბებულრობაა! ის დედაკაცი

არ იყო განა, რომელმაც მე ეს ჩამჩურჩულა?
ჩემს შერცხვენას არ დავიჯერებ თუ მამაკაცი
არ დაამოწმებს... აქ მომიხმეთ მხედართმთავარი!
(ლერმა გადის და ისევ შემოდის).

მომიახლოვდით, გრაფო ლერმა! მართალი არის?
(ჩააქერდება დიღხანს).

— ოჰ, ნეტამც ვიყო ერთის წუთით გულთა-მხილავი! —
მართალი არის? შემომფიცეთ, მოტყუებულ ვარ?
ხომ მართალია?!

ლერმა. დიდებულო, ძვირფასო მეფევე!
მეფე. (უკან დაიხევს).

მეფე და მეფე! მხოლოდ მეფე და კიდევ მეფე!
სხვა უკეთესი პასუხი არ მოგეპოვებათ,
თუ არა იგი ცარიელი უშინაარსო
გამოძახილი? მე კლდეს დავკარ, მინდოდა წყალი,
წყალი უდიდეს წყურვილისთვის, ეს კი მის ნაცვლად
გავარვარებულ ოქროს მაწვდის!..

ლერმა. რა უნდა იყოს, მეფევე, მართალი?

მეფე. არაფერი! სულ არაფერი! მარტო დამტოვეთ!

(ლერმა გადის. მეფე უკან ეძახის).

გრაფ! თქვენ ხომ ცოლი გყავთ და შვილებიც?

ლერმა. დიახ, მეფეო!

მეფე. მეუღლე გყავთ და ამ ღროს ჰბედავთ, ჰბედავთ,
ეს მთელი

ლამე ბატონთან გაათიოთ? ეგ თმა ვერცხლივით
გაგთეთრებიან და იმავ ღროს არც კი სწითლდებით.
რომ ერწმუნებით თქვენის მეუღლის ერთგულებას?!
ოჰ, წადით სახლში, სახლში დაბრუნდით და იქ ნახავთ

თქვენს შვილს თქვენსავე მეუღლესთან სისხლით შე-
რეულს!

დაუჯერეთ თქვენს მეფეს, წადით, —
ეგრეთის სახით რას მიმზერთ?

რომ მეც ქალარა შემრევია? გონს მო, საბრალოვ!
თვის სათნოებას დედოფალნი არ შებლაღავენ, —
უკეთუ ექვი შეგეპარათ, ვაჰ თქვენი ბრალი!..

ლმრმა. (მხურვალედ).

ვის შეუძლიან?!

ვინ უნდა იყოს, რომ გაბედოს ექვის შეტანა
ჩვენის დედოფლის ანგელოზებრივ სათნოებაში?
ესოდენ დიდად სანუკველი დედოფალი ხომ...

მეფე. სანუკველიო? მაშ თქვენთვისაც სანუკველია?

ვხედავ გარშემო მეგობრები გაუჩენია —

ეს, ჩემის ფიქრით, ძვირად უნდა მას დასჯდომოდეს.

და უფრო ძვირად, ვიდრე რისამე გაცემა ძალუძს.

თავისუფალ ხარო! ჰერცოგ ლაბას აქ დამიძახეთ!

ლმრმა. წინა დარბაზში უკვე მესმის მისი ფეხის ხმა!

(წასვლას აპირობს).

მეფე. (დაზავებით).

გრაფო, რაც წელან შემამჩნიეთ, მართალი არის:

ლამის გატებით შუბლი მიხურს, თავი მისქდება...

აწ დაივიწყეთ, რასაც წელან ცხადლივ ვბოდავდი!

(ხელს გაუწვდის სამთხვევლად. ლერმა გადის. და ალბას კარებს
ულეებს).

3. გამოსვლა. იგინივე და ალბა.

ალბა. (განცვიფრებული უახლოვდება).

მოულოდნელი ბრძანება და მერე ასეთ დროს?

(დააკვირდება მეფეს და შეკრთება).

ეგ თქვენი სახე?!.

მპჰპ. (დაჯდება და მედალიონს ხელს წაავლებს. რამდენიმე ხნის განმავლობაში უსიტყვოდ შესცქერის).

მართალია? მაშ მართალია?

ნუთუ ერთგული მე მსახური აღარავინ მყავს?

ალბა. როგორ, მეფეო!

მეფე. ეგრეთ გვარი სულის მომწყვლელი შეურაცყოფა მომელოდა — ყველამ იცოდა, არვინ აღმოჩნდა წინასწარი გამფრთხილებელი?

ალბა. შეურაცყოფა ჩემის მეფის? და ეს როგორ გამომეპარა?

მეფე. (წერილს უჩვენებს).

იცნობთ ამ ხელს?

ალბა. ბატონიშვილის ხელი არის!

მეფე. თუ რას ნიშნავს ვერ მიხვედრიხართ?

მხედართმთავარო, ჩემად ესდენ გასაფრთხილებლად მომაგონებდით იმის პატივმოყვარეობას, და განა მართო იგი იყო ჩემთვის საშიში?

ალბა. დიდო მეფეო, სიტყვას: პატივმოყვარეობას ფართე და მეტად მრავალმხრივი აქვს მნიშვნელობა, და შეგვიძლიან შინაარსი სხვადასხვა მივცეთ.

მეფე. სახელდობრ სხვა რა? იქნებ ეხლა მოისურვებდეთ

მაგ სხვადასხვა შინაარსის გაცნობას? აბა?!

ალბა. (სიჩუმის შემდეგ).

დიდო მეფეო, თქვენ მომანდეთ მე, ერთგულს მსახურს, მარად ფხიზელი მზრუნველობა სახელმწიფოსი.

სამეფოსადმი ვარ მოვალე ჩემის შორს მქვერტელ ცოდნით თუ ხერხით, დაკვირვება-გამოცდიბლებით, ხოლო სხვაფრივ კი: თუ რამე ვიცი,

მას ვერვის ვეტყვი. იგი ჩემი საკუთრებაა!
და თუ ისურვებთ, კერძო ჩემი აზრი გაიგოთ
გთხოვთ, გამომკითხოთ არა როგორც გვირგვინოსანმა...
მეფე. (წერილს აწვდის).

ეს წაიკითხეთ.

ალბა. (წაიკითხავს და მეფეს შემკრთალად შეხედავს).

რომელმა შმაგმა გადმოსცა მეფეს?

მეფე. რაო? მაშ იცით შინაარსი, ვისაც გულისხმობს?

სახელი მისი არ სწერია...

ალბა. (შეკრთება და უკან დაიხევს).

მეფე. მაშ, იცოდით?

ალბა. (უოცმანის შემდეგ).

გამჟღავნებულა!

მეფე მიბრძანებს — გვიან არის უკან დახევა. —

ველარ ვიცრუებ — დიახ, ვიცი!..

მეფე. (აენტება და გაშმაგდება).

ოჰ, მასწავლე შურის ძიების საზარო ღმერთო,

ახალი ტანჯვა!.. ყველას სცოდნია!

არ მოველოდი! უკანასკნელმა

მე შევიტყე, უკანასკნელმა მთელს სამეფოში!..

ალბა. (ფეხთ ჩაუვარდება).

ბრძანებელო, დამნაშავე ვარ!

მრცხვენის ჩემის მხდალის გონების,

რადგან მიჩრევედა დაღუმებას, როცა მე უნდა

ხმა ამემალლა, როცა სხვები ვერა ჰბედავდნენ,

მეფის პატივი, სამართალი და სინამდვილე

მე ვალად მდებდა გაბედულად ამეტყველებას!

და რადგან ჯაღო სილამაზემ მშვენიერებამ

ენა დაუბა, მე გავბედავ, ვილაპარაკო...

მეფე. (გაგულისებით). ადექ ზეზე!

მეფური სიტყვა მომიცია, — ადექით ზეზე,
მელაპარაკეთ გაბედულად.

ალბა. (აღვება). ეგებ, მეფეო, მოიგონებდეთ
არანაუცში მომხდარ შემთხვევას?

ბაღში თქვენ ჰპოვეთ დედოფალი მარტოკა მყოფი.
აზრ-დაბნეული. უმალოდ ერთს განაპირა ხეივანში....

მეფე. მერე?

ალბა. თქვენ იქ განრისხდით და განაძევით მონდეკარი,
რადგან იმდენად

დიდსულოვნობა გამოიჩინა, რომ შეეწირა
მსხვერპლად დედოფალს....

ესლა გავიგეთ — მოქცეულა მონდეკარ ისე,
როგორც ჰქონია ნაბრძანები...

ბატონიშვილი იქ ყოფილა...

მეფე. (წამოვარდება).

იქ ყოფილა ბატონიშვილი?!

ალბა. დიახ, მეფეო. სანამ თქვენ იქ მობრძანდებოდით!

მეფე. (შავ ფიქრებში წასული).

როგორ სტიროდა?

რადგან, ვითომდა შევეურაცყე მე ჩემის ექვით!

მან, გამაწითლა ყველას წინაშე!

ჩემი თავისაც მე თვითონ შემრცხვა... ო, თვალთმაქცობა!

(ხანგრძლივი სიჩუმე).

ვიდექ განსჯილი თავდახრილი...

(დაჯდება და სახეს ხელებით დაიმალავს).

ახ, მართალს ბრძანებთ, სრულს სიმართლეს მხედართ-
მთავარო!

და ამას ძალუძს მიმიყვანოს საზარ საქმემდის!

მარტოდ დამტოვეთ.

ალბა. ჯერ გადაჭრით არა ითქმის რა.

მეფე. (ქალაღს წასწვდება).

ესეც არაფერს? ესეც? ესეც? არა?

ყველა მეტყველი დამოწმება არაფერია?

ოჰ, ნათელია, ვით მზის სხივი—ეს მე ვიცოდი დიდი ხანია!

ეს ურცხოება მაშინ დაიწყო,

როცა მეუღლედ თქვენის ხელით მე ჩამაბარეთ!..

მახსოვს მადრიდში გაფითრებული

შემკრთალი თვალით დააშტერდა ის ჩემს ქალარას!

სწორედ იმ ხნიდან თვალთმაქცობა არის მათ შორის!

ალბა. ბატონიშვილმა ახალგაზრდა თავის დედაში

დაკარგა თვისივე დანიშნული, თვისივე საცოლვე.

სურვილით იყვნენ უკვე ორნივე შეერთებულნი,

ცხოველის გრძნობით ერთმანეთსაც თანაუგრძნობდნენ,—

როს გადელობა მათ ახალი გარემოება...

შეთანხმებულნი აზროვნობით და წლოვანობით, ,

ერთს და იმავე ძალადობით აღშფოთებულნი

მისდევდნენ ვნების მღელვარებას კადნიერებით...

ქალი სიყვარულს მოელოდა, დიახ, სიყვარულს,

მან კი მიიძღვნა სადედოფლო მხოლოდ გვირგვინი!

მეფე. (გულნატყენი სიმწარით).

ძალიან ბრძნულად, ბრძნულად მსჯელობთ, მხედართ-

მთავარო!

გავკვირვებულვარ მე მაგ თქვენის ენა მქვერობით!..

გმადლობთ ამისთვის! (წამოდგება, ცივად, ამაყად).

მართალს ბრძანებთ, თქვენ მართალი ხართ!

დიდად შესცოდა დედოფალმა, რომ წერილები დამიმალა...

რომ მან თავისის უადგილო დიდსულოვნობით

არ აღვიარა ბაღში მისვლა ბატონიშვილის;

იგი ამაშიც დიდად შესცდა და ახლა ვიცი,

თუ როგორ დავსჯი. (ზარს რეკავს).

მხედართმრავარო, აწ მიბრძანდით, აღარ მქირდებით!
(შემოდის პაუი).

ალბა. იქნებ, მეფეო, მე ამ ჩემის გულმოდგინებით,
კვლავ თქვენი წყრომა დავიმსახურე?

მეფე. (პაუს, რომელიც შემოვიდა ზარის ხმაზე).

დომინგოს დამიძახე! (პაუი გადის).

(გაივლ-გამოივლის).

4. გამოსვლა. შემოდის დომინგო.

დომინგო. (მეფეს უახლოვდება და მცირე ხანს გამარჯვებით
უმზერს).

საამოდ მიკვირს, რომ ეგრე მშვიდს და დაწყნარებულს
გხედავ, მეფეო!

მეფე. რაო? გიკვირთ?

დომინგო. მადლი განგებას, რომ ჩემი შიში უსაფუ-
ძვლო ყოფილა, მეფე!

მეფე. რა თქვენი შიში? ან რა იყო განა საშიშო?

დომინგო. დიდო მეფეო, რომ დავფარო, არ შე-
მიძლიან,

მეც ვიცი ერთი საიდუმლო...

მეფე. განა ვინ გთხოვათ საიდუმლოს გამომჟღავნება?
დაუკითხავად ვინა ჰბედავს აქ მეტიჩრობას?
თაუნედობაა, ვფიცავ ჩემს სახელს!..

დომინგო. დიდო მეფეო,
გარემოება, ის ადგილი, თუ ის შემთხვევა,
რომელთ მიზეზით მე შევიტყე ეს საიდუმლო,
მანთავისუფლებს მე ყოველგვარ საყვედურისგან.

აღსარების დროს მე გამანდო რაც გულზე აწვა
უმძიმეს ტვირთად და ელოდა ღვთით პატიებას!
პრინცესა ეხლა თუმცა ნანობს თავის საქციელს,
რადგან მიხვდა რა შედეგიც ამას მოყვება,
საშინელება დედოფლისთვის დატრიალდება,
მაგრამ, მეფეო, გვიან არის!

მეფე. მართლა! რა კეთილ გულის ყოფილა!.. თქვენ
მიმხვდარხართ,

თუ რად მოგიხმეთ. თქვენ, თქვენ უნდა გამომიყვანოთ
წყვედიანით მოცულ ჯურღმულიდგან, რომელშიც ჩემმა
დაბრმავებულმა, უსინათლო ექვიანობამ ასე შთამაგდო.
სიმართლის თქმას თქვენგან მოველი.
ილაპარაკეთ გულახდილად.
სთქვით, რაც იცით!

ღოჭინჯო. დიდო მეფეო, გთხოვთ თვით თქვენის სიმ-
შვილისათვის,

როს გაგიმჟღავნოთ, წყნარად დარჩეთ.
სამუდამოდ თავი ანებეთ იმ საიდუმლოს გამოკვლევასაც.
ეს გამოკვლევა, არ მიგიყვანთ კეთილ დასკვნამდე!
რასაც გაიგებთ, შეგიძლიათ შეუდლოთ იგი!
მხოლოდ მუდმივი სიმშვიდე და სულის სიწყნარე
ჩემის მეფისა გააქარწყლებს მოფენილ ავს ხმებს...

მეფე. მოფენილ ავს ხმებს? რომელ ხმებს? ჩემზე? ჩემს
ხალხში?

ღოჭინჯო. ვფიცავ, რომ მხოლოდ სიცრუეა, მაგრამ
მეფეო,

არის შემთხვევა, ოდეს რწმენა, თუ ხმა ხალხისა,
თუნდაც რომ იგი სულ არ იყოს დამტკიცებული,
სიმართლეს თვისის მნიშვნელობით აქარბებს ხოლმე!..

მეფე. ვფიცავ, რომ აქაც აგრე უნდა ყოფილიყო...

დომინგო. კარგი სახელი, ერთად ერთი უძვირფასესი საუნჯე არის ყველასათვის... დედოფლისთვისაც!

მეფე. (დააცქერდება გაბოკითხვით).

ჩემო ხუცესო,

კიდევ რალაცა უარესი უნდა ვისმინოთ?

რაც უნდა იყოს, სთქვით და მორჩით!

რას ლაპარაკობს ჩემი ხალხი?

დომინგო. კვლავ მოგახსენებთ, დიდო მეფეო, შეიძლება ხალხი სცდებოდეს,

და სცდება კიდევ!

მეფე. როგორ, წვეთი შხამის გულისთვის ამდენი უნდა მახვეწნიოთ?!

დომინგო. ხალხი ჯერ კიდევ, მბრძანებელო, იმ თვეს იგონებს,

როცა იყავით ავადმყოფი სიკვდილის პირად დასუსტებული ბრძანდებოდით, ღონე მიხდილი... და ამის შემდეგ ოცდა ათმა კვირამ-ლა განვლო, მოილოგინა დედოფალმა სვებედნიერად!..

გამოსვლა 5.

მეფე. (წამოვარდება და ზარს დარეკავს. შემოდის ალბა. დომინგო შეშინებულია).

მხედართმთავარო! ხომ ვაჟკაცი ხართ. მაშ დამიფარეთ ამ ბერისაგან!

(ალბა და დომინგო ერთმანეთს მნიშვნელობით შეხედავენ).

დომინგო. (სიჩუმის შემდეგ).

ჩვენ რომ გვცოდნოდა წინდაწინვე, სწორე ამბავი თვით ამბის მთხრობელს მწარე სასჯელს განუმზადებდა. მაშინ ყრუდ. ჩუმად ვიქნებოდით!..

მეფე. ნაბიჭვარიო? ამას ამბობთ? ამბობთ, თუ
სიკვდილს

ძლივს გადავურჩი, რომ იმ უამად ჩემი მეუღლე
ფეხ-მძიმედ გრძნობდა! თქვენ ამბობთ ამას?
სამაგალითო ხმა შეწყობით გასურთ დამარწმუნოთ,
ვითომ არ იყვეთ ერთმანეთთან შეთანხმებულნი?
ოჰ, კარგად ვიცი,
თუ როგორ ხარბად და მსუნაგად დააფრინდებით
თქვენს უმწურო მსხვერპლს დასაგლეჯად და დასაჯიჯგნად!
რარიგ ბოროტის ნეტარებით ჩემს ტკივილებზე,
ჩემს აღელვებულს, გაშმაგებულს გულზე ნავარდობთ!
განა ვერ ვხედავ, და ვერ ვამჩნევ, თუ რარიგ ხარბად
ცდილობს მოიგოს ჩემი გული მხედართმთავარმა,
გული, რომელიც თვისი დიდის მოწყალებითა
დანიშნულ იყო მხოლოდ ჩემის კარლოსისათვის!..
ან რა სიამით, გატაცებით ეს ღვთის მოსავეი
ადამიანი თვის პატარა ღვარძლსა და ნალველს
აზღვავებს ჩემის ძლევა მოსილ რისხვის შეწევნით
ჩემის მემკვიდრის წინააღმდეგ და ვითომ ფიქრობთ
მე შეილდი ვიყო, რომლის მოხრაც თქვენსა ნებაზე
შეიძლებოდეს? სცდებით! შემწევს მე ნების ყოფა!
და თუ მე უნდა აწ დავიწყო ექვიანობა,
მაშინ, იცოდეთ, მრისხანებას თქვენგან დავიწყებ!

ალბა. ასეთსა ექვსა, უნდობლობას, დიდო მეფეო,
ჩვენი თქვენდამი ერთგულება არ მოელოდა.

მეფე. ერთგულებაო? ერთგულება გვაფრთხილებს
მხოლოდ
იმ მოსალოდნელ ამბისაგან, რაიც გვიქადის უბედურებას!..
მაგრამ მომხდარ საქმეზე მარტო
შურისძიება ლაპარაკობს და კბილს ილესავს!..

გამაგებინეთ რა მივიღე მაგ ერთგულებით?
თუ ქეშმარიტად მართალია, რასაც თქვენ ამბობთ.
მაშინ სხვა რაღა დამშთენია, თუ არა წყლული!
მაგრამ თქვენ მარტო სამარცხვინო სიმბდალეს იჩენთ,
როდესაც მხოლოდ გულში მკრთალსა გუმანს მიღვიძებთ—
და სწორედ კი არ მეუბნებით, ნამდვილს მიმაღავთ!
უფსკრულის პირად მიმიყვანეთ და თვით გარბინართ?

ლომინგო. სადაც თვით თვალი ვერ უღვება, შესაძლო
არის

დამამტკიცებელ რამ საბუთის წამოყენება?

მეფე. (დიდი სიჩუმის შემდეგ მკაცრად დააცქერდება ორივეს).

მსურს შემოვკრიბო მთლად სამეფოს წარჩინებულნი
და მსურს თვით ვიქმნე იქ მსაჯულად. თქვენ წარმოდექით
ყველას წინაშე — შეგწევთ სიმბნე — და აღვიარეთ,
რომ დედოფალი მეძავია და საყვარელი!

იგი სიკვდილით დაისჯება, ფეიცავ ზეცის მადლს!
და მასთან ერთად არ დავენდობ ბატონიშვილსაც!

დიახ. სიკვდილით ორივენი დაისჯებიან!...

მაგრამ იკოდეთ, თუ კი იგი ბრალდებისაგან
განთავისუფლდა, თუ გამართლდა — თქვენ დაისჯებით!
ამ გვარის მსხვერპლით გასურთ სიმართლე დაადასტუროთ?
გასურთ? გადასწყვიტეთ! არ გასურთ? სდუმხართ?
არა თანხმდებით? მაშ რაცა სთქვი, სიცრუე იყო?

ალბა. (რომელიც ჩუმად მოშორებით იდგა, წყნარად და ცივად)

მე თანახმა ვარ!

მეფე. (მიუბრუნდება და გაკვირვებულ-გაქეცხვებული შეს-
ცქერის).

მეტის-მეტი გაბედვა არის!

თუმცა კი ვიცი სასტიკ ომში თქვენი სიცოცხლე
მცირე რამისთვის გაგიწირავთ — მხოლოდ სახელის

მოსაპოვებლად. ქარაფშუტა კამათლებივით,
თქვენი სიცოცხლით შავ სიკვდილთან გითამაშიათ,
და რა ფასი აქვს თქვენს სიცოცხლეს?
მე მეფურ სისხლსა არ შევწირავ,
არ ვსაჭიროებ თქვენს ესრეთ მსხვერპლს.
გამეცალეთ!

(ალბა დოჰინგო გადიან).

მეუფე. (მარტო).

ბევრი მომაგე, განგებაო, მაგრამ ერთსაც გთხოვ:
აწ ერთი კაცი მომივლინე, ადამიანი!
შენ, შენ ხარ მხოლოდ ვინც განსჭვრეტავ იდუმალობას,
გემუდარები ერთს მეგობარს ჩემად შეწვენად,
რადგან შენსავით მე არა ვარ ყოვლისა მცოდნე.
შენც კარგად უწყი რა საუნჯეს წარმოადგენენ
იგი მრჩეველნი, რომელნიც მე გარს მახვევიან!..
მაშ მომეც, მომეც, განგებაო, რჩეული კაცი,
ადამიანი სულით წმინდა, გულით სპეტაკი,
თვალთ გამჭვრეტი და გონებით ნათელ მოსილი,
რათა მიჩვენოს გზა სიმართლის აღმოსაჩენად!
იმ მრავალ ათას კაცთა შორის, გარს რომ მეხვევა,
გულთა მხილაო, მაპოვნინე ის ერთად ერთი!..
(უჯრას გამოსწევს. რვეულს ამოიღებს და ფურცლავს).
მხოლოდ სახელნი აქ სწერია, მხოლოდ სახელნი
და ერთხელაც კი არ არიან მოხსენებულნი,
რა სამსახურის გულისათვის აქ აღინიშნენ.
(შემდეგს კითხულობს).

გრაფი ეგმონტი! აქ რა უნდა? იგი მკვდრებშია!..

(ამ სახელს წაშლის და მეორე გვერდზე მოაწერს რაღაცას. გა-
ნაგრძობს კითხვას).

მარკიზ-დე პოზა. პოზა! პოზა“ ძლივს მაგონდება
მე ეს სახელი! ხოლო ორჯერ ხაზ გასმულია,
ეს იმას მოწმობს, — დამინიშნავს დიდ საქმისათვის.
და როგორ? განა შესაძლოა? დღემდე ეს კაცი
ერიდებოდა ჩემს შეხვედრას და ჩემსა ჯილდოს?
შემოქმედს ვფიცავ, ერთად ერთი მხოლოდ იგია
დიდებულთ შორის, — მოწყალებას რომ არ ეძიებს!...
იქნებ ეს არის უცნაური, რომელსაც ვეძებ?
ვინც ჩემს თავსა არ საქირივებს, —
სიმართლეს მხოლოდ მისგან გავიგებ.

მეორე სურათი.

ტახტის დარბაზი.

1. კარლოს პარმას ელაპარაკება. ალბა. ფერია. მედინა-სიდონია. გრაფ
ლერმა, და სხვა დიდებულნი არზა წერილებით ხელში მეფეს ელო-
დებიან.

მედინა. (რომელიც ყველასაგან აშკარად ზურგ-შექცეულია,
მიმართავს ალბას, რომელიც მარტოკა შორი-ახლო ბოლთას სცემს
ჩაფიქრებულნი).

მეფესთან უკვე ბრძანდებოდით, მხედართმთავარო?

რა გუნებაზე ჰპოვეთ იგი?

ალბა. ძალიან ცხარობს. გაჯავრებული არის თქვენზე
და თქვენს ამბებზე.

მედინა. ვფიცავ, ინგლისელთ ზარბაზნების ქეჩა-ქუ-
ხილში

თამამად ვგრძნობდი ჩემს თავს ვიდრე ამ თაღებ შორის.
(კარლოსს, რომელიც მას ხელს გაუწვდის).

ბატონიშვილო, დიდად გმადლობთ!

მადლობას გწირავთ დიდსულოვან თანაგრძნობისთვის. თქვენ კარგად ხედავთ, თუ აქ მყოფნი ვით გამირბიან, ჩემი დალუპვა სჩანს რომ არის გადაწყვეტილი.

პარლოს. მამიჩემისგან, მეგობარო, კარგს მოელოდეთ; ის მოწყალეა მართალთათვის.

მედიანა. მე დავლუპე მთლად საბრძოლველი ჯავშან-გემნი, რომელთა მსგავსიც

ჯერ არც ერთ ზღვაზე არ ყოფილა!

რალა ფასი აქვს შედარებით იმ სამოცდაათ გალიონებთან, მაგრამ სათნო ბატონიშვილო,

ხუთი ძვირფასი, საიმედო ჩემი შვილები

ევრეთ იმედით აღჭურვილნი, ვით თქვენ ბრძანდებით, დამელუპნენ ბრძოლის ველზე...

და გულს ეს მიკლავს!

მეფე!

3. ივინივე და მეფე.

მეფე. (გამობრძანდება მოკაზმული. ყველანი ქუდებს იხდიან, ორ რიგად გაიყოფებიან და მეფის მოშორებით ირგვლივ წრეს გააკეთებენ. დიდი სიჩუმე; მეფე ყველას თვალს გადაავლებს). თავს დაიხურეთ!

(კარლოსი და პარმა პირველად უახლოვდებიან და ხელზე ეამბორობიან; მეფე პარმას ალერსით შეხედავს, ხოლო შვილს ყურადღებასაც არ მიაქცევს).

დისწულო, ჩემს დას ჰსურს გაიგოს, თუ ამ მადრიდში კმაყოფილნი თქვენით არიან?

პარმა. მაგას მეფე ჯერ-ჯერობით რისთვის კითხულობს, ოდეს არც ერთი ომი ჯერ არ გადამიხდია?!

მეფე. თქვენი დროც მოვა, მოითმინეთ, როდესაც
ბურჯნი

საბელმწიფოსი მოტყდებიან. (ფერიას).

თქვენ რას მაცნობებთ?

ფერია. დღეს კალატრავას მღვდელმთავარი გარდაი-
ცვალა,
მისი რაინდი ხარისხის ჯვარს უკან გაახლებთ. (გადასცემს).

მეფე. (მიიღებს ჯვარს და ყველაფე თვალს გადაავლებს).

და იმის შემდეგ ვინ ატაროს ეს ღირსეულად?

(აღბას მოუხმობს. აღბა ცალ მუხლს მოიყრის მეფის წინაშე. მეფე
კისერზე ჩამოჰკიდებს).

ჰერცოგ აღბა, თქვენა ხართ ჩემი უპირველესი
მხედართმთავარი და როდესაც აღარ იქნებით,
არცა თუ მაშინ მოგაკლდებათ ჩემი წყალობა.

(შეაშჩნევს მედინა-სიღონიას).

ჩემს ამირბარსაც აქა ვხედავ?

მედინა. (ცახცახით უახლოვდება, მუხლს მოიდრეკს და თავს
დახრის).

დიდო მეფეო, თქვენ ჩამაბარეთ ესპანეთის ახალგაზრდობა
და მასთან ერთად უდიდესი ზღვის ძლიერება!

იქიდან მხოლოდ ამ უბედურს თავს გიბრუნებთ-ლა!

მეფე. (ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ).

ღმერთი ჩემზე მაღალია — მე თქვენ გაგზავნეთ
ადამიანთა წინააღმდეგ. და არა ზღვაზე
ქარიშხალთა და კლდეთ დასამხობად!

კეთილი იყოს თქვენი აქ მოსვლა.

(ხელს გაუწვდის საამბორებლად).

გმადლობთ, რომ თავი გადაარჩინეთ,
ერთი მსახური ღირსეული, ამის გულისთვის
მე მას ვაფასებ, დიდებულნო! მსურს იგი სხვებმაც
დაათასონ!

(ადგომას და ქულის დახურვას ანიშნებს).

სხვას რაღას შეტყვი?

(მიუბრუნდება კარლოს და პარმას).

თქვენცა გმადლობთ, ბატონიშვილნო!

(ესენი უკან დაიხვეწენ. სხვა დიდებულნი მეფეს მიაუახლოვდებიან
და თვითონ თხოვნას გადასცემენ. საჩქაროდ გადაათვალიერებს და
ალებას გადასცემს).

სამართველოში შეიტანეთ! მაშ სულ ეგ არის?
გათავდა? საქმე აღარავის აქვს?

(არაფინ უპასუხებს).

რა მიზეზია, დიდებულთ შორის პოზა არ სჩანს?
ვიცი, მას რა რიგ სახელოვნად უმსახურნია.
იქნებ ცოცხალი აღარ არის? მაშ ჩემს წინაშე
რად არ ცხადდება?

ლმრმა. ბრძანებელო, იგი რაინდი
კარგა ხანია ევროპაში მოგზაურობდა.

კიდით კიდე შემოიარა
და სულ არ არის დიდი ხანი მადრიდში გაჩნდა.
იგი აპირობს სადარბაზოდ ეახლოს მეფეს.
და თვის ბრძანებელს მოუყაროს მორჩილად მუხლი.

ალბა. მარკიზ დე პოზა? დიახ, დიახ, დიდო მეფეო,
ის მალტიელი რაინდია, — ვის შესახებაც
ხმადავარდნილა მეტად ზღაპრული!

ჴმარია. ეს სწორედ იგი მარკიზია, რომელმან შემდეგ
კატალონიის შეთქმულება აღმოაჩინა
და თავის მარჯვე მოხერხებით გადაგვირჩინა
ეს კუთხე, — მეტად ჩინებული სამეფოსათვის.

მეფე. დიდად მაკვირვებს, რა კაცია იგი რაინდი,
ვინც ესრე დიდი საქმეები მოიმოქმედა
და თქვენს შორის კი არავინ ჰყავს შურითმოცილე?
უეჭველია, იგი კაცი ან რჩეულია
ნიჭით მაღალით, ან და მხოლოდ არარაობა!
მსურს ვესაუბრო ამ საკვირველ ადამიანსა.
(აღბას).

მხედართმთავარო! მოიხმე ჩემთან!
(აღბა მიდის. მეფე ფერიას მიუბრუნდება).

თქვენ საიდუმლო სამსჯავროში ჩემს ნაცვლად გნიშნავთ
და დღეის შემდეგ გასწევთ ჩემსა მაგიერობას!..
(გადის. მის შემდეგ ნელ-ნელა გადიან კარლოს, პარმა და სხვანი)

ჴმარია. (მედინას).

მეფე დღეს დიდად მოწყალეა!

მედიცინა. სთქვით, ღმერთია-თქო!
ჩემთვის მართლაც რომ ღმერთი იყო,
მის სახელს ვფიცავ!

ჴმარია. ბედნიერება ღირსეულად დაიმსახურეთ.
უგულითადეს თანაგრძნობას გიცხადებთ ჩემსას, ამირბარო!
(გადიან. სენა კოტახანს ცალიერია. მერე შემოვლენ პოზა და აღბა).

3. პოზა და აღბა.

მარკიზ. (შემოსვლისთანავე).

მეფეს ვუნდივარ? მე ვუნდივარ?

მხედართმთავარო,

შეუძლებელი უნდა იყოს! — ალბათ სახელი
თუ შეგეშალათ, თორემ მეფეს რაში ვჭირდები?

ალბა. თქვენი გაცნობა სურს ჩვენს მეფეს.

მარკიუ. და ნუ თუ მხოლოდ.

უბრალო ცნობის მოყვარეობის გულისათვის? —

ოჰ, მაშინ ვწუხვარ დაკარგულ წუთებს!..

ეს ცხოვრება კი მოკლე არის, მიჰქრის სისწრაფით.

ალბა. თქვენს ბედის ვარსკვლავს აწ გაბარებთ! მეფე
ხელში გყავთ!

გამოიყენეთ ეს წუთები, როგორც შეიძლებთ!

თუ ვერ შესძელით, დააბრალეთ მაშინ თქვენს თავსა.

(გაღის).

მარკიუ. (მარტოკა).

მან ეს კარგად სთქვა — კაცმა უნდა შემთხვევა დროზე
გამოიყენოს, რომელიც ხელთ ერთხელ გვეძლევა.

ეს კარისკაცი ქეშმარიტად კარგ რჩევას მაძლევს...

თუმცა მას იგი სხვაფრივ ესმის და არა ჩემებრ.

(გაივლის).

მაგრამ ვით გავჩნდი მე ამ ადგილს! ნუთუ ეს არის
ახირებული ბედის მხოლოდ ჟინიანობა?

მაგრამ რა არის ბედი თუ არ უბრალო თიხა,

ან ქვა უბრალო, რომელს ხელი მექანდაკისა

სიცოცხლეს აძლევს, მხურვალე სულს შთაბერავს ხოლმე?!

განგება მიზნის მისაწევად ჩვენ ბედს გვანიჭებს —

და კაცმა იგი დროზე უნდა გამოიყენოს.

რაც გინდ უნდოდეს მეფეს ჩემგან, სულ ერთი არის,

მე თვით ხომ ვიცი მეფისაგან რაც მსურს, რაც მინდა!
მე ჩემის რწმენით ვიმოქმედებ!

(გაივლის. ბოლოს "მეჩერდება სურათთან. გამოჩნდება მეფე და მარკიზ პოზას დააცქერდება, ხოლო მარკიზი მას ვერ ამჩნევს).

4. იგივე და ზეფე.

მეფე გისაუბრიათ ჩემთან ოდესმე?

მარკიზ. თქვენთან არა!

მეფე; ჩემის გვირგვინის, ტახტის წინაშე სამსახური მი-
გიძღვით დიდი, —

რად გაურბიხართ ჩემს მაღლობას და მოწყალებას?

ჩემ გონება მრავალ კაცთა სახელით არის

გამოქედლილი. ცის ქვეშე კი ყოველის მხილველი

მხოლოდ ღმერთია — ერთად ერთი! თქვენ თვით გმართებ-
დათ,

მეფის წინაშე დღევანდლამდე მოსულიყავით.

რატომ ასე არ მოიქეცით?

მარკიზ. ეს ორი დღეა რაც დავბრუნდი ჩემს სამშობ-
ლოში.

მეფე. არ მსურს მე ჩემის მსახურისა მოვალე ვიყო ---
თქვენთვის წყალობა რაც კი გსურდეთ, გამოითხოვეთ!

მარკიზ. მე კანონითაც ვსტკვები მეფევე, კმაყოფილი
ვარ

მეფე. ეგ უფლება ხომ ენიჭებათ თვით კაცის
მკვლელთაც.

მარკიზ. მით უფრო კეთილ მოქალაქეს, დიახ, მეფეო,
კმაყოფილი ვარ!

მეფე. (თავისთვის).

გამჩენსა ვფიცავ, თავმოყვარე იგი ყოფილა,

თამამი გულით!

და ესპანელი უნდა იყოს მარად — ამაყი!

მე მიყვარს, როცა ლენოს ქათვი ნაპირს გადადის!..

სამსახურიდან გადამდგარხართ, როგორც გავიგე.

მარკიზ. უკან დახევით უკეთესებს იგი დავუთმე.

მეფე. სამწუხაროა, თუ თქვენებრი არ მსახურობენ.

მაშინ სამეფო ბევრსა ჰკარგავს! იქნებ თქვენ შიშობთ

ასცდეთ იმ დარგსა, სადაც თქვენს ნიქს უკეთ გადაშლით?

მარკიზ. არა მეფეო,

სულის ცნობაში განსწავლული უმაღლ მიხვდება,

თუ რა საქმისათვის გამოვდგები! უღრმესად გმადლობთ,

დიდო მეფეო, იმ საამო მოწყალეებისთვის,

რომ ჩემზე ასეთ მაღალ აზრის თქვენ ბრძანებულხართ,

მაგრამ... (სიჩუმე).

მეფე. თქვენ ყოყმანობთ და ფიქრობთ კიდევ?

მარკიზ. გამოგიტყდებით,

ამ შემთხვევისთვის სულ არ ვიყავ მომზადებული,

რომ ჩემსა მეფეს ქვეშევრდომმა ის მოახსენოს,

რასაც ფიქრობდა მოქალაქე თავისუფალი:

ოდეს გვირგვინის სამსახურსა თავს ვანებებდი,

მეგონა კიდევ ვიქნებოდი თავისუფალი

და არც როდისმე განმარტება დამჭირდებოდა, —

თუ რა საბუთით განვეშორე სამეფო ტახტსა.

მეფე. ერთი მითხარით, ის საბუთნი ისე სუსტობენ,

რომ მათ წარმოთქმით გეშინიათ გაკადნიერდეთ?

მარკიზ. დროს რომ მომცემდეთ ყველაფერი გითხრათ

სავსებით,

მაშინ მეფეო, თუნდ სიცოცხლედ დამიჯდეს იგი,

არას ვინაღვლი, მაგრამ ვშიშობ არ ვუღალატო

მე სიმართლესა, ხელმწიფეო, თუ უარს მეტყვით და ჩემს ლაპარაკს არ მოისმენთ დაწვრილებითა, ხოლო უკეთეს არჩევანი არ დამრჩენია, თქვენი ზიზღისა და უღმობელ რისხვისა შორის, უფრო ვარჩევდი დაგესახეთ ბოროტ მოქმედათ, ვიდრე სულელად, ანუ ხეპრედ...

მეფე. (მოლოდინით).

მერე? განაგრძეთ.

მარკიზ. არ შემიძლიან ვმსახურებდე ბატონს მონურად.

(მეფე ვაკვირებული უცქერის).

არ მაქვს სურვილი მოგატყუოთ, დიდო მეფეო, — როს თქვენ მაკისრებთ სახელმწიფო რამე სამსახურს, ამით მაკისრებთ ასრულებას იმა საქმისას, რომელიც უკვე თქვენს თავშია მოფიქრებული. მაშინ მე მიზნად უნდა მქონდეს არა თვით ღვაწლი, არამედ ქება, მოწონება და თქვენი ჯილდო. მაგრამ მე სულ სხვა მაქვს აზრად, მეფეე, სულ სხვა სიკეთე, იგი სიკეთე, თუ საერთო ბედნიერება, რომელიც მეფემ ჩემის ხელით უნდა დასთესოს, — ის უნდა იყოს მხოლოდ ჩემი შემოქმედება. ვეჭვობ, თქვენ ამას დაეთანხმობთ, ჩემო ხელმწიფეე! აწ შესძლებთ განა თქვენს საქმეში სხვა შემოქმედსაც ადგილი მისცეთ?

განა ვისურვებ გადავიქცე სხვისი მორჩილი, როდესაც ძალმიძს მოქანდაკე თვითონ მე ვიყო?! კაცობრიობა მიყვარს გულთ, ხოლო თქვენს ხელში უნდა მიყვარდეს ჩემი თავი და სხვა არავინ.

მეფე. მომწონს ეგ თქვენი გატაცება და სიმხურვალე!

სიკეთე სთესოთ, თქვენ ეგა გსურთ და რა გზით შესძლებთ, როგორც საძმობლოს მოყვარული ადამიანი, თუ როგორც ბრძენი, გახსნავლული — ეგ სულ ერთია! ჩემს საძმეოში გამონახეთ თქვეხთვის ადგილი, რათა შეიძლოთ ეგ კეთილი მისწრაფებახი თვით მოიყვანოთ სისრულეში...

მარკიზ. ვერც ერთს ვერ ვპოვებ!

მეფე. როგორ?

მარკიზ. რაცა გსურთ, მეფევე, ჩემის ხელით სოფელს მოჰტინოთ,

განა იქნება იგი სრული ბედნიერება, ბედნიერება რომელიც მსურს მე ხალხისათვის? ჩემი სიკეთე, ბრძანებელო, სულ სხვა გვარია და მისის ხილვით თქვენს ტახტზედაც შეძრწუნდებოდით!.. რა წყალობასაც ხალხში ჰვანტავთ გაშლილის ხელით, იგი არ არის სანუკველი ბედნიერება! რაც გვირგვინისთვის და ტახტისთვის ხელსაყრელია, განა ჩემთვისაც, ბრძანებელო, სასურველია? განა მე ჩემის სიყვარულით უნდა გადვიქცე ჩემივე მოძმის მონობისა დამამკვიდრებლად? საჭირო არის ყველა იყოს თავისუფალი! იმ ნეტარების მოსაფენად ნუ ამომირჩევთ, რაიც ჩემს მოძმეთ გსურთ განუმზადოთ. სამსახურზე უარს ვაცხადებ: არ შემიძლიან ვმსახურებდე ბატონს მონურად.

მეფე. (აჩქარებით).

სჩანს რჯულის ურჩი უნდა იყოთ?

მარკიზ. არა!

იგია ჩემი სარწმუნოება, რასაც მეფე თვით აღიარებს. (პაუზა).

ყალბად მიმიხვდით. და ეს იყო, რასაც უფროთხოდი.
და საშიშ კაცად მიგაჩნევართ.

მაგრამ, მეფეო, მე არავარ სრულად საშიში!
ჩემი სურვილი ჩამარხული არის ამ გულში!
(გულზე ხელს დაიდებს).

აქ იფერფლება, აქა ლპება და აქვე კვდება.

ეს განახლების სასაცილო თავგამოდება, —
რომელიც მხოლოდ მონის ბორკილს სიმძიმეს ჰმატებს
და არკი ძალუძს სამუდამოდ მისი დამსხვრევა, —
ჩემს სისხლს, მეფეო, ვერასოდეს ვერ ააჩქარებს.

ეს საუკუნე ჯერ არ არის დამწიფებული,
რომ შეიგუოს ჩემი ნატვრა-მისწრაფებანი.

ძე ვარ მათგანი, შემდეგში რომ უნდა მოვიდნენ
და, აბა, როგორ შეუძლიან მომავლის აჩრდილს, —
თქვენი სიმშვიდის. ან დარღვევა, ან შეშფოთება?

მეფე. ამ მხრივ პირველმა გაგიცანით?

მარკიუს. ამ მხრივ — პირველმა!

მეფე. (ადგება და რაძღვინივე ნაბიჯს გადასდგამს. მარკიუსის წინ
შეჩერდება. თავისთვის).

თუ ასე ფიქრობთ, მაშ აგირჩევთ შესაფერ ადგილს,
სადაც დიად სულს...

მარკიუს. ოჰ, მეფეო, ვხედავ რა მცირე
შეხედულების ყოფილხართ თქვენ ადამიანზე.
და თავისუფლად წარმოთქმული, გულწრფელი სიტყვა,
თქვენ გეჩვენებათ მლიქვნელობად, პირმოთნეობად.
და, ვგონებ, ვიცი რად ხართ ასეთ შეხედულების.
თვით ხალხმა, მეფევ, მიგიყვანა თქვენ ამ დასკვნამდი,
ხალხმა, მეფეო, რომელიც თქვენ გარს გახვევიან.
მათ თვისის ნებით განიშორეს კეთილშობლობა
და ჩამოვიდნენ ასეთ მდაბალ საფეხურამდე.

მონობის ბორკილს მხდალის სიბრძნით ამკობენ მარად
და მის ტარებას ეძახიან სათნოებასა.

ამ გვარი იყო ეს სოფელი წინაპართ ხელში,
და ამგვარივე თქვენ გადმოგცეს; როგორ შესძლებდით
ადამიანის დაფასებას, ოდეს თქვენ ირგვლივ
მხოლოდ ხედავდით კაცის საძრახ დამახინჯებას!

მეფე. მაგ თქვენ სიტყვაში უუქსა ვხედავ მე სიმართ-
ლისას!

მარკიწ. მაგრამ ის არის სამწუხარო, ადამიანი,
ქმნილება ღვთისა, თქვენს ქმნილებად გადააქციეთ
და თვითონ გახდით მახინჯთა ღმერთი!

თქვენ კი დარჩით ღვთის ქმნილება-ადამიანად.

თქვენ ითხოვთ, მეფე, თანაგრძნობას —

ღმერთს კი მსხვერპლს სწირვენ... მის წინა თრთიან!

ადამიანი გარდაქმენით ქნარის სიმებად,

მაშ, მეფე, მითხარ, ვინლა გექმნეთ თანამგრძნობელად?

მეფე. ვფიცავ ზეციერს, ჩემს სულს ჩასწვდა!

მარკიწ. მაგრამ არა აქვს სულ მცირე ფასიც თქვენთვის
ამ მსხვერპლს! — თუმც მართალია,

მხოლოდ ამ მსხვერპლით მოიპოვეთ თქვენთვის ღმერთობა
და ხართ არსება, ერთად-ერთი თავისებური.

გთხოვთ, ნება მომცეთ, მე გეახლოთ.

ამ ლაპარაკმა გამიტაცა, გული აავსო,

სურვილი მეტად ძლიერია, რათა ეს გული

გადავუშალო იმ ერთად-ერთს, ვის წინაც ვდგევარ,

და ჩემი აზრი გავუზიარო.

მეფე. სთქვით, დაათავეთ!

(შემოდის ლერმა, ჩუმად რალაცას ეუბნება, მეფე მას გასვლას ანიშ-
ნებს და ლერმაც გადის).

მარკიზ. ვგრძნობ, მეფეო, ამ დიდ საუნჯეს.....

მეფე. ილაპარაკეთ, რაღაც გქონდათ ჩვენთან სა-
თქმელი.

მარკიზ. მცირე ხანია, რაც დავბრუნდი მე ბრაბანტიდან და ფლენდრეთიდან. რა მდიდარი, აყვავებული კუთხე ყოფილა! რა დიდებულს ხალხს უცხოვრია! ამასთანავე რა კეთილ ხალხს! —

ვფიქრობდი, მამა ასეთ ხალხის ბედნიერია, მაგრამ აქ დამწვარ ძელებს წავაწყდი ადამიანთა...

(შეჩერდება და თვლებს მიაპყრობს. მეფე ცდილობს თვალი გაუსწოროს, მაგრამ არეული ძირს დახრის).

თქვენ მართალი ხართ! დიახ, თქვენ ხარ იძულებული. თქვენ, რაც საჭიროდ მიგაჩნიათ, იმას მოქმედებთ! სამწუხაროა, თავის სისხლში მცურავი მსხვერპლი ველარ შეიძლებს მსხვერპლთ შემწირავს ქება შეასხას. სხვა უკეთესი ხანა შესცვლის ფილიპეს ხანას, მას თან მოჰყვება სასურველი, სათნო კანონი. მაშინ, მეფეო, მოქალაქის ბედნიერება შეეზავება სიღიადეს გვირგვინოსნისას. ტახტი, გვირგვინი დააფასებს მაშინ თვის ხალხსა და გაქირვება სავალალო შემსუბუქდება!

მეფე. ოდეს დადგება ეს ბრწყინვალე და დრო ნეტარი. შთამომავალნი განა წყევლით მომიხსენებენ? ესპანეთს თვალი გადაავლეთ, აქ იფურჩქნება ესრეთ სიწყნარით მოქალაქის ბედნიერება. — ამ გვარ სიმშვიდეს მივანიჭებ ფლანდრეთის ხალხსაც!

მარკიზ. (სისწრაფით).

ეგ სასაფლაოს სიმშვიდეა!

ნუ თუ გაბედავთ, გზა შეუკრათ განახლებასა,

შესძლებთ საერთო გაზაფხული თქვენ შეაყენოთ?
მთელს ევროპაში მხოლოდ თქვენ გსურთ, რათა მსოფლიოს
ჩარხის სწრაფლ ბრუნვას წინ აღუდგეთ სუსტის ხელებით?
ამას ვერ შესძლებთ! აქედან, მეფევ, დატანჯული მრავალ
ათასნი

გადაიხვეწნენ!

მათ ბრიტანეთის დედოფალი წყალობით იღებს.
დღეს ჩვენის ქვეყნის ხელოვანთა მოღვაწეობით
ნახეთ, ვით ჰყვავის და ნეტარებს მისი სამეფო!
ხოლო გრენადა გდია ასრე გაოხრებული
და მთლად ევროპა სიხარულით, ბოროტის გულით
შესცქერის თვის მტერს; ყელგამოჰკრილს საკუთარ ხელით!
(სიტყვები მეფეზე მოქმედებენ. მარკიზ წათამამებული უფრო უახ-
ლოვდება).

თქვენ გსურთ დასთესოთ უკვდავი და მარადიული,
რაც საუკუნოდ იარსებებს — სიკვდილს კი სთესავთ?
ნაძალადევად შექმნილი კი თვითონ შემქნელის
სულთანვე კვდება, არსებობა გრძელი არა აქვს.
უმადურობას აუშენეთ, დიახ, ტაძარი,
ოდეს ამაოდ შეებრძოლეთ ბუნების კანონს.
მეტი ფასი აქვს ადამიანს, ვიდრე თქვენ ფიქრობთ.
იგი ღრმა ძილის ბადეს დასწყვეტს და მოიპოვებს.
თქვენგან დაგმობილს და წართმეულს წმინდა უფლებას.
შთამომავლობა თქვენსა სახელს ამოუყენებს
ნერონს, ბუზირისს — ეს კი, მეფევ, მე გულს მიტანჯავს —
თქვენ ხომ ბუნებით კეთილი ხართ!

მეფე. მაშ ასე ფიქრობთ?...

მარკიზ. (მხურვალედ).

დიახ, მეფეო! ვფიცავ შემძლებელს,

ეს ასე არის! დაგვიბრუნეთ რაც-კი წაგვართვით!
ჩვენს სამშობლოში ნება დართეთ აზრმა იმეფოს!
კვლავ დაგვიბრუნეთ რაც წაგვართვით და ქვეყნის მრავალ
მეფეთა შორის, თქვენ იქნებით მეფეთა-მეფე!

(გაბედულად უახლოვდება, გაბრწყინებულის და მკვეთრის თვალე-
ბით შესცქერის).

ოჰ, რად არ ძალმიძს იმ მრავალთა მქერმეტყველობა —
ამ დიდებულ წუთს თანაგრძნობით რომ მოელიან —
ჩემთა ბაგეთა გადმოღვარონ ნაკადულებად,
რომ მკრთალნი სხივნი

მაგ თქვენს თვალებში ძლიერ ცეცხლად ავაპრიאלო!
აწ მოგვევლინეთ უკვდავების დიდ მაგალითად!
არც ერთს, მეფეო, ამა სოფლად, არც ერთს მომაკედავს
არ შესძლებია თქვენოდენი, რომ ღვთაებრივის
გულის სიუხვით მოაფინოს ბედნიერება!

ყველა მეფენი გრძნობენ ძალას ესპანეთისას!
მაშ წარუძეხით მათ მაგალითად!

მხოლოდ თქვენ მიერ კალმის მოსმა და ეს ქვეყანა
განახლებისკენ პირს იბრუნებს!

დიდო, მეფეო! მოგვეცი თავესუფლება!

(ფეხთ ჩაუვარდება).

მეფე. (მოულოდნელად განცვიფრებული ჯერ სახეს მოიბრუნ-
ნებს, შემდეგ მარჯვს დააცქერდება).

მეოცნებევ! მაგრამ ადექით.....

მარკიზ. მიმოავლეთ თვალნი ბუნებას!

აქ ყველაფერი აღჭურვილა თავისუფლებით!

ჰოი, მეფეო! რა არ ძალგიძთ? მეფური ძალა, —

რომელიც დღემდე სამწუხაროთ ტახტს მსახურებდა

და მის დიდების განმტკიცებას ცდილობდა მხოლოდ, —
ეხლა შესწირეთ ერის კეთილ ბედნიერებას
და აღადგინეთ დაკარგული მისი უფლება.
დე, მოქალაქე გარდაიქცეს ადამიანად,
დე, მიწის მუშა ამაყობდეს თავისის გუთნით
და არ შესცქერდეს შურის თვალთ მეფის გვირგვინსა!
ნულარ შეზღუდავთ თავისუფალ აზრისა ფრენას,
ვიდრე ბუნება თავის საზღვარს თვით არ დაუდებს!
დაე, გვირგვინმა საზრუნავად ხალხი მიიღოს
და განუმტკიცოს მას ნეტარი ბედნიერება;
ადამიანი როს იქნება თავის ბატონი,
როს ღრმა ძილიდან გამოფხიზლდება,
თვის თავს შეიგნებს და სამეფო, ჩვენი სამშობლო
სვებედნიერთა სამფლობელოდ გარდაიქცევა,
მაშინ გექნებათ, მხოლოდ მაშინ სრული უფლება
ბრძანებლის სახელს ატარებდეთ მთელის სოფლისას.

მეფე. მე დაგრთეთ ნება თქვენი აზრი ბოლომდის გე-
თქვათ.

თქვენი მსჯელობა განსხვავდება სხვის მსჯელობისგან,
არც მსურს საერთო საზომითა მე თქვენ მოგმართოთ.
მე პირველი ვარ, ვის ეს გული გადაუშალებთ...
ეს მჯერა, რადგან თვით მითხარით და რაკი დღემდე
ეს თქვენი აზრი ჩამარხული გულში გქონიათ,
რაც დღეს შევიტყე, დავივიწყებ. ადექით ზეზე!
მსურს გიპასუხო თქვენს სიტყვაზე წინააღმდეგი,
არა ვით მეფემ, არამედ ვით მრავალ საქმეში
ბევრის მნახველმან, გამოცდილმან, ხანში შესულმან.
ჩემს დღეში ამგვარ ადამიანს პირველად ვხედავ!
ღიად, პირველად! არა, მარკიზ, მე მსჯით სასტიკათ:
არ მსურს ნერონის, სახელითა ვიწოდებოდე,

არ მსურს ის ვიყო — არ მსურს ვიყო თქვენდამი მაინც, ყველა კეთილი არ ჩამქრალა ჯერედ ჩემს სულში. თქვენ უნდა დარჩეთ ჩემს თვალთათვის ადამიანად, როგორიც ხართ.

მარკიზ. (სწრაფად) ჩემი თანამოქალაქენი?

ჩემზედ არ იყო ლაპარაკი, დიდო მეფეო,

ჩემის თავისთვის არა ვზრუნავ... არა მეფეო!

მე ვზრუნავ მხოლოდ ბედშავტანჯულ ქვეშევრდომთათვის.

მეფე. და თუ თქვენ ასე კარგად უწყით, თუ ვით იმსჯელებს

ჩემზედ შემდეგში მომავალი შთამომავლობა —

მათ მაგალითად თქვენ აგიღონ და კვლავ გამსაჯონ —

თუ ვით მოვეპყარ ადამიანს, როს იგი ვპოვე.

მარკიზ. მეფეთა შორის სევმაღალა, სამართლიანო!

ამ შემთხვევაში ნუ იქნებით მთლად უსამართლო!

თქვენსა ფლანდრეთში ათასობით არიან ჩემზე

უკეთესები, თქვენ კი, მეფეო, პირველად მხოლოდ —

დღეს მოისმინეთ თავისუფალ კაცის სიტყვები.

მეფე. (რბილად და სერიოზულად).

კმარა ამაზე, კმარა ჭაბუკო, მრწამს სულ სხვა გვარად

იმსჯელებთ, ოდეს გარშემო ხალხს ჩემებრ გაიცნობთ,

მაგრამ დამშთება მეტის-მეტად სასიამოვნოდ,

უკეთუ ჩემთან დაგინახავთ უფრო ხშირ-ხშირად.....

რით მოვახერხო, მარკიზ, თქვენი გულის მოგება?

მარკიზ. დამტოვეთ ისე, როგორცა ვარ, დიდო მეფეო.

მაშინ რა ფასი უნდა მქონდეს, როს მომისყიდით?!

მეფე. მაგ სიამაყეს ვერ ავიტან! დღეიდან უკვე

ჩემს სამსახურში ირიცხებით — უარს ვერ იტყვით.

მსურს ასე იყოს! ჰო და რა მსურდა?

მე ხომ სიმართლეს დავეძებდი, აქ მეტსაც ვპოვებ!

თქვენ მე მამხილეთ როგორც მეფე! მაგრამ იცით კი
რა ვარ ოჯახში?

(რაკი მარკიზი პასუხს ვერ აძლევს უცბად იტყვის).

რომ მე.... მამა ვარ უბედური,

ნუ თუ არ ძალმიძს ბედში ვიყო, როგორც მეუღლე?

მარკიზ. თუ საიმედო ვაჟიშვილის და უტურფესის
მეუღლის ყოლა მომაკვდავთა ხდის ბედნიერად,
თქვენ ორმაგად ხართ ბედნიერი დედამიწაზე!

მეფე. არა, არა ვარ ბედნიერი, და რომ არა ვარ
მე ასე მძაფრად არ მიგრძენია, როგორც ეხლა ვგრძნობ.
(მწუხარებით შეხედავს მარკიზს).

მარკიზ. ბატონიშვილის ზრახვა კეთილშობილურია
და მასთან დიდათ გონივრული! იგი ყოველთვის
ასეთი იყო და სხვანაირს მე არც ვიცნობდი!

მეფე. არა, არა! რაც მან წარმტაცა, მას ვერც ერთი
ტახტი, დიდება ვერ დამიბრუნებს.

მან წარმტაცა ესოდენ სათნო ცოლი — მეუღლე.

მარკიზ. ვინ ბედავს მაგას?

მეფე. მთელი ქვეყანა, ენა, ხალხი, ამას მე ვბედავ!

(უჩვენებს ბარათს).

აი, საბუთიც, რომელიც მას პირშავად ამხელს!
მაგრამ, ეჰ, მარკიზ, რომ მათ ვენდო. არ შემიძლიან —
ვინ არის იგი დამსმენელი? თუ კი დედოფალს
შეეძლო ასე დამცირობა და ღრმად დაცემა,
რამდენად მეტი უფლება მაქვს კიდეც ვიეჭვო
რომ მას ებოლი ცილსა სწამებს! განა დომინგოს,
ამ კარის ხუცესს, ჩემი შვილი და დედოფალი

გულით არა სძულს? განა ალბაც შურს არ ეძიებს?

მარკიზ. დიდო მეფეო, ქალის სულში ერთი რამ ცხოვრობს,

რაც ყოველსავე გარეგნობას აღემატება
და ბოროტ ენას რჩება იგი შეუბღალავი —
ეს ერთად ერთი — დედაკაცის სათნოებაა.

მეფე. დიახ, მაგაში გეთანხმებით. ასე დაცემა,
როგორც დედოფალს აბრალებენ, არა მწამს, არა!
აგრე ადვილად არ ირღვევა ცოლქმრის კავშირი!
თქვენ ხომ კარგად გაქვთ შესწავლილი კაცის ბუნება.
ასეთი კაცი მაკლდა სწორედ დიდი ხანია.
თქვენ — კეთილი ხართ, გულახდილი; მიუხედავად
ამ თვისებისა სცნობთ კაცის სულს და ამიტომაც
ამოგიჩიეთ.....

მარკიზ. მე მეფეო?

მეფე. მიუდგომელი უნდა იყოთ, თქვენ ანგარება
ვერ გაგიტაცებთ და ვერც მოგხიბლავთ!..
ჩემს შვილს შეუჩნდით, ჩაიხედეთ დედოფლის სულში.
მე ნებას გაძლევთ, ესაუბროთ მას საიდუმლოდ!
ესლა დამტოვეთ! (ზარს რეკავს).

მარკიზ. შემიძლიან დაგტოვოთ ისრე,
რომ ვსთქვა: აღსრულდა მხოლოდ ერთი იმედი მაინც?
ჩემს სიცოცხლეში.

მეფე. (ხელს გაუწვდის საამბორებლად).

ეს დღე ჩემთვისაც არ იქნება გლახ დაკარგული.
(მარკიზი წამოდგება და მიდის. შემოდის ლერმა).

დღეიდან რაინდს ენიჭება ჩემგნით უფლება
დაუკითხავად, როცა ჰსურდეს, მეახლოს ხოლმე.

მეოთხე მოქმედება.

სურათი პირველი.

გალერეია სასახლეში.

1. კარლოსი და ლერმა შემოდინ.

კარლოს. აქ ხელს არავინ შეგვიშლის ჩვენ!

რა გსურდათ გეთქვათ?

ლერმა. თქვენ, ვგონებ, ერთი მეგობარი გეგულე-
ბოდათ?

კარლოს. ვინა? არ ვიცი! მერე რაო? რა გსურთ
მაგით?

ლერმა. მაშ, მოტევება უნდა გთხოვოთ, რადგან მე
მასზე

მეტი შევიტყე, რის უფლებაც მქონდა შემეტყო,
მაგრამ აწ თქვენის სვემალლობის დასამშვიდებლად,
მსურს მოგახსენოთ, მეფის შვილო, რომ ეს ყოველი
შევიტყე თქვენის ერთგულისგან. მოკლედ რომ გითხრათ,
ჩემის ყურით და ჩემის თვალით.

კარლოს. ბატონო ლერმა, მითხარით ვისზე ლაპა-
რაკობთ?

ლერმა. მარკიზ დე პოზა...

კარლოს. და მერე, რაო?

ლერმა. თუ მასზე მეტი გაგინდვიათ, ვიდრე ეს ვინმემ უნდა იცოდეს, მაშინ ვშიშობ...

ქარლოს. როგორ თუ შიშობთ?

ლერმა. მეფესთან იყო...

ქარლოს. მართლა?

ლერმა. სრული ორი საათი მათ საიდუმლოდ ისაუბრეს.

ქარლოს. მართლა? და მერე?

ლერმა. ვიცი, უბრალო საქმეზე არ საუბრობდნენ.

ქარლოს. ეგ მეც მჯერა!

ლერმა. ახსენებდნენ ხშირად თქვენს სახელს!

ქარლოს. იმედი არის, ეგ ცუდს რასმე აბ მოასწავებს!

ლერმა. და დღეს დედოფლის ოთახშიაც, დიახ, დღეს დილით,

უცნაურ იყო ნახსენები თქვენი სახელი.

ქარლოს. (უკან დაიხევს).

ვრადო...

ლერმა. როდესაც მარკიზი უნდა წასულიყო

მეფემ მიბრძანა კარი მისთვის

ღია იყოსო!

ქარლოს. ეგ კი მართლაც ნამეტანია.

ლერმა. უჩაგადითო, ბატონიშვილო!

არ მოვსწრებივარ, რაცხან მეფეს ვემსახურები!

ქარლოს. ნამეტანია, ეს მართლაც რომ ნამეტანია!

და, რა სთქვით წელან, დედოფალთან როგორ მახსენეს?

ლერმა. ბატონიშვილო, არა! ეგ ჩემს მოვალეობას აღემატება!

ქარლოს. საკვირველია, რომ ერთს მიმქლავნებთ, და მეორეს კი აღარ ამბობთ!

ლერმა. პირველი უნდა თქვენთვის მეთქვა, ხოლო მეორე, ბატონიშვილო,

ვალდებული ვარ მოვახსენო მეფე ბრძანებელს.

კარლოს. მართალსა ბრძანებთ!

ლერმა. მარკიზს ყოველთვის პატიოსან კაცად ვიცნობდი!

კარლოს. იგი ძალიან კარგად გიცვნიათ.

ლერმა. და თუ კვლავ იგი ეგრევ არის პატიოსანი, მას ჩემი ეჭვი, მეფის შვილო, ვერ დაამცირებს.. თქვენ კი დარჩებით მოგებული მით ორჯელ მეტად! (წასვლას აპირებს).

კარლოს. (გულაჩუყებული გამოედევნება და ხელს მეგობრულად ჩამოართმევს).

კეთილშობილო, სამჯერ მეტად! როგორცა ვხედავ, თქვენით კვლავ ერთი მეგობარი მე შევიძინე, ისე, რომ ძველი მეგობარიც არ დამიკარგავს.

(ლერმა გადის).

2. მარკიზ პოზა და კარლოს.

მარკიზ. (დაინახავს მიმავალს კარლოსს). კარლოს!...

კარლოს. ვინ მეძახის? აჰა! ეს შენ ხარ?

აწ კარგ დროს შემხვდი!

მივეჩქარები მონასტერში და შენც იქ მოდი,

მარკიზ. სულ ორი წუთით

მოითმინეთ!

კარლოს. რომ ერთად გვნახონ?

მარკიზ. ნუ გეშინიან, არ დაგაყოვნებ!

კარლოს. მაშ, მამაჩემთან იყავ?

მარკიზ. დიახ! მან მიმიხმო!

კარლოს. (მოლოდინით).

მერე?

მარკიზ. უკვე მოვაწყე ყველაფერი!

სალაპარაკოდ დედოფალს ნახავ.

პარლოზ. და მერე, მეფე? რა სურს მეფეს?

მარკიზ. მას? — არაფერი!...

ცნობის მოყვარეს სურდა გაეცნო

თუ რა კაცი ვარ,

კარგად არ ვიცი! სამსახური შემომამძლია!

პარლოზ. უარი უთხარ?

მარკიზ. მაშ რას ვეტყვოდი?

პარლოზ. როგორ დაწორდით ერთმანეთსა?

მარკიზ. ძალიან კარგად!

პარლოზ. ხომ გქონდათ ჩემზე ლაპარაკი?

მარკიზ. შენზე? საერთოდ!

(აზიოდებს უბის წიგნს და აჩვენებს).

ეს ორი სიტყვა ჯერ -ჯერობით დედოფლისაგან,

ხვალ კი შევიტყობ სად და როგორ...

პარლოზ. (კითხულობს, ჩაიდებს უბეში და წასვლას აპირებს).

ბერთან შევხვდებით ჩვენ ერთმანეთს.

მარკიზ. მოიცა! რა ვქნა! რას ეშურები, შენ თვით ხე-
დავ, არავინ მოღლის.

პარლოზ. (ხაძალადევის ღიმილით).

თითქოს ჩვენ, მარკიზ, შევიცვალეთ მდგომარეობა,

დღეს შენ საკვირველ სითამამით ხარ აღჭურვილი:

მარკიზ. დღეს? და მარტო დღეს?

პარლოზ. დედოფალი, მითხარ, რასა მწერს?

მარკიზ. განა ამ წუთში, არ წაიკითხე?

პარლოზ. მე? ოჰო! ჰო მართლა?

მარკიზ. რა მოგდის, კარლოს? რა გემართება?
კარლოს. (წერილს ხელმეორედ გადაიკითხავს და გახარებული მხურვალედ).

ცის ანგელოზი! მსურს იგი ვიყო, რასაც მავალებს..
მსურს — დიახ, ეს მსურს — თანახმა ვარ —
მსურს ღირსი გავხდე...

სულსა მაღალსა სიყვარული უფრო ამალლებს!

რაც უნდა იყოს, კანონია ბრძანება მისი!

მწერს მნიშვნელოვან საქმისათვის მზად ვიყო მარად.

გულში რა უძევს? მარკიზ ჩემო, იქნებ იცოდე?

მარკიზ. და თუნდ ვიცოდე, განა მომისმენ?

კარლოს. იქნებ, ძვირფასო, რამ გაწყენინე?

მაშ, მომიტევე, ჩემო როდრიგო! დაბნეულ ვიყავ.

მარკიზ. დაბნეულ იყავ? რის გამო?

კარლოს. იმის გამო... მე თვით არ ვიცი!...

მაშ, ეს წიგნაკი მე ერთს მეკუთვნის?

მარკიზ. მთლად არა, კარლოს! აქ მიტომ მოველ,

რომ მე გარდმოგცე შენი წიგნაკიც!

კარლოს. ჩემი? რისთვის?

მარკიზ. და რაკი სხვა რამ წვრილმანებრც მოგვეპოვება,

რისაც მესამის ხელთ ჩაგდება საშიში არის,

ყველა წერილი, ან პატარა რამე შენიშვნა,

და, ერთი სიტყვით, უბის წიგნი შენი მე უნდა...

კარლოს. მაგრამ რად? რისთვის?

მარკიზ. ისე ყოველი შემთხვევისათვის!

ჩემთან არავინ დაუწყებს ძებნას — მომეცი!

კარლოს. (მოუსვენრად).

სწორედ მაკვირვებ! ასე უცბად განა რა მოხდა?..

მარკიზ. დამშვიდდი! მაგით არა მსურდა ექვს მისცე-
მოდი,

მერწმუნე, არა! წინასწარი გაფრთხილებაა!
სხვა არაფერი!

ქარლოს. (აძლევს თავის უბის წიგნს).

იცოდე, კარგად გაუფრთხილდი!

მარკიზ. მაგის მე ვიცი!

ქარლოს. (მნიშვნელოვან თვალთ შესცქერის).

ჩემო როდრიგო, მე მაგ წიგნით ბევრი რამ მოგეც.

მარკიზ. მაგრამ ჯერ კიდევ, მეგობარო, იმდენი არა,
რამდენიც უკვე მიმიღია მეგობრულ ნდობით,
ეხლა მშვიდობით!

და დანარჩენზე მე იქ გეტღვი! აბა მშვიდობით!

ქარლოს. (ექვით შეპყრობილი თავის თავს ებრძვის და ბოლოს
უკან მოიხშობს).

მოდი, ერთხელ კიდევ გადამათვალთვალე რებინე —

მაგ წერილებში ის წერილი მოიპოვება,

დედოფალმა რომ ალკალაში გამომიგზავნა,

როდესაც მძიმე ავადმყოფი ლოგინად ვიწექ.

მარად მას გულთან ვატარებდი მე განუყრელად:

აწ მაგ წერილის განშორება მე დიდად მიმძიმს.

მიტომ გთხოვ იგი დამიბრუნო და დანარჩენი

ყველა წაიღე.

(წერილს ამოარჩევს და უბის წიგნს ისევ უკან აძლევს).

მარკიზ. სწორედ რომ ჩემთვის მნიშვნელობა მაგ წე-
რილს ჰქონდა!

ქარლოს. მშვიდობით იყავ!

(მძიმედ მიდის, კარებთან შეჩერდება, შემდეგ მობრუნდება და წე-
რილს გადასცემს).

აჰა, მიიღე!..

(ხელი უკანკალებს — ცრემლები ჩამოსდის, მარკის ყელზე შემოეხვევა და სახეს მის გულს მიაყრდნობს).

მამაჩემს ნუთუ ძალუძს?...

არა, როდრიგო. იმას ხომ ეს არ შეუძლიან?
(გადის).

მარკიზი. (გაკვირვებული თვალს გააყოლებს).

შესაძლო არის? ნუთუ! მაშ მე კარლოსი კარგად არა მცნობია?

ექვიანობა თავის ერთგულ მეგობრისადმი?

არა, არა!

ცილის წამება არის ესა, ცილის წამება!

მას ჩემი ქცევა ეუცხოვა... დიახ, ეს მჯერა!

მას მეგობრის წინ არასოდეს არ უცრუენი. ..

მესმის, თუ როგორ იტანჯება! მაგრამ არ ძალში!

ჯერ ჯერობით ვამცნო სიმართლე...

ანდა, განა რა საჭიროა ენის ტარტარი,

როს ეს სიჩუმე იმას ზიანს არ მიაყენებს?

მსურს შევახვედრო ნათელი ცა გამოფხიზლებულს!

მეორე სურათი.

მეფის სამუშაო ოთახი.

1. მეფე სავარძელში ზის, მის გვერდით მისი პატარა ქალი კლარა ევგენა სდგას.

მეფე. (ღრმა სიჩუმის შემდეგ).

არა, ეს ჩემი ქალიშვილია!.. სწორედ ჩემი!..

განა იცრუებს ბუნება ესრეთ სინამდვილით?

ეს ლურჯი თვალი, ჩემი თვალია, სწორედ ჩემი!
მის ყოველ ნაკვთში ჩემს საკუთარ თავს არა ვპოვებ?
დიახ, შენა ხარ შვილი ჩემი სიყვარულისა.
შენ მყევხარ გულზე მიყრდნობილი, შენა ხარ ჩემი
სისხლი და ხორცი!

(უცბად შეფიქრდება).

ჩემი სისხლი და ჩემი ხორცი?
სხვა რალა უნდა მაშინებდეს ამაზე მეტად!
ჩემი ნაკვთები, განა იგივე მისიცი არ არის?

(მედალიონს აიღებს ხელში, ხან მას დახედავს, ხან თვითონ ჩაიხედავს
სარკეში, ბოლოს გადაისვრის, სწრაფად წამოვარდება და ქალიშვილს
მოიცილებს).

შორს, შორს, შორს ჩემგან! ამ უფსკრულში დავიღუპები!

2. იგინივე, ლერმა და შემდეგ დედოფალი.

ლერმა. (შემოდის).

ეს არის ეხლა დედოფალი მობრძანდა.

მეფე. როგორ?

ლერმა. უმორჩილესად გთხოვთ მოუსმინოთ!

მეფე. ეხლა? ეხლა ამ არა ჩვეულებრივ ჟამს,
ეხლა არ ძალმიძს, არა, არა, ეხლა ნუ, ეხლა...

ლერმა. თვით დედოფალი გეახლებათ! (გადის).

(შემოდის დედოფალი, მეფის ასული დედოფალთან გაექანება და
მოეხვევა, დედოფალი მუხლს მოიდრეკს მეფის წინ. მეფე მუნჯად
დაბნეული სდგას).

დედოფალი. ჩემო მეფეო, და მეუღლეო!..
მე უნდა თქვენ წინ... მე მაიძულეს

ტახტის წინაშე სამართალი ჩემი ვეძიო.

მეფე. რა სამართალი?

დედოფალი. ვხედავ, უღირსად მექცევიან თქვენს სა-
სახლეში —

ჩემი ყუთი გაუტეხიათ...

მეფე. რაო?

დედოფალი. საგნები ჩემთვის დიდად მნიშვნელოვანი
გამქრალია!

მეფე. როგორ? თქვენთვის მნიშვნელოვანი? ადექით!

დედოფალი. ასრე ვიქნები, ვიდრე თქვენის მეფურის
სიტყვით

მე არ აღმითქვამთ, რომ გადმომცემთ ხელთ დამნაშავეს,
ანდა, მეფეო, იმ ამალას არ მომაშორებთ,
რომელიც ჰმალავს ყუთის გამტეხს...

მეფე. აბრძანდით-მეთქი!... ამ ყოფაში... აბრძანდით
მეთქი!

დედოფალი. რომ იგი ქურდი უნდა იყოს სეფეთაგანი
ეს მჯერა, რადგან იმ ჩემ ყუთში ერთ მილიონზე
მეტად ღირებულს თვალ-მარგალიტს ხელი არ ახლო
და მარტოოდენ წერილებით დაკმაყოფილდა.

მეფე. რომელიც თქვენ მე დამიმალეთ!

დედოფალი. სრულებით არა!

იმ ყუთში იყო წერილები და კვლავ სურათი
ბატონიშვილის კარლოსისა...

მეფე. ჩემი შვილისა?

დედოფალი. დიახ, მეფეო.

მეფე. მონაწერი თქვენთან, არა?

დედოფალი. დიახ, ჩემდამი.

მეფე. მერე, ამას მე მეუბნებით?

დედოფალი. რატომაც არა, მეუღლეო?

მეფე. მერე, მაგ სახით?

დედოფალი. რა გაგიკვირდათ? ვგონებ ეს თქვენ უნდა გახსოვდეთ,

რომ ორ სამეფოს თანხმობითა იგი წერილი ბატონიშვილმა სენიერმენში გამომიგზავნა და თან სურათიც იმ წერილსა გამოაყოლა, ეს ჩაიღინა იმ იმედით, რომ მომავალში მისი მეუღლე დედოფალი შეიქნებოდა, ეს თუ მოუხდა აჩქარებით — შესანდობია, რადგან, მას მაშინ აზრადაც კი არ მოსდიოდა, რომ ის წერილი სურათითურთ გამოგზავნილი მისივე დედისთვის იქნებოდა!..

(მეფეს აღელვებას შეატყობს, იცნობს მედალიონს და უსიტყვოთ გაქვავებულივით დარჩება. ორივენი ერთმანეთს თვალმოუშორებლივ უმზერენ—დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ).

მეუღლის გულის ამოსაცნობლად ვგონებ ესრეთი საშუალება მეფური არის და ღირსეული, მაგრამ მე მინდა კითხვით მოგმართოთ.

მეფე. კითხვას მე უნდა გაძლევდეთ თქვენ!

დედოფალი. იქვენეულობის გამო სასჯელს არავის მისცემთ,

თუ კი ქურდობა მოხდა თქვენის განკარგულებით!

მეფე. არა

დედოფალი. მაშ ჩემთვის

სხვა არვინ არის, ბრალი დავდო...

მეფე. მაგ კილოს ვიცნობ,

მაგრამ მეორედ თვალს ვერ ამიბამთ,

როგორც ეს ერთხელ მოიქმედეთ არანუქუეცში.

დედოფალი. ეს რას ნიშნავს?

მეფე. გეტყვი პირდაპირ!

წამ არავისთან ლაპარაკი არა გქონია

მაშ, მართალია,

არანუეეცში? სულ არავისთან?

დედოფალი. დიახ, მქონდა ბატონიშვილთან!

მეფე. ჰო! — მაშ ეხლა კი ნათელია ასეთი ქცევა!

დედოფალი. თუ გრძნობთ რამე შეურაცხყოფას, თქვენის მხრით მე მხვდა...

მეფე. რად დამიმალეთ და სიმართლე რად არ მითხარი?

დედოფალი. რადგან ჩვეული სულ არა ვარ, მხლებელთ წინაშე

როგორც ბრალდებულს კითხვას მაძლევდით

და ჩემს ჩვენებას საჯაროდ სჯიდით!

მე ჩემს სიმართლეს როგორ დავფარავ,

თუ კი ღირსებით, პატივისცემით

გამომკითხავენ? განა ის კილო ისეთი იყო

თქვენ რომ მომართეთ არანუეეცში?

შეხვედრის ნება, ბატონიშვილს, დიახ, მე დავრთე,

რასაც ის ჩემგან მოითხოვდა გულდაჟინებით!

ეს მოვიქმედე, რადგან მსურდა —

მხოლოდ არ მსურდა იქ ამაღლის თანდასწრებით

ჩემს უფლებაზე მეკამათნა — მიტომ დავფარე...

მეფე. ძლიერ თამამად ლაპარაკობთ... ძლიერ თამამად!

დედოფალი. და ან რად უნდა მეშინოდეს? ან რად დავფარო?

ბატონიშვილსა მე ვაფასებ და მიყვარს კიდევ, —

უძვირფასესი ნათესავი, რომელიც ერთს ღროს

ღირსად ცნობილი იყო იგი, რომ სანუკველი

სახელი ჩემთვის გადმოეცა! სწორედ არ მესმის,

რად უნდა იქმნეს ჩემთვის უცხო, როგორც სხვა ვინმე?
რად უნდა მძულდეს თუ იმ თავით ძვირფასი იყო
აქ ყველა სხვებზე? თუ კი ერთხელ საჭიროდ სცნობდა
თქვენი სამეფოს კანონები ჩვენს შეერთებას,
და ცნობდა, რადგან სახელმწიფოს კეთილდღეობა,
ამას ითხოვდა!

რად უნდა მძულდეს ბატონიშვილი? და თუნდაც ვიყო
იძულებული, რაკი თვით მიწვევით სალაპარაკოთ,
მე გიპასუხებთ: ამას არ ვიზამ, არ შევიძულებ
და არც მინდა რომ ჩემი სურვილი შებოჭილ იყოს.

მეფე. ოჰ, ელისაბედ! მეტად სუსტი დრო შემირჩიეთ!
თქვენ გათამამებთ მოგონება, როცა მე მძლიეთ!
რაც უწინ ჩემს სულს არბილებდა, ეხლაც მას ძალუძს
გაშმაგებამდე მიმიყვანოს...

დედოფალი. ნეტა მეტყოდეთ, რა მიმიძღვის დანა-
შაული?

მეფე. (ხელს ხელში მოჰკიდებს).

გამიგონეთ... თუ მართალია დანაშაული....
თუ მართლა მე ვარ მოტყუებული, მაშინ?

(ხელს გაუშვებს).

ოჰ, მაშინ...

მე შემიძლიან უკანასკნელი სისუსტეც ვძლიო
და მაშინ. ვაი, თქვენცა და მეც!

დედოფალი. განა ისეთი, რა შევცოდე! რა ჩავიდინე?

მეფე. მაშინ თუნდ სისხლიც შეუბრალებლად უხვად
დაინთხეს!..

დედოფალი. ღმერთო ძლიერო, განა აქამდის მივიდა
საქმე?

მეფე. მაშინ ველარ ვცნობ ჩემს საკუთარ თავს, აღარ
ვცემ პატივს:

არც ჩვეულებას, არც ბუნების ხმას.

და არც სამეფოს ხელშეკრულებას! ყველა განქრება!...

დედოფალი. რა დიდად ვწუხვარ! მებრალები, ჩემო
ხელმწიფე!

მეფე. სწუხხართ და გებრალებით?!

ეს ზომ მეჩაივის

შებრალებაა!!! დედოფალო!

დედოფალი. ველარ ავიტან! — მეტის მეტია!

(დედოფალს სურს კარებს მიაღწიოს. მაგრამ კარებშივე მუხლო მოე-
კეცება და დაეცემა).

მეფე. (შეშინებული მიეშველება).

ღმერთო, რას ვხედავ? ეს რა არის? სისხლი სდის, მგონი!

(თავს ევლება დედოფალს).

ეს ბედითი შემთხვევა არის?

აბრძანდით! გონს მოდით! გამოერკვიეთ!

მოდიან! შეგვესწრობენ... აბრძანდით, სირცხვილია!

მთელმა სასახლემ ესრეთ საშინელ სანაწაობას

უნდა უცქიროს? აბრძანდით მეთქი?

(დედოფალი მეფის დახმარებით წამოდგება).

2. იგინივე. ალბა და ღომინგო შემოვლენ შეშფოთებულნი. შემდეგ
სეფე ქალები.

მეფე. თავის ოთახში მიაცილეთ!

კუდათ გრძნობს თავსა!

(დედოფალი და სეფე ქალები გადიან. ალბა და ღომინგო მეფეს
უახლოვდებიან).

ალბა. თვალცრემლიანი დედოფალი, პირსისხლიანი....
მეფე. ავსულთ საკვირვლად მიაჩნიათ! ავსულთ, რომელთაც

გზა ამიბნის?

ალბა და დომინგო. ჩვენ მეფეო?

მეფე. რომელთაც მამცნეს ბევრი რამე გასახელებლად, მაგრამ არ მითხრეს არაფერი დასარწმუნებლად!

ალბა. ის გადმოგეცით, რაც ხელთა გქონდა.

მეფე. ეშმაკიც იყოს მადლობის მთქმელი!

ოკ. რარიგ შეეცდი, რომ მოგენდეთ და დაგერწმუნეთ!..

მარკიზის ხმა. (გარედან).

ხომ შემოძლიან მეფეს ვეახლო?

4. იბინიე და შემოდის მარკიზი.

მეფე. (მსწრაფლ რამდენიმე ნაბიჯს გადასდგამს მარკიზის მისაგებებლად).

აჰ, ეინც მინდოდა! თქვენი მოსვლა კეთილი იყოს!

მხედართმთავარო, არ მქირდებით! დაგეტოვეთ მარტო!

(ალბა და დომინგო ერთმანეთს ჩუმად და გაკვირვებით შეხედავენ და გაეღენ).

მარკიზი. მეფეო ჩემო! იმ მოხუცს ხომ ლახვრად მოხედება,

ეინც ოცს ბრძოლაში სიკვდილს ედგა თქვენი გულისთვის, თქვენგნით კი ასე განიშორეთ?

მეფე. ასე იფიქროთ,

ეს თქვენ შეგფერით! —

მას მოვექეც სამართლიანად!

ხოლო ისეთი სამსახური, რაც თქვენ სულ მცირე

ხანს გამიწიეთ, — მან ვერ შესძლო მთელს სიცოცხლეში!

განწყობილება ჩემი თქვენდამი არ მსურს დაეფარო
არვის წინაშე! აწ მეფური ჩემი წყალობა
მსურს აგებეჭდოთ ნათლად შუბლზე, რომ ის ყოველთვის
შუქით ბრწყინავდეს! — მსურს აგრეთვე იმ ადამიანს
ვინც მეგობრად ამოვიჩიე! შურით უმზერდნენ!

(სიჩუმე).

რა ამბავს მეტყვიო!

მარკიზ. დერეფანში შემოვდიოდი
და იქ, საშინელს ამბავს მოვკარ! დაუჯერებელს...
მეფე-დედოფალს

ჩხუბი ჰქონდათო, დედოფალი სისხლში არისო...

მეფე. იქიდან მოხვალთ?

მარკიზ. სამწუხაროა ეს ამბავი, თუ მართლა მოხდა!
აღმოვაჩინე რაიც საქმის მთელ ვითარებას
შესცვლის!...

მეფე. სახელდობრ?

მარკიზ. დღეს შემთხვევა კარგი მომეცა
და ჩამოვართვი უბის წიგნი ბატონიშვილსა,
მუნ იპოება ქალაქდები მნიშვნელოვანი
რაც ჩემის აზრით ცოტაოდენ შუქსა მოფენდნენ —

(კარლოს უბის წიგნს აძლევს მეფეს).

მეფე. (გაფაციცებით გადაათვალიერებს).

მეფისგან არის ეს წერილი? მამიჩემისგან?..
სულ არ ვიცოდი არაფერი ამის შესახებ!

(გადაიკითხავს გვერდს და დასდებს და სხვებს ათვალიერებს).

ციხე-სიმაგრის გეგმა არის აქ აღნიშნული...
ეს ნაწყვეტები ტაციტიდან.. ეს რაღა არის?...

ამ ხელს ხომ უნდა მე ვიცნობდე, ქალის ხელია!..

(ყურადღებით კითხულობს ხან მაღლა, ხან დაბლა).

„ეს გასაღები... გახსნის კარებს იმ ოთახისას“...

ოჰ, ვნახოთ, ვნახოთ!.. „დედოფალის საპირფარეო“...

„იქ ძალუძს მხოლოდ ჩემს სიყვარულს ხმა მაღლა
გრძნობით

„ის გაგიმჟღავნოს... ელის ჯილდო იქვე დატანჯულს!..“

ოჰ, ვერაგობა! ეხლა მივხდი.. .ეს იგი არის!..

მისი ხელია!

მარკიზ. დედოფალის? — ეგ არა მჯერა!

მეფე. არა, იმისი — ებოლისა!

მარკიზ. მაშ, ის მართალი უნდა იყოს, ეხლა ხან პაეი
რომ გამომიტყდა!.. გასაღები და ეგ წერილი
მას გადაეცა....

მეფე. (მარკიზს ხელს წააველებს. ძლიერ აღელვებულია).

მარკიზ, ვხედავ, თუ რა საშინელ,

თუ რა რიგ ვერაგ ხალხის ხელში მე ჩავარდნილვარ!..

ამ ქალმა, — უნდა გამოგიტყდე, მარკიზ, — ამ ქალმა

გასტეხა ყუთი დედოფლისა — მანვე პირველი

ცნობა გადმომცა — ვინ უწყის თუ ეს ყოველივე

ბერმა დომინგომ არ მოაწყო?.. და ვიქმენ მათგან

მახეს გაბმული, აგრე უღვთოთ მოტყუებული!..

მარკიზ. მაშ, ჯერ-ჯერობით კიდევ კარგად ყოფილა
საქმე...

მეფე. მარკიზ, ოჰ, მარკიზ! შიში მიტანს, — ჩემი
მეუღლე

დიდად დავსაჯე!..

მარკიზ. თუ დედოფალს და ბატონიშვილს

რამ საიღუმლო აკავშირებდათ,
ექვს გარეშეა, ის ყოფილა სხვა შინაარსის,
ვიდრე დასწამეს!

ნამდვილად ვიცი, რომ დედოფლის სურვილისამებრ,
გაღუწყვეტია ბატონიშვილს წასვლა ფლანდრეთში!

მეფე. აგრე ვგონებდი...

მარკიზ. საფიქრალია, — საშიშოა მართლაც კარლოსი?
აქ ჩემის აზრით საჭიროა მეტად სასტიკის
თვალყურის გდება...

მეფე. მაგას თქვენ განდობთ!

მარკიზ. თუ თქვენის აზრით შემძლიან საქმის წა-
დლოლა,
გთხოვთ ერთს მომანდოთ წარმოება შეუზღუდველად!

მეფე. გაქვთ სრული ნება!

მარკიზ. არვინ, არც ერთმა თანაშემწემ,
— რასაც საჭიროდ
მე დავინახავ, ხელი არ უნდა შემიშალოს...

მეფე. მაგას აგითქვამთ, არვინ შეგიშლით!

მარკიზ. საჭიროდ ვცნობ ერთს გაფრთხილებას!
ვშიშობ, ვაი თუ ბატონიშვილს შეატყობინონ.
მას მეგობარი მრავალი ჰყავს! იქნებ მას გენტოს
მეამბოხებთან კავშირიც აქვს! ამიტომ გირჩევთ,
სანამ მზადებას შეუდგება, რომ ამ შემთხვევას
ჩვენ მზად დაუხვდეთ!

მეფე. მართალი ხართ! რა გზას დავადგეთ?

მარკიზ. უნდა მიბოძოთ საიღუმლო ერთი ბრძანება
მას უკიდურეს შემთხვევისთვის გამოვიყენებ,
ეს საიღუმლოდ უნდა დარჩეს სახელმწიფოს!

მეფე. (საწერ მაგიდასთან მივა).

ამას მოითხოვს სახელმწიფოს კეთილდღეობა

მარკიზ, ინებეთ და არ აჩქარდეთ!...

მარკიზ. (გამოართმევს ხელწერილს).

მას უკიდურეს შემთხვევაში გამოვიყენებ!..

მეფე. (მხარზე ხელს დაადებს).

აწ წადით, ჩემო ძვირფასო მარკიზ! გულის სიმწვიდე და მყუდროება დამიბრუნეთ!

მესამე სურათი.

დედოფლის ოთახი სასახლეში.

1. ხმაურობა.

დედოფალი. რა ამბავია? რა ღელვაა ამ სასახლეში? დღეს ყოველგვარი ხმაურობა უიშსა მგვრის დიდად.

2. იგივე და ებოლი.

მგოლი. (სუნთქვას ძლივს იბრუნებს, გაფითრებული დედოფლის წინ დაემხობა).

ოჰ, დედოფალო, უშველეთ მას! იგი შეიპყრეს!..

დედოფალი. ვინ?

მგოლი. მარკიზ პოზამ მეფის ბრძანებით შეიპყრო იგი.

დედოფალი. მაგრამ ვინ? ვინ?

მგოლი. ბატონიშვილი!

დედოფალი. ხომ არა ჰბოდავთ?

მგოლი. ეს არის ეხლა წაიყვანეს!..

დედოფალი. და მერე იგი ვინ შეიპყრო?

მგოლი. მარკიზ პოზამ.

დედოფალი. მაშ, მადლი უფალს, მას შეუპყრია!

მბოლი. ამას თქვენ ბრძანებთ გულდამშვიდებით?
და ასე თქვენ? ღმერთო ჩემო, თქვენ ვერ მიმხვდარხართ!
დედოფალი. რაზედ შეიპყრეს? ვფიქრობ უნებურ სა-
ქციელისთვის,

რაიც ყრმის ცხარე ხასიათისთვის ბუნებრივია!..

მბოლი. ოჰ, არა, არა! მე უკეთ ვიცი! — არა, სულ-
გრძელო დედოფალო!

ჯოჯოხეთურის საქციელისთვის....

სიკვდილი ელის! ოჰ, მას — მოკლავენ!

დედოფალი. მოკლავენ?

მბოლი. მე ვარ მისი მკვლელი!

დედოფალი. მას, მოჰკლავენო? რაებს ჰბოდავთ, გა-
დარეულო?

მბოლი. და რისთვის! რისთვის უნდა მოკლან? მე რომ
მცოდნოდა

საქმე აქამდის მიაღწევდა!...

დედოფალი. (თანაგრძნობით ხელს წაავლებს).

პრინცესა ებოლი!

ჯერ თქვენ კიდევ გონს ვერ მოსულხართ.

აწ თქვენი ძალა მოიკრიფეთ, რომ დამშვიდებით
რამე მიაგზოთ! აბა, რა იცით, ანუ რა მოხდა?

მბოლი. ოჰ, დედოფალო! მაგ ღვთაებრივის სულის
სიმშვიდით,

ეგრეთის თქვენის გულკეთილობით, ნუ მეპყრობით!..

ვით ჯოჯოხეთის ალი გზნებული ჩემს გულს ხვდება
და სწვავს ჩემს სინიდისს! ღირსი არ ვარ უწმინდური
ეს თვალი ჩემი თქვენ შარავანდედს გავეუსწორო!
გასრისეთ იგი უბედური, თქვენს ფერხთ წინაშე.

დედოფალი. უბედურო, რა გაქვთ სათქმელი?

მბოლი. ჰოი, სინათლის ანგელოზო!

ჯერ თქვენ არ იცნობთ, ვერც წარმოიდგენთ,
თქვენ რომ მანე სულს სიყვარულით ელიმებოდით...
იგი იცანით, დედოფალო! — მე ვარ ის ქურდი,
ვინც თქვენ მოგპარათ წერილები!

დედოფალი. თქვენ მოიპარეთ?

მგოლი. ის წერილები მეფეს გარდავეცი!

დედოფალი. თქვენ? თქვენ ჰქმენით ეს?

მგოლი. და თავხედურად მე დაგასმინეთ!

დედოფალი. თქვენ? თქვენ შესძელით?..

მგოლი. შურის ძიება... სიყვარული... და გაშმაგება
მე თქვენა მძულდრით და მიყვარდა ბატონიშვილი!...

დედოფალი. რადგან გიყვარდათ, მიტომ?..

მგოლი. რადგან პირველად მე გამოვუტყდი
და თანაგრძნობა მასში ვერ ვპოვე!...

დედოფალი. (სიჩუმის შემდეგ).

ეწავა ირკვევა ჩემთვის ყოველი!...

ადექით ზეზე! (ხელს გაუწვდის).

მგოლი. ოჰ, არა, არა! ერთი საზარი

კვლავ დამრჩენია თქვენთვის სათქმელად,

მანამდის ნუ,

ნუ მაპატიებთ!

დედოფალი. (გაოცებით).

კვლავ რას მოვისმენ?...

მგოლი. (თრთოლვით).

მეფემ ნამუსი... შემაცდინა... თქვენ თვალს მარიდებთ?..

მე თქვენ სახეზე ზიზღს ვკითხულობ!.. რა ცოდვასაც კი

თქვენ გაბრალებდით... თვით ჩავიდინე... საძაგლობაა...

(დაბლა დაეცემა და თავის სახეს იატაკზე დაადებს. დედოფალი მი-
დის. დიდი სიჩუმე. ოლივარეც შემოდის იმ ოთახიდან, რომელშიც

დედოფალი გავიდა. იგი ებოლის იმავე მდგომარეობაში ჰპოებს. ჩუმად უახლოვდება. ფეხის ხმაზე ებოლი წამოიხედავს და რა დედოფალს თვისთან ველარ ნახავს, გაშმაგებული წამოვარდება).

მამული. ღმერთო! დამტოვა?! მაშ, ყველაფერი გათავებულა?

ოლივარმც. (მიუახლოვდება).

პრინცესა ებოლი!...

მამული. ვიცი რისთვისაც მობრძანებულხარო!..

აქ დედოფალმა გამოგგზავნათ, რომ განაჩენი გამომიცხადოთ — მაშ დაუჩქარეთ!

ოლივარმც. ნაბრძანები მაქვს დედოფლისგან, რომ გასაღები

ჩამოგართვათ!

მამული. მაგრამ, ერთხელ ხომ ნებას დამრთავს, და ღირსად გამხდის ვეამბორო უგულკეთილეს?

ოლივარმც. თუ რაც მოგელით, მას მარიამის მონასტერში

შეგატყობინებთ....

მამული. (ცრემლები წამოსცივავა).

მაშ, მე დედოფალს ველარ ვნახავ?

ოლივარმც. (მოეხვევა და სახეს იქით მიმაღავს).

ღმერთმა მოგცეთ აწ სიმშვიდე და ბედნიერება...

(სწრაფად გადის დედოფლის ოთახისკენ. ებოლი მისკენ გაექანება, მაგრამ მალე შეჩერდება და კარების წინ მუხლმოყრილი დარჩება. შემდეგ წამოვარდება და სახეზე ხელ მიფარებული გაეშურება გასასვლელად. სცენა ცოტა ხანს ცარიელია და შემდეგ შემოდინან დედოფალი და მერკიზ პოზა ლაპარაკით).

2. დედოფალი და მარკიზი.

დედოფალი. ძლივს გხედავთ, მარკიზ! რა კარგი ჰქე-
ნით, მინახულეთ,

მარკიზ. (გაფითრებულის სახით და აკანკალებულის ხმით. ასე
დარჩება თითქმის ბოლომდე).

მარტოდ მინდოდა თქვენი ნახვა! თქვენ მახლობელ
სეფე-ქალთაგან ყურს ხომ არავინ არ დაგვიგდებს?

დედოფალი. არა, არავინ! რაზე კითხულობთ?
რა ამბავს მეტყვით?

(რა დააკვირდება დედოფალი, შეშინებული უკან დაიხვეს).

როგორ შეცვლილხართ? განა რა მოხდა?
მაშინებთ, მარკიზ! მკვდრის ფერი გაქვით!...

მარკიზ. უეჭველია, გაიგებდით!..

დედოფალი. რომ კარლოსი შეპყრობილ იქმნა! —
და იქმნა თქვენგნით, ასე ამბობენ.

მაშ, მართალია? არ დავიჯერებ, ვიდრე თქვენ თითონ
მაგას არ მეტყვით?..

მარკიზ. მართალი გახლავთ!..

დედოფალი. თქვენ შეიპყართ?

მარკიზ. დიახ, შევიპყარ!..

დედოფალი. (მცირე ხანს გაკვირვებული უცქერის).

დიდად ვაფასებ თქვენს მოქმედებას,
თუმც იგი არის ჩემთვის ესდენ მიუწვდომელი...
მომიტევით კი, მაგრამ ვშიშობ, თქვენ ეს თამაში
საბედისწეროთ არ გაგიხდეს! საუბედუროთ!..

მარკიზ. უკვე გამიხდა, დედოფალო! იგი წავაგე!..

დედოფალი. ღმერთო ძლიერო!..

მარკიზ. ბრძანდებოდეთ დამშვიდებული,

მისთვის ვიზრუნე ყოველივე... ის გადარჩება,
მხოლოდ ჩემთვის კი ყველაფერი წაგებულა...

დედოფალი. ღმერთო ჩემო! კვლავ რას მოვისმენ?..

მარკიზ. მე თვით გაბედვით, სითამამით და დარწმუნებით,

შევეთამაშე განგებასა და ვერას გაეხდი.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო — რა დროს ამაზე ლაპარაკია. ყოველი წუთი აწ ძვირფასია!...

დედოფალი. რას ნიშნავს, თქვენი ესეთი კილო? —

მე ვერ მივმხვდარვარ!

მარკიზ. იგი რა ფასად გადარჩება, ეგ სულ ერთია. და გადარჩება მხოლოდ ერთის დღით. უნდა აჩქარდეს და ამაღამვე მან მადრიდი უნდა დასტოვოს.

დედოფალი. ამაღამვე?

მარკიზ. განკარგულება მოხდენილია, კარტეზიანთა მონასტერში ცხენები ელის.

აი, ეს ფული! — რაც ამ ქვეყნად ბედმა მარგუნა, — სულმთლად ეს არის! — თუ დააკლდა თქვენ დაუმატეთ!.. თუმც ბევრი რამ მაქვს კარლოსისთვის გასამჟღავნები, მაგრამ იქნება მე მისი თქმა არ დამაცალონ.

ამ საღამოსვე თქვენ მას ნახავთ!.. მიტომ მოგმართავთ, რომ ჩემს მაგიერ ყოველივე შეატყობინოთ!

დედოფალი. მაგ საშინელ ამოცანებით რას მეუბნებით? გემუდარებით. რაც კი მოხდა, გამავებინოთ!

მარკიზ. ერთი რამ კიდევ უნდა გითხრათ მნიშვნელოვანი.

მე მას ვშორდები და ჩემს სათქმელს თქვენ გიანდერძებთ.

ეს ჩემი გული, რომელიც მე კარლოს შევწირე მთელსა სამყაროს შეიცავდა! მის ლამაზ სულში შეეკმევენ სამოთხე სანეტარო მთელის ერისთვის,

მაგრამ განგებამ
არ მაცალა მისი ნაყოფი
თვით მე მეხილა

და უდროოდ შორს გამიწვია!
კარლოსი თვისსა როდერიგოს აწ ველარ ნახავს,
მაგრამ მის ადგილს დაიკავებს მისი მიჯნური!
აქ... აქ... ამ წმინდა
საკურთხეველზე... ჩვენი ძვირფასი დედოფლის გულში
ჩემსა ანდერძს — ვუტოვებ კარლოსს.
დეე, აქ ჰპოვოს მან ეს ანდერძი, როცა მე აღარ ვეყოლები...
(სახეს მიუბრუნებს, ცრემლები მოეზინება).

დედოფალი. ეს სიკვდილისთვის გამზადებული ხმასა
ჰგავს, მარკიზ!

ან იქნებ რამე სხვა აზრია მაგ თქვენს სიტყვებში!?

მარკიზ. (ძალ-მოკრეფით, მტკიცე კილოთ).

თქვენ გადაეცით ბატონიშვილს, აღთქმა ახსოვდეს,
ჩვენ რომ შევფიცეთ საიდუმლოდ!

მე იგი ფიცი შევასრულე და სიკვდილამდის
ერთგული შევრჩი, ხოლო ეხლა მისი ჯერია,
რომ თვისი აღთქმა შეასრულოს....

დედოფალი. სიკვდილამდის?

მარკიზ. თქვენ მას უთხარით, რომ ოცნება მალე გარ-
დაქმნას

მან სინამდვილედ. მოველინოს ქვეყანას მხსნელად!

ახალგაზრდობის სიზმრებისა პატივისცემა

არ დაივიწყოს, ოდეს იგი დავაჟეკაცდება.

დედოფალი. მარკიზ, რას ამბობთ?

მარკიზ. მას უთხარით და დაავალეთ,

რომ ჩვენი ხალხის
ბედნიერება წმინდად დაიცვას
და შეინახოს გულის სიღრმეში!
ამას მოვითხოვ
სიკვდილის წინ! დიახ, მოვითხოვ!
და უფლება მაქვს მას ეს მოვსთხოვო! მე შემეძლო
სხვა განთიადი სამეფოსთვის აღმომებრწყინა.
მეფემ მაჩუქა თვისი გული, თვის შვილად მრაცხდა,
იგი მომენდო, მე ვატარებ სამეფო ბეჭედს
და მისი ალბა — დომინგოები ტახტს ჩამოშორდნენ.

(შეჩრდება და რამდენიმე ხანს დედოფალს შესცქერის. დედოფალს
კრემლები სდის).

თქვენ სტირით? სტირით? ოჰ, ქალთ შორის საუკეთესოვ!
ამ კრემლებს ვიცნობ, მშვენიერებით აღსავსე სულო!
მაგრამ აღსრულდა! განქრა ყოველი!
ან კარლოს, ან მე! არჩევანი სასწრაფო იყო;
ერთერთი უნდა დაღუპულიყო და ის ერთი
უნდა მე ვიყო! სჯობს, რომ მე ვიყო....
რა საჭიროა, დედოფალო, მეტი იცოდეთ!

დედოფალი. ეხლა, მხოლოდ ეხლა მიგიხვდით.

ოჰ, უბედურო,
ეს რა გიქნიათ?!

მარკიზ. ჩემი სიცოცხლის ორი საათი ხანმოკლე და
ბინდით მოცული,

შევწირე დილას, ოქროს დილას მომავალისას!

მეფეს დავშორდი სამუდამოდ

და ან რა მქონდა მასთან საერთო?

ევროპის ტკბილი მომავალი მძლავრად ფრთას ისხამს

ჩემის მეგობრის — მეფის შვილის — მხურვალე გულში!

ჩვენს ესპანეთსა ვანდობ კარლოსს, იმას ვაბარებ!
მაგრამ, ვაი, მე და, ვაი, მას, უკეთუ შევცდი
და მე იმედი კარლოსისა არ გამიმართლდა!
მაგრამ რას ვამბობ? არა, არა! მას კარგად ვიცნობ,
ეს არ იქნება, არასოდეს ეს არ მოხდება!..
თქვენ, დედოფალო, თქვენ ხართ, თქვენ ხართ ამის თავ-
ლები.

(მცირე სიჩუმის შემდეგ).

მასში ვხედავდი გაღვივებას სიყვარულისას,
მასში ვხედავდი პირველ ვნებას, როს ფესვს იდგამდა —
ვნებას ბედითსა და ვაების მომასწავებელს! —
მაშინ შემეძლო კარლოს გულში მისი ჩაქრობა,
მაგრამ არა ვქმენ! მე პირ-იქით მის ესრეთ გრძნობას
ვანებიერებდი, ვალვივებდი, ვასაზრდოებდი,
რადგან უბედურ სიყვარულად ეს არ მიმაჩნდა!
სიცოცხლეს ვკვრებდი, სადაც სხვანი სიკვდილს ხე-
დავდნენ.

ჩემი კარლოსის უიმედო, მძლავრ სიყვარულში
ნათლად ვხედავდი ოქროს სხივსა სანეტაროსა!
მსურდა მე იგი აღმეყვანა რჩეულთ მწვერვალზე
და უმაღლესი სილამაზე გადამეშალა.
მაგრამ მომაკვდავს არ შემეძლო, ღონე არ მქონდა
და ჩემს ენასაც არ შეეძლო გამოესახა
ხატება სრული, შესაფერი ჩემის მიზნისთვის!
მაშინ მე კარლოს მივუთითე მხოლოდ-ლა თქვენზე
და დავუმყარე მას იმედად თქვენი ხატება!
მომეცით აღთქმა, სამუდამოდ ის გეყვარებათ!
არ შეგარყიოთ ხალხის აზრმა, არ დასთმოთ იგი!
გულ-შეუცვლელად, სამუდამოდ გიყვარდეთ კარლოს!
აღმიტქვამთ ამას?

მიბოძეთ ხელი ნიშნად ამის დადასტურების!

დედოფალი. მე თქვენ აღვითქვამთ, ჩემი გული იქნება
მარად

მსაჯული ჩემის ერთად-ერთის სიყვარულისა!

მარკიზ. (ხელს ჩამოართმევს).

ებლა მე ვკვდები დამშვიდებით.

ჩემი შრომა უკვე გათავდა!

(თავს მოუხრის და წასვლას დააპირებს).

დედოფალი. (მღუმარედ თვალს გააყოლებს).

მიღინხართ, მარკიზ და არ მამცნობთ, არ მეუბნებით

თუ ჩვენ ერთმანეთს ხელ-მეორედ კიდევ შევხვდებით?

მარკიზ. (დაბრუნდება სახე მიბრუნებული).

კიდევ შევხვდებით, როგორ არა!

დედოფალი. მიგიხვდით, მარკიზ! რადა? რისთვის? რად
ჩაიღინეთ?

მარკიზ. ან მე, ან იგი!

დედოფალი. არა და არა! თქვენ თვით შექმენით ეს
განსაცდელი.

ხსნა აღარ არის არავითარი?

მარკიზ. არავითარი!

დედოფალი. არავითარი? თუნდაც ჩემის დახმა-
რებითაც?

მარკიზ. არა, არც თქვენის დახმარებითა!

დედოფალი. (მოტრიალდება და სახეს დაიფარავს).

არც ერთს მამაკაცს აღარა აქვს ფასი ჩემს გულში!

წადით, მშვიდობით!

მარკიზ. (აღელვებული მის წინ დაემხობა).

ოჰ, დედოფალო,

სიცოცხლე რა რიგ მშვენიერია!...

(მსწრაფლ ადგება და გადის. დედოფალი თვალს გააყოლებს).

მოქმედება მეხუთე.

პირველი სურათი.

ოთახი (უფრო კი შეზღუდული ეზო) სასახლეში, რომელიც რკინის მოაჯირით შეზღუდულია. შორიახლო დგანან დარაჯები.

1. კარლოსი და მარკიზ პოზა.

კარლოს. (მაგიდაზე ზის ხელებზე თავ დაყრნობილი, თითქოს სთვლემს).

მარკიზ. (შეუმჩნევლად შემოდის და ჩუმად ელაპარაკება დარაჯებს, რომლებიც მაშინათვე მოშორდებიან ამ ადგილს. მიუახლოვდება კარლოსს და დიდხანს დაჰყურებს ჩუმად მოწყენილი და დაღუმებული. ბოლოს მოძრაობით კარლოსი ცნობაში მოჰყავს).

კარლოს. (წამოდგება, შეამჩნევს მარკიზს და შეკრთება. გაშტერებული უცქერის, ბოლოს ხელს მოისევამს შუბლზე, თითქოს რაღაც უნდა მოიგონოს).

მარკიზ. ეს მე ვარ, კარლოს!

კარლოს. აქაც მოდიხარ?

ეგ საქებია შენის მხრით... დიდად გმადლობ!

მარკიზ. ვფიქრობდი, აქ მეგობარი დაგქირდებოდა.

კარლოს. ჰოჰო, მართლა ასე ფიქრობდი? დიდად მახარებს!

1 კარგად ვიცოდი, 'შეძრჩებოდი ძაიხც ერთგული! —

მარკიზ. შენგნით ეგ კილო ნეტა რითი დავიმსახურე?!

კარლოს. არა თუ? ჩვენ ერთმანეთი კვლავ გვეყვარება!..

ერთმანეთის მიტევება შეჰფერის ჩვენსავით დიდსულოვანთა. ვსთქვათ, რასაც მე ვესწრაფებოდი არ იყო მართლაც მოსაწონი...

აღბად უსაზღვროდ იტანჯებოდი,

როცა ნიშანში ამოიღე მსხვერპლის შეწირვა!

მარკიზ. კარლოს, მაგითი რა გინდა სთქვა?

კარლოს. შენ თვითონ შესძლებ მის დამთავრებას, რაც მე უნდა

თვით მომეჭმედნა, მაგრამ კი ველარ მოვახერხე! —

აწ შენ მოუვლენ ესპანეთსა ბრწყინვალე ხანას, რომელსაც იგი მოელოდა ჩვენგან ამაოდ!..

ჩემი საქმე კი წასულია აწ სამუდამოდ...

ამ საშინელმა სიყვარულმა ნაადრევი

გრძნობის ყვაველი წარიტაცა დაუბრუნებლად...

უკვე მკვდარი ვარ საოცნებო იმედებისთვის!..

მეფე, განგებამ თუ შემთხვევამ, შენი გახადა —

საიდუმლოს გაცემისთვის იმის გული

დღეს შენ მოიგე. ის შენია და შეგიძლიან

მის ანგელოზად შენ შეიქმნე, ხოლო ჩემთვის კი

ხსნა აღარ არის.

ესპანეთისთვის ვერ გამოვდგები...

ვწუხვარ, ვერ მივხდი, რომ იმდენად დიდებული ხარ,

რაოდენადაც ნაზი სულის-გულის პატრონი!..

მარკიზ. არა, არ მქონდა წარმოდგენილი, რომ მეგობრული

დიდსულოვნობა უფრო მეტსა გამოიკვლევდა,

ვიდრე ჩემნი მსოფლიური მოსაზრებანი;

ჩემი შენობა აღმართული უკვე ირღვევა —
მე დამავიწყდა შენი გული...

კარლოს. რომ შეგძლებოდა და იმისგან შენ აგეცდინა
უბედურება, მაშინ, ოჰ, მაშინ გამოუთქმელ
გულწრფელობას შემოგწირავდი! ნუთუ მარტო მე
არ ვიქნებოდი საკმარისი ამ მსხვერპლისათვის?..
განა საჭირო იყო უთუოდ მეორე მსხვერპლიც
დაჰმატებოდა? მაგრამ კმარა, კმარა ამაზე!
სულაც არ მინდა გისაყვედურო!
დედოფალი შენ რაში უნდა გენალვლებოდეს?
რას წარმოადგენს ჩემი მცირე სიყვარული
შენს დიდაზროვან მისწრაფებასთან? აწ მაპატიე.
უსამართლო ვიყავი...

მარკიზ. დიანაც! ხარ უსამართლო, მაგრამ არა ამ
საყვედურისთვის... თუნდაც რომ ერთი საყვედური დამე-
მსახურა,

დამსახურებულ იქნებოდა დანარჩენებიც!
მაშინ ხომ ასრე შენს წინაშე არ ვიდგებოდი!

(ამოიღებს წიგნს).

შენ აქ ჰპოებ ზოგს წერილებს,
შესანახად რო მომბარე, —
ეხლა მიიღე და შეინახე!..

კარლოს. (უყურებს გაკვირვებული ხან წერილებს, ხან
მარკიზს). როგორ? არ მესმის!..

მარკიზ. უკან გიბრუნებ, რადგან ეხლა შენს ხელში,
კარლოს,

იქნება უფრო უზრუნველი, ვიდრე ჩემსაში!

კარლოს. როგორ? მაშ მეფეს არ უნახავს, არ წაუ-
კითხავს?!

მარკიზ. ეს წერილები?

ქარლოს. როგორ? მეფისთვის ესენი არ გიჩვენებია?

მარკიზ. მერე, ვინ გითხრა, ერთი მაინც მეჩვენებინოს?

ქარლოს. (ძალზე გაკვირვებული).

განა ეს შესაძლებელია? მითხრა გრაფ ლერმამ...

ქარლოს. მაშ, ლერმამ გითხრა?

ოჰ, ყველაფერი ეხლა ჩემთვის ნათელი არის.

მაშ, ლერმამ გითხრა? არა, ის ტყუილს არ იკადრებს.

მართალია, სხვა წერილები მეფის ხელშია! —

ქარლოს. (ხანგრძლივ უცქერის გაკვირვებული).

მაშ, მე აქ რად ვარ?

მარკიზ. სიფრთხილისათვის! რომ შეძლება აღარ
გქონოდა

ებოლისათვის საიდუმლო კიდეც გაგენდო!

ძლივს მოგასწარი და რაკი სხვა გზა აღარ იყო

ამ ხერხს მივმართე...

ქარლოს. (თითქოს გამოერკვევა).

ოჰ, ეხლა მესმის! ეხლა მხოლოდ ყველაფერს ვხედავ!

მარკიზ. (ძიხნდავს კარებისაკენ).

ვინ მოდის? (შემოდის ალბა).

2. იგინივე და ალბა.

ალბა. (შემოდის მოწიწებით, უახლოვდება ქარლოსს. ალბა ზურგ შექცეულია მარკიზისაკენ).

მეფის ძეო, თავისუფალი ბრძანდებით!

მეფემ გამომგზავნა ამ ამბის მოსახსენებლად!

ქარლოს. (მარკიზს განცვიფრებით შესცქერის. ყველა სდუმს).

ალბა. (თავმომწონედ).

ანავე დროს ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, ბატონიშვილო,

რომ პირველს მე მხვდა პატივი თქვენ ეს გაუწყოთ!

ქარლოს. (ორთავეს შეჰყურებს გაოცებულნი. მერე მიმართავს ალბას).

დამატყვევეს და მანთავისუფლებენ! არ კი ვიცი რად და რისთვის მოიქმედეს ან ერთი, ან მეორე!?

ალბა. შეცდომით მოხდა, ბატონიშვილო! მე როგორც ვიცი,

ვილაც ცბიერმა, მატყუარამ მეფე შეაცდინა....

ქარლოს. მაგრამ ხომ მეფის ბრძანებით ვარ დატყვევებული?

ალბა. დიახ, მაგრამ მოგახსენეთ, მეფე შეაცდინეს.

ქარლოს. დიდად ვწუხვარ, მაგრამ როს მეფე სცდება, მან თვითვე უნდა გამოაკეთოს თვისი შეცდომა.

(ალბას მედიდურად შეხედავს, ხოლო მარკიზს მეგობრულად).

აქ მეფის შვილად მიწოდებენ! ცნობისმოყვარეს და ავ მეტყველებს მოუპყრიათ ჩემზე თვალები.

ჩემის განთავისუფლებით მეფემ შეასრულა თავისი მოვალეობა

და ამიტომ არა მსურს

ეს მივიჩნიო მოწყალებად, სხვათრივ კი მზად ვარ კორტესთა სამსჯავროს წინ წარვსდგე პასუხის საგებლად. ხოლო თქვენ ხელთაგან არ მივიღებ ბოძებულ ხმაღს.

ალბა. მეფე უარს როდი გეტყვით ეს სამართლიანი მოთხოვნილება აგისრულოთ და თუ თქვენ ნებას მიბოძებთ მასთან მიგაცილოთ, ბატონიშვილო!..

ქარლოს. აქ ვრჩები, ვიდრე მეფე, ან მთელი მისი მადრიდი,

არ გამომიყვანს ჯურღმულიდან მე, როგორც მართალს! გთხოვთ, გადასცეთ ჩემი პასუხი ჩვენს დიდს ხელმწიფეს!..

ალბა. (თავის დახრით გადის და სცენის სიღრმეში რალაც გან-
კარგულებას აძლევს დარაჯებს).

ქარლოს. (ალბას წასვლის შემდეგ მოულოდნელის გაკვირვე-
ბით).

ეს რას ნიშნავს? ამიხსენ მალე! განა შენ მთავარ მი-
ნისტრად

აღარ იმყოფები? აკი იყავი?!

მარკიზ. ვიყავ, აღარ ვარ!

(მიუახლოვდება).

ჩემო კარლოს, ხერხმა აჯობა.

აღსრულდა — მორჩა! ჭკუამ გასჭრა და იმოქმედა!

მადლობა უფალს!

ქარლოს. რა აღსრულდა? ველარ მიმხვდარვარ!

მარკიზ. (ხელს მოჰკიდებს).

გადარჩენილი ხარ, თავისუფალი ხარ!.. მაგრამ მე კი.

(შედგება).

ქარლოს. შენ კი?..

მარკიზ. მე კი... გულზე მიგიკრავ მთელის უფლებით!
მე ამ უფლებას შეეწირე თავი...

და რაც მეზადა მე ამ ქვეყნად უძვირფასესი!..

ოჰ, ჩემო კარლოს, რა ტკბილია ნეტარი წუთი!..

ღიახ, ღიახ, კმაყოფილი ვარ ჩემის თავისა!..

ქარლოს. როგორ სწრაფად შეგეცვალა სახე! ჯერ
ამნაირი

არ მინახავხარ! ამაყად ლელავს შენი გული

და თვალნი შენნი შუქსა აფრქვევენ! რა მიზეზია?

მარკიზ. ჩვენ ერთმანეთსა, კარლოს, უნდა გამოვე-
თხოვოთ;

იყავ ვაჟკაცი! ნუ შეეკრთები, რაც უნდა გითხრა!
აღმითქვი, კარლოს, აღმითქვი, რომ შეუფერებელ
ტანჯვა-წუხილით არ გაამწარებ ჩვენს განშორებას!..
შენ მე მკარგავ, მკარგავ დიდის ხნით. უვიცნი ამას
უწოდებენ სამუდამოსა!

(კარლოს ხელს გამოაცლის).

იყავ ვაჟკაცი!

დიდი იმედი მქონდა შენი და ამიტომაც
არ მოვერიდე — ეს წუთები, რომელნიც ზოგნი
შიშით და თრთოლვით შეპყრობილნი უკანასკნელ წუთს
ეძახიან, შენთან გავატარო, გამოგიტყდები
ეს წუთები მე მახარებენ! მოდი, აქ დავსხდეთ, —
სუსტად ვგრძნობ თავსა! მომისმინე კარლ!
ჩვენ რომ ერთმანეთი უკანასკნელად კარტეზიანის
მონასტერს ვნახეთ, ერთის დღის შემდეგ დამიბარა
მეფემ თავისთან... ამის შედეგი შენც კარგად იცი.
იცის მადრიდმაც! ის კი არ იცი, რომ მეფეს შენი
საიდუმლო უკვე გაეგო, რომ წერილები
მოენახათ დედოფლის ყუთში, რომელნიც ნათლად
მეტყველობდნენ შენს წინააღმდეგ! მე ეს ამბავი
თავის პირით მეფემ მიაგებო,

(კარლოს კვლავ სდუმს).

ამ გვარად, კარლოს, ერთგულობა გავტეხე ჩემი —
ვმეთაურობდი შეთქმულობას შენს წინააღმდეგ,
თვალ ასახვევად განგამზადე დასალუპავად,
რადგან ნამეტან ცხადი იყო შენი ცდომანი
და გამართლებაც იყო ყოველად შეუძლებელი...
რომ ამეცდინა მეფის ეჭვი, ეს გზა-ლა დამრჩა —

მტრად გარდაგექეც, უკეთესი შენთვის მეზრუნა. —
შენ ყურს არ მიგდებ?

კარლოს. როგორ არა! შემდეგ? განაგრძე!

მარკიზ. აი, აქამდის შენს წინაშე ბრალი არა მდევს,

იმ დროს მეფის ცრუ მოწყალებით დაბრმავებულსა
მსურდა უშენოდ დამემთავრნა ჩემი განზრახვა,
შენ, ჩემს მეგობარს, დაგიმალე, არ გაგიმჟღავნე
ეს სახიფათო საიდუმლო!

აი, აქ იყო უდიდესი ჩემი შეცდომა!

აქ. კარლოს, მართლაც ბრალი მიმიძღვის!

ვიცი, ვიცი — სიგიჟე იყო ჩემი რწმენა გამარჯვებისა...
რის შიშიც მქონდა, იგი მოხდა! შენ გაშინებენ

(კარლოსი დელავს).

ცრუ ქორები, შიში და ძრწოლა მთელ სასახლეში...

მოხუცი ლერმას საუბედურო გაფრთხილება,

ამასთან ჩემი საკვირველი ესრე დუმილი,

ყველა ეს ერთად თავს გატყდება და იწყე რყევა...

მეც ჩამთვალე მთლად დაკარგულად, მიტოვებული

უკანასკნელი მეგობრისგან, შენ მიისწრაფი

ებოლისკენ და მას ენდობი

(კარლოს წამოდგება).

ოჰ, უბედურო!

ვის ენდობი? ვინც შენ გაგცა! მე დაგინახე,

მე დაგინახე, ოდეს მისკენ ეშურებოდი,

წინადგრძნობანი გულში ლახვრად მე მესობოდნენ...

კვალ დაკვალ მოგყე, მაგრამ უკვე ეს გვიან იყო:

მის ფერხთ ქვეშ იყავ დამხობილი.

უკვე ებოლის გამოსტეხოდი...

უკვე ხსნას შენთვის ვერ ვხედავდი! თვალთ დამიბნელდა!
სასოწარკვეთამ ქაჯად, მხეცად გადამაქცია —

ხანჯალის წვერი დავაბჯინე უკვე ქალის მკერდს
და მზად ვიყავი შემეწირა იგი ზვარაკად...

და უცებ... უცებ აზრი თავში, ვითა მზის სხივი
გაბრწყინებული, მოხვდა ჩემს სულს და განმინათა.

ესტქვი: რა იქნება, მეფეს თვალი მე ავუხვიო
და დამნაშავედ მოვაჩვენო მას ჩემი თავი?!

ე.ცი, მეფისთვის მარტო ექვიც საკმარისია:

ის დაიჯერებს, როგორც ყველა ცუდი რამ სჯერა.

იქნება ეცეს ამით ელდა მოულოდნელად

და დაატეხოს მტარვალს ზარი, გულის გამტეხი.

მე სხვა რა მსურდა? იგი ვიდრე გონს მოვიდოდა,

მანამდის კარლოს ხელსაყრელი დრო ექნებოდა

ბრახანტისაკენ გასაქცევად, თავდასახსნელად...

ქარლოს. და ეს განზრახვა შეასრულე?

მარკიზ. ავდექ მივწერე

ვილჰელმ ორანელს, დედოფალი ვითომც მიყვარდეს.

და ვითომც ისრე მოვახერხე, რომ ჩემზე ექვის

ასაცილებლად ბრალი დაგდე, ცილი დაგწამე!

ხოლო მე თვითონ, უკვე ნდობა მოპოებულმა,

თვით მეფისავე შემწეობით, გზა გავიკვლიე,

და ამ ნაირად დედოფალსა დავუახლოვდი!

შენ კი ვითომდა საიდუმლო უკვე გაგეგო

და წასულიყვე ებოლისთან, რომ მისის პირით

გსურდა დედოფლის გაფრთხილება!

ამ დროს მე ვითომ მოგასწარ და დაგაპატიმრე

და გადავწყვიტე ვითომც ლტოლვა ბრიუსელისკენ.

მაგრამ წამიხდა ყველაფერი, მაინც გამიგეს

(სიჩუმე).

ასე დავწერე და წერილი...

ქარლოს. (შეშინებული სიტყვას აწყვეტინებს).

ხომ არ გარდაეც

იგი ფოსტაში? ხომ იცი, რომ ყველა წერილებს

ბრაბანტისა და ფლანდრეთისავენ...

მარკიზ. მეფეს აძლევენ!.. როგორცა სჩანს ტაქსისმა
თვისი

მოვალეობა შეასრულა უკვე პირნათლად...

ქარლოს. ოჰ, ღმერთო ჩემო, მაშ დავილუპე!

მარკიზ. დაილუპე? როგორ? შენ რადა?

ქარლოს. და უბედურო, დაილუპე შენც ჩემთან ერთად!

ამგვარ საშინელ თვალახვევას და მოტყუებას

არ გვაპატიებს მამაჩემი არას გზით, არა!

მარკიზ. გონს მოდი, ქარლოს! მოტყუებას? მერე ვინ
ეტყვის

რომ მეფე იყო მოტყუებული?

ქარლოს. (მკვეთრად თვალეშში შესცქერის).

ვინაო? მკითხავ? თვითონ მე!

(წასვლა უნდა).

მარკიზ. შესდექ! ხომ არ გაგიჟდი!?

ქარლოს. გზა, გზა მომეცი! ღვთის გულისათვის! ნუ,
ნულარ მიჰქერ!

ამ დაყოვნებით მოისყიდის ის უკვე მკვლელებს...

მარკიზ. მით უფრო ჩვენთვის ძვირფასია ეს დრო ხან-
მოკლე,

ჯერ კიდევ ბევრი სათქმელი გვაქვს ჩვენ ერთმანეთთან...

კარლოს. ვიდრე ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაუგია...
(კვლავ წასვლა უნდა, მარკიზი მკლავში ხელს წაავლებს და და-
ვირვებით ჩაცქერის).

მარკიზ. ყური დამიგდე, ჩემო კარლოს! განა მეც მაშინ
შენებრ აეჩქარდი, როს შენ უბრალომ დაიბრალებ
დანაშაული და ჩემს მაგიერ სისხლი გდიოდა?!. —

კარლოს. (გულ აჩვილებული და გაოცებული შესცქერის).

მარკიზ. გადაირჩინე თავი შენი ფლანდრეთისათვის!..
ძვირფასო, შენი მოწოდება მეფობა არის —
სამეფო ტახტი, ხოლო ჩემი — შენთვის სიკვდილი! —

კარლოს. (ხელს წაავლებს და გრძნობით).

ოჰ, არა, არა! ჭეშმარიტად უარს არ გვეტყვის,
არ შეუძლიან! და ხელი-ხელს ჩაკიდებულნი
მივიდეთ მასთან!... ვეტყვი: მამავ, ეს მეგობარმა
მოიმოქმედა მეგობრისთვის... ეს გულს მოუღობბს...
და, დამიჯერე, გვაპატიებს იგი ორივეს!

(ამ დროს რკინის მოაჯირიდან თოფი გავარდება, კარლოსი წა-
მოვარდება).

აჰ! ვის ესროლეს?! —

მარკიზ. მგონია მე!..

(თანდათანობით სიციცხლეს მოსწყდება და დაეცემა).

კარლოს. (გულ შემზარავის ტკივილის ხმით მარკიზის გვერ-
დით დაემხოდა).

ოჰ, შე უწყალოვ!...

მარკიზ. (მომაკვდავი).

დიახ.. სწრაფია მეფე. მეგონა კიდევ...

შენს თავს უშველე... გესმის, შენს თავს!.. კარლოს,

ფლანდრეთი!

ყველაფერს გეტყვის დედოფალი.. მე აღარ ძალმიძს...

3. იგინივე და მეფე ამალრით. ალბა, დომინგო, ლერმა, ფერია, ფერმა და სხვანი.

(კარლოსი მარკიზის გვამის გვერდით დარჩება დამხობილი, რამდენიმე ხნის შემდეგ მობრძანდება მეფე დიდებულთა თანხლებით და ამ სანახაობით შემკრთალი უკან დაიხვეს. საერთო ღრმა სიჩუმე. დიდებულნი ირგვლივ შემოერთყმიან ორივეს და ხან მეფეს და ხან შვილს დაჰყურებენ. კარლოსი უხმოდ დამხობილია. მეფე დაფიქრებით დასჩერებია მას).

მეფე. (რბილის ხმით და კილოთი).

შენი სურვილი შევასრულე!

თვითონ აქ მოველ სამეფოს დიდებულებით
გამოგიცხადო, რომ ხარ, შვილო, თავისუფალი!

(კარლოსი წამოიწევს. ირგვლივ თვალს მიაველ-მოაველებს, თითქოს სიჭმრიდან. თვალებით ხან მეფეს მიაჩერდება, ხან მარკიზის გვამს. პასუხს არ აძლევს).

მეფე. მიიღე კვლავ ხმალი შენი! მეტად ავიჩქარდით!

(უახლოვდება, ხელს უწვდის და წამოდგომას შველის).

შენ არ შეგფერის ეს ადგილი! ადექი ზეზე!

მო, მამაშენის გულთან ახლო, მო, ჩემო შვილო!

(ჩაიკრავს გულში).

კარლოსი. (ჯერ კიდევ გამოურკვეველი მეფის მოხვევას და-
ნებდება, მაგრამ უცბად გონს მოვა, შეკრთება და დააკვირდება).

მკლრლობის სუნი აგდის შენა!

არ შემი'ლიან გულს მოგეკარო!

(ხელის კვრით მოიცილებს. მხლებლები აღელდებიან).

წურაფერს შიშობთ, არ აღვმართავ მასზე ჩემს ხელსა!
შეხედეთ შუბლზე! მას ვერ ამჩნევთ დალსა მკვლელისას?!.
თვით განგებისგან არის იგი ზედ აღბეჭდილი!

მეფე. (სწრაფლ მოტრიალდება წასასვლელად).

მომყევით, ჩემნო დიდებულნო!

კარლოს. სად? სად მიდიხართ! მეფეო, შესდეგ!..

(ორივე ხელით ძალით შეაყენებს და უცბად მეფისგან ბოძებულ ხმალს წაწვდება და ხმალი უნებლიეთ ნახევრად იშიშვლება).

მეფე. ხმალი აღმართე მამა შენზე?!

დიდებულნი. (ხმალს იშიშვლებენ).

მეფის მკვლელობა!!..

კარლოს. (ცალი ხელი მეფისთვის აქვს ჩაჭიდებული და ცალში ხმალი უპყრია).

ჩააგეთ ხმლები! რაო, რა გსურთ? ეგებ გგონიათ
ქკვაზე შეეშლილვარ? არა, სცდებით! რომ კიდევ ვიყო, —
კარგს ვერ ჩადიხართ: მეფის მოკვლის აზრზე მოგყევართ,
ნუ მაგრძნობინებთ, რომ ამ ხმლის წვერზე
ჰკიდია მისი სიცოცხლის ბედი!

შეხედეთ, ერთი ხელნი სისხლში რა რიგ შესვრია!..

კარგად შეხედეთ! დააკვირდით! ხომ დაინახეთ?

ეხლა ამასაც გადმოხედეთ! ეს ამან მოკლა!!.

ოჰ, გადმოხედეთ! გადმოხედეთ ამ მსხვერპლს უმანკოს!

ჯერედ მკვლელობა არ მომხდარა ესდენ მზაკერული,
ვით დღევანდელი!..

იცი თუ რა ჰქმენ?!. არა, არა! ეს მან არ იცის,

რომ ამ მკვლელობით გამოსტაცა კაცობრიობას

აღამიანი ღირსეული, პატიოსანი!..

მეფე. (ხმის დარბილებით).

მე თუ ავჩქარდი, ნამეტანი, ავჩქარდი შენთვის,

განა შეგფერის მისთვის მიმცე პასუხგებაში?!

პარლოზ. ჯერ ვერ მიმხვდარხარ ვინ იყო იგი, ჩემთვის ასე რომ განიწირა!?

ულვთოთ მოკლული ჩემი იყო სწორი სულისა და მეგობარი! გასურთ გაიგოთ თუ რისთვის მოკვდა? მან ჩემთვის დადო თავი თვისი და განიწირა!..

მეფე. ჰოჰ, ჩემი ალლო, წინასწარგოძნობა!..

პარლოზ. ო, მომიტევე სისხლით შესვრილო, უნდა ისმინონ შენი უმწიკვლო სულის კვეთება!

დიახ, მეფეო, ჩვენ ერთგულნი ძმანი ვიყავით! ძმანი, შეკრულნი წმინდა კავშირით!

იგი მაშინაც ჩემი იყო, როს თქვენ, მეფეო, ნდობით აღჭურვეთ უსაზღვროთი და აამაღლეთ! მე თუ შემეპყრო, ზრუნვა იყო მისი ჩემდამი, რათა დაეხსნა ჩემი თავი განსაცდელისგან! მიტომ მისწერა ორანიელს ყალბი წერილი! შეუხდე ღმერთო! ამ ტყუილით პირველ შესცოდა თვის სიცოცხლეში.

მეფე. (გაშტერებული სდგას, გაქვავებულია, თვალები ძირს დაუხრია. ყველანი შეშინებით შესცქერიან).

პარლოზ. ოჰ, არა, არა! მას ვერას გზით შეიგუებდით და ამიტომაც უკუ გაგდოთ თქვენის გვირგვინით! ის იყო ჩანგი აწყობილი ნაზის სიმებით და თქვენსა ხელში, რკინის ხელში დაიმსხვრა იგი! სხვა რა შეგეძლოთ, თუ არ მისი განადგურება?!.

ალბა. (აქამდისინ მეფეს თვალს არ აშორებდა და მოუსვენრად მეფის მოძრაობას თვალყურს ადევნებდა. მოწიწებით მიუახლოვდება).
ეგრე ნუ სდუმხართ, ნუ მეფეო! მიმოიხედეთ! გველაპარაკეთ! ჩვენც აქა ვართ!

კარლოს. (დიდი სიჩუმის შემდეგ).

ოჰ, თქვენ, რომელნიც შიშისაგან განცვიფრებულხართ!
თუ თქვენსა თვალებს შეუძლიან კვლავ ცრემლის ფრქვევა,
თუ თქვენს ძარღვებში სისხლი მოსჩქეფს და არა ღველფი,
თუ მკერდის ქვეშე გული გიძევთ და არა ლოდი,
ამას დახედეთ და მე მაშინ არ შემაჩვენებთ!..

აჰ, მეც მომკალით, ვით ეს ყოვლად პატიოსანი.

ვიცი, ანდერძი ჩემს კხოვრებას აგებული აქვს. —

ან რა ფასი აქვს მას აწ ჩემთვის? ანუ რად მიღირს?

იგი აღარ მყავს, საიმედო რაღა მშთენია?!..

(დაემხობა გვამზე. ამ დროს შორიდან ხმაურობა და ჩოჩქოლია. მე-
ფეს გარშემო ღრმა სიჩუმეა. მეფე ყველას თვალს მიმოავლებს, მაგ-
რამ ყველა თვალს არიდებს).

მეფე. რაო? რას სდუმხართ? არავის სურს ხმა ამოიღოს?
ყველა თქვენგანი დედამიწას დასჩერებია?..

ყველა თქვენგანი თვალს მარიდებს, სახეს იფარავს!

როგორცა ვხედავ ბედი ჩემი გადაწყვეტილა!..

მაგ დადუმებულ სახეთაგან აღმოვიკითხავ

ჩემზე განაჩენს. მსჯავრი დამდეს ჩემთა ქვეშემდრომთ!

(სიჩუმეა. ხმაურობა თანდათან ახლოვდება. დიდებულთ შორის ჩურ-
ჩულია. ღერმა ალბას მუჯღუფუნს ჰკრავს).

ლერმა. შეთქმულობაა უეჭველად!

ალბა. (ჩუმადვე).

მეც მაგას ვშიშობ!

(შემოდის ოფიცერი).

4. იგინივე და ოფიცერი.

ოფიცერი. (შემოიჭრება).

აჯანყებაა! ხალხი ღელავს! სად არის მეფე?
(მეფის წინ წარსდგება).

დიდო ხელმწიფევე, მთელი მადრიდი იარაღშია!
ძრავალათასნი მხედარნი თუ მოქალაქენი
ციხე-სასახლეს შემორტყმიან გახელებულნი...
ბატონიშვილსა კითხულობენ!.. ხმა გავარდნილა,
ვითომც კარლოსი აქ პატიმრად იმყოფებოდეს
და მის სიცოცხლეს განსაცდელი ელოდებოდეს!..
ხალხი მოითხოვს, რომ ცოცხალი იგი აჩვენოთ,
თორემ მთელს მადრიდს ცეცხლს მივცემთო, იმუქრებიან!..
დიღებულნი. (ჩოჩქოლი შეექნებათ).

მეფეს ვუშველოთ!...

ალბა. (მეფეს, რომელიც დინჯად სდგას).

თავს უშველეთ, განსაცდელში ხართ!

მეფე. (გაბრუებიდან გამოერკვევა, წელში გაიმართება და წინ
წამოდგება მედიდურად).

უკვე დაემხო ჩემი ტახტი, თუ კვლავ ფეხზე სდგას?..

მეფე ვარ კვალად ამ ქვეყნისა თუ აღარა ვარ?!

ბავშის სიტყვებზე ეს ლაჩრები მოლბენ, ატირდნენ!..

მხოლოდ ნიშანსა მოელიან, ზურგი მაქციონ!

გარშემო მხოლოდ მახვევიან მოლალატენი!..

ალბა. ეგ საშინელი აზრი რამან გაფიქრებინათ?!

ლმრმა. მეფისათვის, მის სადიდებლად თავსაც გავ-
წირავთ!!.

მეფე. მარკიზ პოზამ განიწირა თავი, მერე ვისთვის?

ვის ეძღვნა მსხვერპლად? ბავშს! ჩემს შვილსა! აშკარა არის

მან ანაცვალა მოხუცი — ყრმას, ძველი — ახალსა,

გარდამავალი ხანა ჩემი — მომავალ ხანას!

ჩემი ჩასული მზე სხივს ველარ მოჰტენს მომავალს,

ეხლა განთიადს შეჭხარიან ჩემის შვილისას!..

ოჰ, ეს ცხადია! ჩემს სიკვდილს და ელოდებიან!..

მე აწ რაღა ვარ? ძალა მიხდილი, მოხუცებული!..

ალბა. რას ბრძანებთ, მეფევ! ვით გვეკადრის ამაყ ესპანელთ?

მეფე. აგერ, იქ მის წინ დაემხენით! იმ გადაფურჩქენილ, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა მეფის წინაშე, მიდით და მუხლი მოიყარეთ; იმას ემონეთ!

ალბა. ამის მოსმენას, ესპანელნო, სჯობს დავიხოცნეთ!..

დიდებულნი. (ხმლებს იშიშვლებენ და მეფეს გარს შემოერთყმიან).

მეფე. იგი შემოსეთ ამ მეფურის ძოწეულითა, და ჩემს გაქელილ გვამზე იგი გადაატარეთ!

(მოიხსნის და ისვრის ძოწეულს).

ალბა. ეს არ მოხდება არასოდეს! სცოცხლობდეს მეფე!

მეფე. სცოცხლობდეს მეფე!

მეფე. აქ ვინა ხართ? მტერ მოყვარენი?

არაფრად მაგდებთ, რადგან ერთმა ამითვალწუნა?!

როგორ, განა თქვენ დაგავიწყდათ, თუ მე ვინა ვარ?!

რატომ მუხლებზე არ განერთხმით, მოლალატენო!

მე კვლავ მეფე ვარ! მორჩილებას მოვითხოვ თქვენგან!

(ყველანი იჩოქებენ).

ალბა. ველით ბრძანებას!..

მეფე. გვიბრძანეთ მეფევ!

მეფე. აღზდექით ზეზე!

(წამოდგებიან).

მადლობა შენ, ჰოი, განგებავ!

კვლავ ჩემს ძარღვებში ძალასა ვგრძნობ სიკაბუკისას!
ჰერცოგ ალბა, ეხლავ გიბრძანებთ მემამბოხენი
სასჯულს მისცეთ—თავს დაატეხოთ ყველას ღვთის რისხვა!
თქვენ კი, მამაო, მიხმეთ კარდინალ ინკვიზიტორი,
რომელიც ცოდოს შემკვიდრისას სასტიკ მსჯავრს დასდებს!
მე ჩემი საქმე შეევასრულე, აწ იმან იცის!..

(მეფე გადის. დიდებულნი უკან მისდევენ. კარლოსი მარტოკაა დარჩენილი გვამთან წინანდელ მდგომარეობაში. რაოდენიმე ხნის შემდეგ გამოჩნდება ლუდოვიგო მერკადო. მოკრძალებით იქით-აქით იხედება და ერთ ხანს ჩუმად სდგას ბატონიშვილის უკან, შეუმჩნევლად).

მერკადო. ბატონიშვილო! დედოფლისგან ვარ მოგზავნილი!

(კარლოს ერთი წუთით შეხედავს, მაგრამ კვლავ თვალს მოაშორებს და უპასუხოდ დასტოვებს).

ჩემი სახელი მერკადოა — მე ვარ მკურნალი
დედოფლის კარზე — აი, ესეც ჩემი მოწმობა!
(გაუწვდის ბეჭედდასმულ სიგელს; ბატონიშვილი კვლავ სდუმს).
დედოფალს თქვენთან ლაპარაკი ჰსურს!
დღესვე გთხოვთ თვისთან. საქმე არის დიდად საჭირო!

კარლოს. საჭირო საქმე ჩემთვის ქვეყნად აღარ არსებობს!..

მერკადო. ასე მითხრა თუ მარკიზ პოზას ანდერძი მაქსევო...

კარლოს. (სწრაფად წამოდგება).

ეხლავე! (წყაოლა ჰსურს).

მერკადო. არა, არა, ეხლავ არა,
ბატონიშვილო! მოიცადეთ დაღამებამდე!..

გზა შეკრულია, შესავალში დარაჯნი სდგანან!
ახლა სასახლის იმ ნაწილსა თქვენ ვერ მიუხვალთ.
თქვენ თავს ჩააგდებთ განსაცდელში!

პარლოს. აბა, მაშ რა ვქნათ?

მმრკალო. ბატონიშვილო, დაგრჩა ერთი საშუალება; —
ეს დედოფალმა მოიგონა და დამავალა
თქვენ მოგახსენოთ. თუმცა იგი საშუალება
იშვიათია, თამამი და თან სახიფათოც!

პარლოს. სახელდობრ?

მმრკალო. თქვენ თვით უწყით, ერთი თქმულება
ძველის დროიდან დადის ჩვენში, ვითომც აჩრდილი
პაპა თქვენისა, შემოსილი მსგავსად ბერისა,
შუალამისას სასახლეში იარებოდეს!
ხალხს მართლაც სჯერა ეს თქმულება, სჯერათ დარაჯთაც
და იმ ადგილზე შიშით, კრძალვით მორიგეობენ.
რომ გაჰბედავდეთ და ბერულად გადაიცვამდეთ,
მიახწევდით დედოფლის ოთახს.

კარს გახსნიდით ამ გასალებით!

წმინდა სამოსი და აჩრდილის შეხედულება
დაგიფარავდათ და დარაჯნი ხელს არ გახლებდნენ.
ბატონიშვილო, ეხლავ უნდა ეს გადასწყვეტოთ,
რადგან ვისწრაფი დედოფალთან ამბის მიტანად —
საჭირო სამოსს და ნიღაბსა ოთახში ჰპოვებთ!

მე კი ეხლავ უნდა წავიდე —

პარლოს. მაგრამ რა დროზე?

მმრკალო. სრულ თორმეტზე.

პარლოს. მაშ, მოახსენე, მაგ დროს მელოდოს.

(მერკადო გადის შემოდის ლერმა).

ლერმა. თავს უშველეთ, ბატონიშვილო!

დიდად მრისხანებს მეფე თქვენზე! თავისუფლების
დაკარგვა გელით და — იქნებ, რომ თვით სიცოცხლისაც!
ნულარას მკითხავთ! დრო ვიხელთე, გამოვიპარე
გასაფრთხილებლად! თავს უშველეთ დაუყოვნებლად!

პარლოს. ყოვლად შემძლების ხელში არის ჩემი სვე-
ბელი!

ლერმა. როგორც მანიშნა დედოფალმა, დღესვე მად-
რიდი

უნდა დასტოვოთ და ილტოდეთ ბრიუსელისკენ!
ნუ, ნუ გადასდებთ, დღესვე წადით! თქვენ ხელს შეგი-
წყობთ

ეს აჯანყება! დედოფალმა ასე მიბრძანა:

ვერ გაბედავენ ძალადობას თქვენს წინააღმდეგ,
შეპყრობითაც ვერ შეგიპყრობენ!

კარტეზიელთა მონასტერში ცხენები გელით,
ვინცობაა, თავს დაგესხნენ, ჰა, იარაღიც —

(აძლევს ხანჯალს და დამბაჩას).

პარლოს. გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო ლერმა!

ლერმა. ამ დღევანდელმა

თქვენმა ამბავმა და მეგობრის უხვთოთ დაკარგვამ
გული საბრალოდ დამიღარა და დამაურვა!

ასეთს მეგობრულ სიყვარულსა ველარსად ვპოვებთ!
თქვენთვის სტირიან ქვეყნის ერთგულნი!

ამაზე მიტის თქმის უფლება ეხლა არა მაქვს!

პარლოს. კეთილო ლერმა!

განსიგნებულსა თქვენ მიაჩნდით ღირსეულ კაცად!

ლერმა. ერთსაც გკადრებთ, ბატონიშვილო!

ღმერთმა კეთილად წაგიმართოთ მოგზაურობა.
სხვა უკეთესი დრო დადგება, მაგრამ იმ ხანას

ვერ შევესწრობი! მტკიცე ფიცი ერთგულობისა
ეხლა მიიღეთ, საყვარელო ბატონიშვილო!

(ცალ მუხლს უდრეკს).

პარლოზ. (ჰსურს წამოაყენოს. გრძნობა აჩუყებული).

ასე ნუ, ლერმა... — ასე ნუ, თქვენ გულს მიჩუყებთ... —
მე კი ამ ხანად არ მსურს ვიყო ასე გულჩვილი... —

ლერმა. (გრძნობით ხელზე ეამბორება).

დიდო მეფეო, ჩემთა შვილთა! მათ ნეტარება!
მოესწრობიან, თავს დასდებენ თქვენის გულისთვის!
მე კი მივდივარ, ნეტარებას ვერ შევესწრები!
გულით ვისურვებ, თქვენს მშვიდობით დაბრუნებასა!
იყავით კაცი!

და განაგებდეთ ფილიპეს ტახტს ხალხთ საკეთილოდ.
ტანჯვა რაც არის, განიცადეთ, და მამათქვენზე
ხელს ნუ აღმართავთ!

მეფე ფილიპემ მეორემან თავისი მამა
სამეფო ტახტით აიძულა გადამდგარიყო.

პარლოზ. იგივე ფილიპე დღეს ცახცახებს — შვილის
წინაშე!

ლერმა. ბატონიშვილო, თქვენც. ეს გახსოვდეთ! —
და ასე გვარად

ქვეყნის განგებამ წარგიმართოთ გზა სიკეთისკენ!..

(მსწრაფლ მიდის. კარლოსი სხვა გზით წასვლას აპირებს, მაგრამ
უცბათ მოტრიალდება, დაბლა დაეცემა და მარკიზის გვამს ხე-
ლებს მოჰხვევს გულში ჩაიკრავს. შემდეგ ჩქარა გადის).

მეფის ოთახი.

(მხედართმთავარნი ალბა და ფერია ლაპარაკით მოდიან).

ალბა. მადრიდი უკვე დავამშვიდე! მეფე როგოა?

ფერიკა. ცუდს გუნებაზე იმყოფება, ძალიან ცუდზე. ოთახის კარი ჩაიკეტა: რაც უნდა მოხდეს, ჩემთან არაფრის გულისთვის არა არსება არ დაუშვათო! მარკიზ პოზას ასეთმა ქცევამ მთლად შეარყია და შესცვალა მისი ბუნება! ასე რომ ჩვენ მას ველარც კი ვცნობთ, მხედართმთავარო.

ალბა. უთუოდ უნდა ვინახულო, საჭირო არის, ამ შემთხვევაში არ იქნება მისი დაზოგვა. ეს არის ეხლა, კვლავ დიდი რამ აღმოვაჩინე —

ფერიკა. აღმოაჩინე?

ალბა. ერთი ბერი კარტეზიელი ჩემმა მცველებმა დააპატიმრეს! იგი თურმე ბატონიშვილის ოთახში ჩუმად და ფარულად შეპარულიყო და კითხულობდა მარკიზ პოზას სიკვდილის ამბავს! იგი გაჩხრიკეს! გამოსტეხა სიკვდილის შიშმა თან აღმოაჩნდა მას ქალღმერთი მნიშვნელოვანი. იგი ქალღმერთი ყოფილიყო მარკიზ პოზასგან და ამ ბერს უნდა გადაეცა კარლოსისათვის — უკეთუ თითონ მზის ჩასვლამდის ვერ მოვიდოდა.

ფერიკა. ბერე?

ალბა. წერილნი ლაღადებენ, რომ ამ ღამესვე, გათენებამდის, მან მადრიდი უნდა დასტოვოს.

ფერიკა. რაო, რას ამბობ?

ალბა. რომ კალიქსში ერთი ხომალდი ვლისინგენისკენ წასასვლელად გამზადებული მას უკვე უცდის... რომ მხარენი ნიდერლანდეთის, ერთად შეთქმულნი, ბატონიშვილს ელოდებიან, რათა ბორკილნი დაამსხვრიონ ესპანეთისა.

ფმრია. ეს რა გავიგე?

ალბა. სხვა წერილნი გვატყობინებენ:

უკვე როდოსის კუნძულიდან სოლეიმანის
ჯავშან-ხომალდნი ხმელთა შუა ზღვაში გასულან
რათა აქიდან ესპანეთის მფლობელს დაეცნენ.

ფმრია. შესაძლო არის?

ალბა. აი, სწორედ ეს წერილები

ნათელსა ჰყოფენ, თუ რა მიზნით მოგზაურობდა
მარკიზ დე პოზა ამას წინად მთელს ევროპაში!

აი, მას თურმე ეს ჰქონია გულში განზრახვად,
რომ ჩრდილოეთის სამეფონი ერთად შეეთქვა

და ფლანდრეთისთვის განემტკიცა თავისუფლება.

ფმრია. დახედე, თურმე რა ყოფილა მარკიზ დე პოზა!

ალბა. ამ წერილებში ომის გეგმაც მოიპოვება,

თუ როგორ უნდა ჩამოშორდეს ესპანეთის ტახტს
ფლანდრეთის მხარე!

არაფერია

უყურადღებოდ იმ გეგმაში დატოვებული,

აღნუსხულია ძალა თვისი და ძალა მტრისა;

განზომილია ქონება და საშუალება,

ნაჩვენებია ზედმიწევნით ყოველი წყარო.

აწერილია, თუ სურსათი ვით მიაწოდონ.

ანუ კავშირით ვის შეეკვრან, ვის ჩამოშორდნენ...

და, ერთი სიტყვით, ყველაფერი რაც კი ომისთვის
საჭირო არის, ანგარიშში მიღებულია!!

გეგმა სწორედ რომ ეშმაკურად შედგენილია

მაგრამ ამავე დროს დიდად ბრძნული და დიდებული!

ფმრია. რა შეუტყნობი მოღალატე ყოფილა იგი!

ალბა. და ამის გარდა იმ წერილში კარლოსს ავალეზს,
რომ გაპარვის დღეს ინახულოს მან-დედოფალი!

საიდუმლო სალაპარაკოდ.

ფერიკა. როგორ, განა დღეს?

ალბა. სწორედ დღესა, შუალამისას;

მე ამის გამო დარაჯთ უკვე ბრძანება გავეცე.

ეხლა ხომ ჰხედავთ, რა საჭირო საქმეებია.

არ შეიძლება დაყოვნება, საშური არის! —

გამიღეთ კარი, მეფე უნდა უთუოდ ვნახო.

ფერიკა. ახ. აგერ თვითონ!

ლულია!

ალბა. მაშ თითონ შევალ — აღმოზრდილი უბედურება უფლებას მაძლევს გავკადნიერდე!

(კარებს რომ მიუახლოვდება, მეფე შიგნიდან კარებს გამოაღებს და გამობრძანდება).

ფერიკა. ახ, აგერ თვითონ!

(მეფე და იგივენი. მეფის დანახვით ყველანი შეშინდებიან, უკან იწევენ და მოწიწებით შუაში გაატარებენ. მეფე თითქოს ფხიზლად სიზმარშიაო, როგორც მთვარის სნეული — ტანსაცმელი და მთელი შეხედულება უწესრიგობაშია და მაყურებელს მისი გულის წასვლის ამბავს აგონებს. დინჯის ნაბიჯით დიდებულთ გვერდზე გაუვლის, ყველას სათითაოდ მიაჩერდება, მაგრამ თითქოს ვერავისა ჰხედავდეს. ბოლოს ჩაფიქრებული შედგება და თვალებს დაბლა დააჩერებს, მანამ მისი მღელვარება არ გაძლიერდება).

მეფე. დამიბრუნე მიცვალებული!

მსურს კვალად მყავდეს, დამიბრუნე!

ლომინძო. (ალბას ჩუმად)

უთხარი რამე!

მეფე. (როგორც ზევით).

ჩემზე ყოფილა მცირე აზრის და ასე მოკვდა.
მსურს კვლავ აქ მყავდეს. ჩემზე უნდა სხვა აზრის იყოს!

აღბა. (შიშით უახლოვდება). დიღო მეფეო!

მეფე. აქ ვინ არის, ვინ ლაპარაკობს?

(კარგა ხნით ყველა იქ გარშემო მყოფებს მიჩერებით ათვალეირებს).

როგორ, განა თქვენ დაგავიწყდათ თუ მე ვინა ვარ?
რატომ მუხლებზე არ დაემხოებით?

მე კვლავ მეფე ვარ! მორჩილებას მინდა ვხედავდე.
არაფრათ მაგდებთ, რადგან ერთმა ამითვალწუნა?

აღბა. მეფეო, კმარა მასზე ფიქრი! ერთი ახალი
საშიში მტერი, მასზე მეტად, ვიდრე ის იყო,
თქვენი სამეფოს გულში სდგება. —

შერიბა. ბატონიშვილი —

მეფე. მას ჰყავდა ერთი მეგობარი, რომელმაც თავი
მსხვერპლად მიუძღვნა, მისთვის მოკვდა — მისთვის!
ჩემთან შეეძლო მას სამეფოს განაწილება!
როგორ ამყად უცქერია ჩემზე მალლიდან!
ასე მეფეც კი თვის ტახტიდან არვის დაპყურებს.
განა არ სჩანდა,

თუ რა რიგ დიდად აფასებდა თავის მეგობარს?
რაც მან დაჰკარგა, თვისი ტანჯვით გამოამყლავნა.
მცირე რამეზე ასე რიგად არ იგლოვებენ. —

ო, ნეტამც მკვდრეთით აღმიდგენდენ, გამიცოცხლებდენ!

ამის გულისთვის მთელს ინდოეთს არ დავზოგავდი!

რა არის ჩემი უნუგეშო მძლეთა მძლეობა,

თუ საფლავიდან ვერ აღვადგენ გარდაცვალებულს

მცირე შეცდომას, მონაქმედსა ანაზღეულად,

ჩემსა ნებაზე მევე ველარ გამოვასწორებ?!

მაგრამ ვაი, რომ მკვდარნი მიწით აღარ სდგებიან!

განა ვინ მითხრას, ბედნიერი ვიყო ამ ქვეყნად!
საფლავს ჩავიდა იგი ერთი, ვინც მე პატივის
ღირსად არ მცნობდა!

რალას ვაქნევ აქ ცოცხლად მყოფებს?
და იმ არსებამ, მხოლოდ ერთმა ადამიანმა
ამ საუკუნის სულმა, ესდენ თავისუფალმა,
მან ერთად-ერთმა, ერთად-ერთმა არად ჩამაგდო
და მოკვდა იგი!

ალბა. სულ ამოდ მაშ გვიცხოვრია! —
სჯობს დავიხოცნეთ ესპანელნო! რა კაცი იყო,
რომ მეფის გულსა თვით მკვდარიც კი ხელიდგან
გვტაცებს?

მეფე. (ჩამოჯდება და თავს ხელებზე დააყრდნობს).
ო, რომ ჩემთვისაც იგი ეგრე განწირულიყო!
იგი მიყვარდა და მიყვარდა სულით და გულით.
ძვირფასი იყო იგი ჩემთვის, ვით ღვიძლი შვილი.
იმ ყრმა-ჭაბუკში განთიადი მელიმებოდა,
სხვა განთიადი, მშვენიერი სხვიით შემკული.
ვინ, ვინ უწყიდა, თუ იმ ჭაბუკს რას მივაგებდი!
ყველას მერჩივნა იგი ერთი! დაე, მწყევლიდეს
მთელი ქვეყანა, არას დავდე, დაე მწყევლიდეს;
ოღონდ მისგან კი მე მადლობა დამემსახურნა.

ლომინძო. რომელ მომხიბვლელ ჯადოსნურის ძალით
შეიპყრო? —

მეფე. და ვის მიუძღვნა მსხვერპლად თავი? ბავშსა, ჩემს
შვილსა?

ვერ დავიჯერებ ვერასოდეს. ამ გვარი კაცი
ბავშვის გულისთვის თავს არ დასდებს და არ მოკვდება.
არ შეუძლიან მცირე ალსა მეგობრობისას
ქარკიზის გული აღავსოს და ჰყოს კმაყოფილი.

უსაზღვრო გული შეხაროდა კაცობრიობას,
განმსჭვრეტის ფიქრით შეჰხაროდა მომავალ მოდემას;
და თვისის ზრუნვით გზას უკვლევდა მყობად ცხოვრებას.
თავის მიზანთა მისახწევად მან ტახტი ჰპოვა —
და მას გვერდს უქცევს!

კაცობრიობის ასეთს ლალატს პოზა თავის თავს
არ შეუნდობდა. არა მეთქი! მას კარგად ვიცნობ!
მეფე ფილიპე კარლოსს კი არ შესწირა მსხვერპლად
მან ანაცვალა მოხუცი ყრმას, თავის მოწაფეს!
გარდამავალი ხანა ჩემი მომავალ ხანას.

ეს ნათელია! ჩემს სიკვდილს-ლა ელოდებიან!

ალბა. ამ წერილებში მაგის დასტურს ამოვიკითხავთ.

ამ წერილებით დამტკიცდება თქვენი ნათქვამი!

მეფე. (წამოდგება) მაგრამ...

ხო, შესაძლოა შემცდარიყო?

მე იგივე მე ვარ! მადლობა შენ, ჰოი განგებავ!
კვლავ ჩემს ძარღვებში ძალასა ვგრძნობ სიჭაბუქისას.

სამასხაროდ მსურს გავხადო იგი ამ ქვეყნად.

მსურს დავამტკიცო რომ ზრახვანი მისი სულისა

მარტოდენ ფუჭი როტვა იყო მეოცნებისა

და მოკვდა კიდევ, ვით კვდებიან უგუნურები,

თვისის დამხოვით მეგობარი თვისიც დაამხო.

საუკუნესაც შეუზღუდა კეთილდღეობა.

დაინახავენ, თუ უჩემოდ იოლად წავლენ!

ესე ქვეყანა ჯერ-ჯერობით მე ერთს მეკუთვნის.

და მას ისეთს დღეს დავუყენებ,

ისე გადავწვავ, რომ ჩემს შემდგომად

ათმა თაობამ სული თვისი ველარ მოითქვას,

და ნაოხარზე მოსამკალი ველარ მოიმკას!

მან მსხვერპლად მიმცა თავის კერძსა, კაცობრიობას;

კაცობრიობამ, ამის წაცვლად, პასუხი აგოს! —
ეხლა კი — მისის ტიკინიდან დავიწყობ საქმეს.
(ალბას) გამიმეორეთ, რას ამბობდით ბატონიშვილზე?
რას მაუწყებდენ ეს წერილნი?

ალბა. მეფეო, ალექსის
ანდერძი არის ქოთხრობილი კარლოსისადმი
მარკიზ პოზასგან!

მეფე. (წერილებს ათვალიერებს, რომლის დროსაც ყველა დი-
დებულნი გაფაციცებით თვალს ადევნებენ. რამოდენიმე ხნის კითხვის
შემდეგ წერილებს გადასდებს და მღუმარე გაივლ-გამოივლის).

კარდინალი ინკვიზიტორი
მოიხმეთ ჩემთან! მცირე ხანი, ვთხოვ, შემომწიროს!

(ერთი დიდებულთაგანი გადის. მეფე კვლავ წერილებს კითხულობს
და ისევ გადადებს).

მაშ, ამ ლამესა?

ტაშნის. შუადამისას სრულს ორ საათზე
კარტეზიელთა მონასტერში ეტლი დაჰხვდება!

ალბა. ხოლო ჯაშუშებს დაგზავნილებს თვალის სა-
კერად,

შეუმჩნევიათ სხვადასხვა ბარგი,
სახელმწიფო ბეჭედ დასმული.

ფარია. ა გ რ ე თ ვ ე თ უ რ მ ე, არაბების მდიდარ ვა-
კრებში.

დიდძალი ფული დედოფალსა თავის სახელზე
შეუკრებია ბრიუსელში გადასაგზავნად.

მეფე. ბატონიშვილი, სად დასტოვეთ?

ალბა. მალტელის გვამთან.

მეფე. კვალად დედოფლის ოთახიდან სინათლე მო-
სჩანს?

ალბა. სინათლე არ სჩანს, მყუდროდ არის იქ ყველა-
ფერი.

დღეს საღამოთი დედოფალსა სეფე ქალები
ჩვეულებრივზე უფრო, ადრე დაუთხოვია.
როს არკოსელი ოთახიდან გამოსულიყო
იმ ჟამად უკვე დედოფალსა ღრმად სძინებოდა.

(ერთი კარის დარაჯთა ოფიცერთაგანი შემოდის, მხედართმთავარს
ფერიას გვერდზე მიიხმობს და ჩუმად ელაპარაკება. იგი შეკრთობი-
ლი ალბას მიუბრუნდება, სხვებიც მათ მიუახლოვდებიან და თან-
დათან ცოტათი ახმაურდებიან).

ფირია, ტაქსის და დომინგო. (ერთად).

საკვირველია! ნუ თუ მართლა?

მეფე. რა ამბავია?

ფირია. დიდო მეფეო, ერთს ამბავსა დაუჯერებელს—

დომინგო. ეს არის ეხლა ორთა დარაჯთ შვეიცარიელთ
დაუნახიათ ვითომც, ვითომც — სასაცილოა
ვამეორება.

მეფე. რაო?

ალბა. ვითომც სასახლის მარცხნით
მეფის აჩრდილი დაენახოთ მტკიცე ნაბიჯით
და დიდებულად მიმავალი. ამავე ამბავს
იქ ახლო მდგომნი სხვა დარაჯნიც ყველანი ერთხმად
ადასტურებენ და დასძენენ, ვითომც აჩრდილი
დედოფლის კართან გამჭრალიყოს.

მეფე. ვის მიაგავდა.

იგი აჩრდილი, ან საცმელი რა რიგი ეცვა?

ოფიცერი. პირწავარდნილად, დიდო მეფევე, მამათქვენს
ჰგავდა

და ტანსაცმელიც ზედგამოჭრით ისეთი ეცვა,
როგორსაც იგი ატარებდა ბერად ყოფნისას!

მეფე. ბერად ყოფნისას? ეგ დარაჯნი განა იცნობდნენ
მამაჩემს ცოცხალს? მაშ საიდან უნდა გაეგოთ,
რომ იგი იყო მამაჩემი განსვენებული?

ოფიცერი. რომ იგი უნდა ყოფილიყოს უთუოდ მეფე,
დასამტკიცებლად ხელში ეპყრა მეფური კვერთხი.

დოქტორი. როგორც ხმა დადის, ეგ აჩრდილი თურმე
წინადაც

ხშირად უნახავთ იმ ოთახიდან იმავე სახით.

მეფე. დარაჯთაგანი მას არავინ შეჰსიტყვებია?

ოფიცერი. არა მეფეო, ლაპარაკი ვერ შეეებდნათ.
თურმე დარაჯნი შენამკრთალნი ლოცვებს ამბობდნენ
და მოწიწებით განზე გადგნენ გზის დასათმობად.

მეფე. და დედოფლის კარს მიეფარა იგი აჩრდილი?

ოფიცერი. დიახ, მეფეო, დედოფლის კარს მიჰფარებია!

(საყოველთაო სიჩუმე).

მეფე. (უცხად მოტრიალდება).

რაო, რას მეტყვიით?

ალბა. ჩვენა ვსდუმვართ, დიდო მეფეო!

მეფე. (ოფიცერს, პატარა მოფიჭრების შემდეგ).

ეხლავ წადი და ჩააყენე ყოველ გასაკვლელს
სასახლის რაზმი!

მინდა იმ აჩრდილს ვესაუბრო ორიოდ სიტყვით.

(ოფიცერი გადის უმალ შემოდის პაეი).

პაეი. დიდო მეფეო, კარდინალი ინკვიზიტორი.

მეფე. დაგეტოვეთ მარტოდ!

(90 წლის მოხუცს, ბრმა კარდინალ ინკვიზიტორს ორნი დომინიკელი შემოიყვანენ მხრებში შესხმულნი. გამოვლის დროს ყველა დიდებულინი მუხლს მოუყრიან და მის სამოსელის კალთას ეამბორებიან. იგი ლოცვა კურთხევას აძლევს. ყველანი გავლენ).

ინკვიზიტორი. მეფის წინ ვსდგევარ?

მეფე. დიახ!

ინკვიზიტორი. ამას ვერ ვიფიქრებდი.

მეფე. მსურს განვაახლო უწინდელი ჩვენი კავშირი. ოდეს ფილიპე, ახალგაზრდა ბატონიშვილი რჩევასა სთხოვდა თავის აღმზრდელს და მასწავლებელს.

ინკვიზიტორი. ჩემი გაზრდილი, მამა თქვენი, დიდი
კარლოსი

რჩევის მიღებას არასდროს არ საკიროებდა.

მეფე. იგი ესოდენ, კარდინალო, ბედნიერ იყო. კაცის მკვლელობა ჩავიდინე, სისხლი დავღვარე და ვეღარ ვპოვებ სიმშვიდესა ჩემი სულისთვის.

ინკვიზიტორი. რად ჩავიდინე ეგ მკვლელობა?

მეფე. უმაგალითოდ

მომატყუა და —

ინკვიზიტორი. ვიცი.

მეფე. იცით? რა იცით? ვისგან?

როდეს აქეთ?

ინკვიზიტორი. დიდი ხნიდან, რაიც თქვენ მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ გაგიგიათ.

მეფე (გაოცებით). მაშ, თქვენ იცოდით ვინც იყო იგი?

ინკვიზიტორი. რჯულის ურჩი დიდი ხანია ჩვენსა წიგნებში აღნიშნული მყავდა მე იგი.

მეფე. მაშ, რაღა იყო თავისუფლად მინებებული?

ინჰვიზიტორი. ის ბადე, რომელით მისი თავი გაბმული
გვყავდა

თუმც ფართე იყო, მაგრამ მკვიდრი, დაუწყვეტელი.

მეფე. მაგრამ ხომ ერთხელ ჩემს სამეფოს საზღვრებს
გასცილდა?

ინჰვიზიტორი. სადაც არ უნდა ყოფილიყო, მეც იქვე
ვიყავ.

მეფე. (უგულოდ გაივლ-გამოივლის).

თურმე იცოდნენ, ვის ხელთ ვიყავ, — რად დააყოვნეთ
და არ მითხარით?

ინჰვიზიტორი. მე მაგ კითხვას უკან გიბრუნებთ —
რათ დააყოვნეთ და არ მკითხეთ, როს მას ირჩევდით
და თქვენსა თავსა ხელთ უგდებდით სრულის მინდობით?
თქვენ მას იცნობდით! თქვენ შეგეძლოთ ერთის შეხედვით
რჯულის ურჩისთვის აგეხადნათ სახის ნილაბი. —
რამ გაიძულათ, მსხვერპლს სტაცებდით ეკლესიასა?
განა ამ გვარად შეიძლება ჩვენთან თამაში?
რომ თვით რჩეული მეფენიც კი ასე დამდაბლდნენ
და მოქმედებით ეთანაბრნენ ბოროტის მფარველთ —
თქვენ ჩვენს ზურგს უკან ჩვენს მოსისხლე მტერს შეეთან-
ხმეთ.

ჩვენ რაღა დაგვრჩა სანუგეშოთ? ჩვენ რაღას ვაქნევთ?
თუ ერთს უფლება ენიჭება პატიებისა
რა უფლებით ღა შეიწირნენ მსხვერპლად მრავალნი?

მეფე. და აკი ისიც შეიწირა.

ინჰვიზიტორი. არა,

მოჰკლეს უღირსად, ბოროტად! და დასაძრახისად!
იმისი სისხლი ჩვენთვის უნდა დანთხეულიყო,
რომ ეკლესიას მით პატივი აღმატებოდა;

ძაგრამ ვერაგმა შეისვარა მით თვისი ხელნი.
ჩვენ გვეკუთვნოდა იგი მსხვერპლი — რა ნება გქონდათ
რომ ხელს ახებდით ეკლესიის წმინდა უფლებას?
ის მიტომ იშვა, რომ სიკვდილი ჩვენგან ძიელო.
ჩვენ საუკუნის ესდენ წამხდარ დროებისთვის
იგი ამ ქვეყნად მოავლინა უფალმა ღმერთმა,
რათა საჯაროდ ყველასათვის ეჩვენებინა,
თუ რაოდენად სამარცხვინო გახრწნილებამდის
მიჰყავს ადამი ამპარტავანს აზროვნებასა.
ეს იყო ჩემი მოფიქრება წინაგანზრახვით.
მრავალ წლის ზრუნვამ ჩამიარა სრულად ამოდ.
ჩვენ იგი მსხვერპლი გამოგვტაცეთ და მით გაჰქურდეთ
ჩვენი რჯული და ეკლესია! თვით რა მოიგეთ?
ვით მკვლელსა მხოლოდ ხელნი შეგრჩათ სისხლში შეს-
ვრილნი.

მეფე. შემინდეთ, გრძნობამ გამიტაცა.

ინჰვიზიტორი. გრძნობამ? რა მესმის?

ამ პასუხს მაძლევს ყრმა ფილიპე, ბატონიშვილი?
განა მარტოკა მე მოვხუცდი? გრძნობა! რის გრძნობა?
(უკმაყოფილო თავის ცანცარით).

მაშ, მიანიჭე შენს ქვეშევრდომთ თავისუფლება
აზროვნებისა, თუ შენ თითონ შებორკილიხარ.

მეფე. გამოუცდელი ვარ ჯერ კიდევ ამ გვარ საქმეში.
მეყავით ესდენ მოთმინებით.

ინჰვიზიტორი. არა, მეფეო,

თქვენით არა ვარ კმაყოფილი! — თქვენი მეფობის
მთელი წარსული შეიბღალოს, ასე დაიგმოს!
სად იყო ამ დროს ის ფილიპე ნებით ძლიერი,
ვის მტკიცე სულსაც, ვით ვარსკვლავსა ჩრდილოეთისას,

სამარადისოდ, საუკუნოდ თვითმპყრობელობით?
უცვლელად უნდა ეტრიალნა თავის გარშემო.
ნუ თუ შთაინთქა თქვენს გადაღმა მთელი წარსული?
ნუ თუ იმ უამად ეს სოფელი იგივე არ იყო,
როს თქვენ რჯულის ურჩს ხელს უწვდიდით და ჰმეგობრობდით?

განა შხამს ისევე აღარ ჰქონდა შხამის თვისება?
ნუ თუ დაენგრა განსხვავების მტკიცე კედელი
კეთილს და ბოროტს, სიცრუეს და ჭეშმარიტებას.
რალა ფასი აქვს კეთილზრახვას, შეურყევლობას
და ვაჟკაცურსა ერთგულებას, თუ რომელსამე
სულ მცირე წუთში სამოცი წლის მტკიცე წესრიგი
ისე იცვლება, ვით დიაცის ჟინიანობა?

მეფე. მე ვნახე იგი. — სხვას იტყოდი შენც რომ გენახა.
უსინათლოა თქვენი თვალნი, მზერა ჩამქრალნი
შენის გულისკენ ეს გზა სოფელს გლახ დახშული აქვს.
შემინდე ჩემი მომაკვდავის სულის სისუსტე
და ნუ მიმიწყავ შეცოდებად ამ დანაშაულს!

ინჰიპოტიტი. იმ ადამიანს როს აქნევდით? მას რა შეეძლო

თქვენთვის ისეთი ახალი რამ ეჩვენებინა,
რომ თქვენ ეს უკვე არ გცოდნოდათ, არ განგეჰქვრიტნათ?
განა დამთხვეულ მეოცნების აზრსა და ფიქრსა,
ან მის სურვილსა, ანუ ლტოლვას განახლებიას
ნაკლებად იცნობთ? უჩვევია თქვენის ყურისთვის
ვითომდა ქვეყნის ამშენებელთ ტრაბახის კილო?
თუ მხოლოდ სიტყვა დაჰფუშავდა თქვენს რწმენის ტაძარს,
მაშ, გეკითხებით, რომელ პირით, რომელ სინდისით
სისხლის განაჩენს ხელს აწერდით იმ მრავალ ათას
შესტყდარ სულთათვის, კოცონზე რომ საჯაროდ ეწვავედი?

განა მათ მეტი მიუძღვოდათ დანაშაული?

მეფე. ჩემს სულს სწყუროდა კაცი ვინმე, — ადამიანი.
ეს დომინგო კი —

ინკვიზიტორი. რაა თქვენთვის ადამიანი?

თქვენვის ის უნდა რიცხვი იყოს, სხვა არაფერი.

ნუ თუ ჩემს მოხუცს მოწათესა კვალად სჭირდება

განუმეორო ანბანური ქეშმარიტება

სამეფო მართვა-განმგებლობისა?

ამ სოფლის ბატონს ის სურვილი არ უნდა ჰქონდეს,

რაც შესაძლოა დარჩეს მისთვის შეუსრულებლად.

თუ თქვენ დაეძებთ თანაგრძნობას, განა მაგითი

არ უახლოვებთ თავს უბრალო მომაკვდავებსა?

მაშ რა უფლებით, მსურს ვიცოდე, სოფელს განაგებთ

თუ იქ მცხოვრებნიც თანასწორნი თქვენი არიან?

მეფე. (სავარძელში ჩაეცემა).

ვეგრძნობ, კაცუნა ვარ — შენ კი მოითხოვ,

რომ მე, ქმნილება, შემოქმედის ძალას ვიჩინდე?

ინკვიზიტორი. არა, მეფეო, მე გამოცდილს ვერ მომა-
ტყუებთ.

მე თქვენს სულს ჩაეწვდი და განვკრიტე. ზრახვას მი-
გიხვდით...

ჩამოშორება გასურდათ ჩვენგან. ჩვენი კავშირის

წმინდა წესდება გაწვებოდათ მძიმე ბორკილად:

ჩვენსა გარეშე გასურდათ ყოფნა ხელშეუვალად

თავისუფალი. (შეჩერდება. მეფე სდუმს).

არად ჩაგვაგდეთ — ეკლესიასა ემადლებოდეთ.

რომ დედობრივის დასჯით იგი კმაყოფილდება.

და ის სასჯელი ალალ-ბედად თქვენ რომ მოგეწყობთ

იყო დატუქსვა. ხომ იწვნიეთ უჩვენოდ ყოფნა

და კვლავ მოგვნახეთ — რომ არ ვიდგე აწ თქვენს წინაშე.

ვფიცავ მაცხოვარს, იდგებოდით სვალ უყუს წინ თვითონ!

მეფე. მაგ გვარ ლაპარაკს ვერ მოვითმენ!

კმარა მოძღვარო!

ზომიერებას ნუ სცილდები! მე მაგგვარს კილოს არ ვარ ჩვეული.

ინკვიზიტორი. მაშ, აჩრდილსა სამეულისას რისთვის იხმობდით? — ორი მეფე მე აღეუზარდე ესპანეთის ტახტს, ვიმედობდი რომ ჩემს შემდგომად მკვიდრს საძირკველზე აშენებულს მას დავტოვებდი. ვხედავ ჩემს შრომას ცხოვრებისას ამაოდ ჩავლილს. ჩემი შენობა დაანგრია თითონ ფილიპემ.

და აწ. მეფეო — რისთვის ვიქმენ აქ მოხმობილი? რალა საქმე მაქვს? — რა ვაკეთო? სურვილი არ მაქვს თქვენთან მოსვლისა ხელმეორედ!

მეფე. კვლავ ერთი საქმე, უკანასკნელი — შემდეგ ძალგიძთ მშვიდობით წასვლა. რაც მოხდა — მოხდა, დავივიწყოთ, მშვიდობა იყოს კვალად ჩვენ შორის — ხომ შევრიგდით?

ინკვიზიტორი. თუ რომ ფილიპე დაბლა თავს იხრის...

მეფე. (სიჩუმის შემდეგ).

ჩემი შვილი ჩემს წინააღმდეგ შეთქმულობისთვის ემზადება.

ინკვიზიტორი. ზომას იღებთ და რას აპირებთ?

მეფე. სულ არაფერს — ანუ ყველაფერს.

ინკვიზიტორი. და რა სახელი ეწოდება ამ თქვენს ყველაფერს?

მეფე. უნდა გაპარვის ნებართვა მივცე, თუ განსაწირად ვერ გავიმეტე და ვერავის მოვაკვლევინე!

ინკვიზიტორი. მერე?

მეფე. მთლად ახალი სარწმუნოება
ქალგიძს შემეჩმნა, შეილის მოკვლას რომ ამართლებდეს?
ინკვიზიტორი. სამარადისო სიმართლისა და კაცთა
შორის

სათნოებისა და მშვიდობის დასამყარებლად
ქრისტი. ძე ღვთისა, ჯვარზე ეცვა.

მეფე. და მთელ ქვეყანას

ეგრეთი აზრი შეგიძლიან გულს შთაუნერგო?

ინკვიზიტორი. კიდით-კიდემდე, ყველგან სადაც ჯვარს
თაყვანს სცემენ.

მეფე. ვმზაკვრობ ბუნების წინააღმდეგ—და ამ ძლიერს
ხმას

შენ მიაყუჩებ, რომ სინიდისსა არ მიქეჯნიდეს?

ინკვიზიტორი. როს რჯული ითხოვს, იქ ბუნებას ხმა
ალარა აქვს.

მეფე. ჩემს მსაჯულობის უფლებასა შენ ხელთა გაძლევ,
მაშ, შეგიძლიან ამ საქმეში თვით უკან დავდგე?

ინკვიზიტორი. მე გადმომეცით ეგ უფლება. ჩემს კის-
რად იყოს —

მეფე. ერთად-ერთი მყავს ვაჟიშვილი — ვისთვის
ვშრომობდი?

ვის შეეუგროვე ეს სიმდიდრე და სამეფონი?

ვიღას გარდავცე?

ინკვიზიტორი. ხრწნილებას, ვიდრე თავისუფლებას.

მეფე. (აღგება).

თანახმანი ვართ. მაშ წავიდეთ.

ინკვიზიტორი. სად წამოვიდეთ?

მეფე. რათა მიიღოთ იგი მსხვერპლი ჩემთა ხელთაგან.

(წინ წაუძღვება).

დედოფლის ოთახი.

კარლოს. (ბერის სამოსელში და ნილაბში, რომელსაც უმაღლესნი; ხელში შიშველი ხმალი. ბნელა. უახლოვდება კარს, რომელიც გაიღება. გამოდის დედოფალი ღამის ტანსაცმელში სანთელით ხელში. კარლოსი მის წინ ცალ მუხლს მოიყრის).

ო, ელისაბედ!

დედოფალი. (ჩუმის მწუხარებით სახეს დააჩერდება).

ამგვარ ყოფით ვხვდებით ერთმანეთს?

კარლოს. ჩვენ სამწუხაროდ, ამგვარ ყოფით ვხვდებით ერთმანეთს. (სიჩუმე).

დედოფალი. (ძალის მოკრეფას სცდილობს).

ადექით ზეზე, ერთმანეთს გულს ნუ აუჩვილებთ.

უძლურ ცრემლებით ნუ შევხვდებით დიდ პოზას სიკვდილს.

ცრემლი შეჭფერის მცირე ტანჯვას და მწუხარებას! —

თქვენთვის გასწირა თვისი თავი. თვისი სიკვდილით

თქვენი სიცოცხლე გამოიხსნა — და მისი სისხლი

ნუ თუ ამოდ, უნაყოფოდ ჩვენ ჩავატაროთ?

კარლოს, იცოდე! მე თვით დავდექ თქვენთვის თავდებად.

დარწმუნებული, რომ მის აღთქმას თქვენ შეასრულებთ.

მან სიხარულით დასდო თავი, განშორდა სოფელს.

ნუ თუ პირშავად გამომიყვანთ დიდსულოვანთან?

კარლოსი. (აღტაცებით).

მას ძეგლს აღეუგებ, რომლის მსგავსიც ჯერ არც ერთ მეფეს

არ ღირსებია — მის საფლავზე სამოთხეს შეეკმნი!

ამ ჩემს სამშობლოს ისე გვარად ავაყვავილებ.

დედოფალი. ასეთი მსურდა, ჩემო კარლოს, ჰყოფილიყავით,

მისი სიკვდილის აზრიც სწორედ ამგვარი იყო!
თვის უკანასკნელ წმინდა აღთქმის აღმასრულებლად
მე აღმირჩია. გულის ხმად გყოფთ. და მტკიცე გულით
ამ ფიცს დავიცავ, რათა იქმნას ასრულებული.

— განსვენებულმა კვლავ მომანდო ერთი ანდერძი —
მეც სიტყვა მივეც — და — რილასთვის უნდა დავმალო?
მან მე გადმომცა თვისი კარლი — ყურს არ ვათხოვებ
თუ რას იტყვიან — აღარცა მსურს კაცთა წინაშე
მე შიშით ვკრთოდე! აწ მსურს სულით ვიქმნე თამამი,
ვით ეს შეჭფერის მეგობარსა მეგობრისათვის.
დაე, თვით გულმან თვისის ენით ილაპარაკოს.

ის ჩვენს სიყვარულს სახელს სდებდა სათნოებისას.
მე მჯერა მისი და აღარ მსურს კვლავ გულმა ჩემმა —
პარლმს. კმარა, ნუ დასთქვავთ, დედოფალო — ხან-
გრძლივ სიზმარში

ვიმყოფებოდი. თქვენ მიყვარდით — აწ გამოვეფხიზლდი.
წარსული მივცეთ დავიწყებას! აჰა, მიიღეთ
თქვენი წერილი. მოსპეთ ჩემნიც. კვლავ ჩემის ვნების
ნულარ გეშინით. იგი გაქრა! საფლავს ჩავიდა,
აწ წმინდა ცეცხლმა სული ჩემი ისე გასწმინდა,
რომ ბიწიერი გრძნობა ჩემს გულს აღარ აღელვებს.

(მცირე სიჩუმის შემდეგ ხელს ხელში აიღებს).

თქვენთან მოვსულვარ, დედაჩემო, გამოგეთხოვოთ,
აწ ვხედავ მხოლოდ, რომ არსებობს უფრო მაღალი
უფრო სულისთვის სანუკველი დიდი საუნჯე.
ვიდრე თქვენ თითონ მოგიპოვოთ, ჩემად გაგხადოთ —
ამ ერთმა ლამემ მთლად შესცვალა ჩემი ცხოვრება:
და ადრე მე ყრმა სრულ ვაჟკაცად გადამაქცია.
ამ წუთისოფლად სხვა აღარა დამრჩენია-რა

გარდა სეგობრის ძვირფას აღთქმა-მოგონებისა!
სხვა ყველაფერი, ვით საზმარი, გაქრა, წავიდა —
(ძიუახლოვდება დედოფალს, რომელიც სახეს დაიფარავს).

არაფერს მეტყვით, დედაჩემო?

დედოფალი. ნუ ნუ, მიაქცევ

ჩემს მწარე ცრემლებს ყურადღებას — სხვაფერ არ ძალ-
მიძს —

მაგრამ მერწმუნე, ჩემო კარლოს, დიდად მანცვიფრებთ.

კარლოს. ჩვენი კავშირის ერთად-ერთი თანაზიარი
თქვენ, თქვენ იყავით — ამ სახელით დარჩებით ჩემთვის
უძვირფასესი და უტკბესი მთელ ქვეყნის ზურგზე.
ისე არ ძალმიძს მეგობრობა შემოგთავაზოთ,
როგორც ეს გუშინ არ შემეძლო უცხო ქალისთვის
მიმეძღვნა ჩემი სიყვარული — მაგრამ განგებამ
თუ წარმიმართა გზა ტახტისკენ, მაშინ დარჩებით
ჩემთვის ვითარცა უწმინდესი ქვრივი მეფისა.

(მეფე. ინკვიზიტორის და სხვა დიდებულთა თანხლებით, სცენაზე გა-
მოჩნდება შეუმჩნევლად).

ვტოვებ ესპანეთს და მამაჩემს კვლავ ვეღარ ვნახავ
ამ წუთისოფლად ვერაოდეს! მას დღეის შემდეგ
აღარად ვაგდებ! ბუნების ხმა ჩაკვდა ჩემს გულში —
შვილი დაჰკარგა! კვლავ მეუღლე იყავით მისთვის.
კვლავ დაუბრუნდით თქვენ წილ ხდომილს მოვალეობას —
მე კი ვისწრაფი ჩემი ხალხი ესდენ ჩაგრული
ძტარვალს ხელიდან გამოვგლიჯო; და ეს მადრიდი
ან მეფედ მნახავს გვირგვინოსნად, ან და სულ ვეღარ!
უკანასკნელად აწ კი უნდა გითხრა: მშვიდობით! (ჰკოცნის).

დედოფალი. ო, ჩემო კარლოს! მე რაღა ვქნა? —

ო, რომ არ ძალმიძს

თქვენ სიდიადეს გავუსწორდე, ვაჟკაცს ვედარო.

მარტოდენ ძალმიძს აზრით მოგვეწვდეთ და დაგაფასოთ.

კარლოს. მტკიცე არა ვარ, ელისაბედ? ხელში მიპყრი-
ხართ

და მშვიდად კი ვარ. გუშინ ასე რომ ვყოფილიყავ, სიკვდილის შიშიც ვერ დამძრავდა ამ ადგილიდან. იგი დრო გაჰქრა. ეხლა მზად ვარ ბედს ავუმხედრდე მომაკვდავისას. ხელში მყავდით და არა ეძრწოდი. — ჩუ! რა ხმა იყო? ვერ გაიგეთ? (საათი პირველს დაჰკრავს).

დედოფალი. ვერა! ეს მხოლოდ საათმა დაჰკრა, ჟამი გვამცნო განშორებისა.

კარლოს. მაშ, დედაჩემო, ლამე მშვიდობის. ქალაქ გენტიდან პირველ წერილს ჩემგან მიიღებთ, რაიც ნათელჰყოფს ჩვენს ყოველგვარს დაფარულს საქმეს. აწ კი საჯაროდ აღვუდგები მეფე ფილიპეს. და ჩვენ შორისაც საიდუმლო უნდა მოისპოს. არ დაგჰკირდება შიში-კრძალვა სოფლის წინაშე — ეს მოტყუება იყოს ჩემგნით უკანასკნელი. (მსურს ნილაბი კვლავ გაიკეთოს. მეფე მათ შუა ჩადგება).

მეფე. დიახ, იქნება იგი შენგნით უკანასკნელი! (დედოფალი გულწასული ვარდება).

კარლოს. (მსწრაფლ მიეშველება და მკვლავ მოჰხვევს). გარდაიცვალა? ლმერთო ჩემო!

მეფე. (ცვიად ჩათხრობით კარდინალს). თქვენ, კარდინალო, მე ჩემი საქმე დავათავე. — აწ თქვენი ჰქენით.

15. 3. 1913. ბერლინი.